

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2009, # 11

კ ე რ ძ ო

ნ ა წ ი ლ ი

1. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ
 - ცემა
 - ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება
 - ჯანმრთელობის განზრახ (ნაკლებად) მძიმე დაზიანება
 - ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით
2. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ
 - გაუპატიურება
 - სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება
3. ცივი იარაღის ტარება
4. ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება
5. ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება
6. ხულიგნობა
7. სატრანსპორტო დანაშაული

1. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება; ცემა

განჩინება

#969-აპ-08

28 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ზ. ს-შვილისა და მისი დამცველის, ადვოკატ გ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზ ს-შვილი გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 მარტის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით. მასვე იმავე განაჩენით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 4500 ლარი.

განაჩენის მიხედვით, ზ. ს-შვილს მსჯავრი დაედო ძარცვისათვის, ჩადენილი ისეთი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის და რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 2 აგვისტოს, დაახლოებით 21.35 საათზე, ზ. ს-შვილი მივიდა თავის მეზობლად, ქ. გორში მცხოვრებ ქ. ნ-ძის საცხოვრებელ ბინაში, სადაც იმყოფებოდნენ ქ. ნ-ძე, მისი შვილები -დ. და გ. მ-ვები, ასევე მეზობლად მცხოვრები მ. გ-რი. ბინაში შესვლისთანავე ზ. ს-შვილმა იქ მყოფებს დაუწყო ხმამაღლა საუბარი და მოითხოვა, რომ ყველანი გასულიყვნენ გარეთ. აღნიშნულზე ქ. ნ-ძემ და მისმა შვილებმა ზ. ს-შვილს მოუწოდეს, რომ დაეტოვებინა მათი ბინა, წასულიყო და გაენებებინა მათთვის თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში საპატრულო პოლიციას გამოიძახებდნენ. ამ დროს ზ. ს-შვილმა შენიშნა რა მაგიდაზე ქ. ნ-ძის კუთვნილი მობილური ტელეფონი, განიზრახა, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, აშკარად დაუფლებოდა მას.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ზ. ს-შვილმა დასტაცა ხელი მაგიდაზე დადებულ, ქ. ნ-ძის კუთვნილ მობილურ ტელეფონს და სცადა ბინიდან გასვლა, თუმცა მას წინ გადაუდგა ქ. ნ-ძის არასრულწლოვანი შვილი გ. მ-ვი. მისი წინააღმდეგობის დაძლევისა და დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ზ. ს-შვილმა გ. მ-ვს სახეში ხელი გაართყა, შემდეგ კი ქ. ნ-ძეს ფეხი ჩაართყა სახეში, სწრაფად გაიქცა ბინიდან და თან გაიყოლა მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული, ქ. ნ-ძის კუთვნილი ტელეფონი, ღირებული 90 ლარად, თუმცა ეზოში გასვლისას ზ. ს-შვილი წაიქცა და ძირს დაცემისას ხელიდან გაუვარდა ტელეფონი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ზ. ს-შვილის დამცველმა, ადვოკატმა გ. ჯ-შვილმა. იგი თავისი საჩივრით ითხოვდა აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას, შემდეგი მოტივებიდან გამომდინარე: საქმეზე წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა არაობიექტურად და ცალმხრივად; საქმეში არ მოიპოვება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რასაც შეიძლება, ეყრდნობოდეს გამამტყუნებელი განაჩენი; ზ. ს-შვილის მსჯავრდება ფაქტობრივად ეფუძნება დაზარალებულისა და მოწმეთა წინააღმდეგობრივ ჩვენებებს; საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სინამდვილეში მოხდა არა ძარცვა, არამედ -კონფლიქტი დაზარალებულ ქ. ნ-ძესა და ზ. ს-შვილს შორის, რა დროსაც ზ. ს-შვილმა დაამსხვრია დაზარალებულის კუთვნილი მობილური ტელეფონი; მას არავითარი მოტივი არ ჰქონია ძარცვის ჩასადენად და ასეთი არც მტკიცდება საქმის მასალებით.

სააპელაციო საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, მიიჩნია რა აღნიშნული საჩივარი უსაფუძვლოდ, არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ხოლო გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 მარტის განაჩენი მსჯავრდებულ ზ. ს-შვილის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ზ. ს-შვილის დამცველმა, ადვოკატმა გ. ჯ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის

სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე მოტივების საფუძველზე, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში, ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ზ. ს-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

საკასაციო პალატის სხდომაზე განხილვისას ადვოკატმა გ. ჯ-შვილმა მხარი დაუჭირა თავის საკასაციო საჩივარს და ითხოვა მისი დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებულ ზ. ს-შვილი. კასატორმა განიხილა რა საჩივარში წარმოდგენილი მოტივები, მიუთითა, რომ არ არსებობს კანონიერი საფუძველი ზ. ს-შვილის მსჯავრდებისათვის, რის გამოც მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

პროცესში მონაწილე პროკურორმა გ. შ-მემ მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს და აღნიშნა, რომ ზ. ს-შვილის მიერ მისთვის შერაცხული ქმედების ჩადენა სარწმუნოდ არის დადასტურებული დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებით, ასევე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით, რომელთა საფუძველზე პალატის წინაშე იშუამდგომლა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განაჩენი მსჯავრდებულ ზ. ს-შვილის მიმართ დარჩეს უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ზ. ს-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ ზ. ს-შვილს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, რის გამოც მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, ვინაიდან საამისოდ საქმეში არ მოიპოვება სათანადო საფუძველი.

ამავე დროს საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ზ. ს-შვილის მსჯავრდებისას არ დაიცვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლითა და მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონიერი და დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას. მხედველობაშია შემდეგი გარემოებები: სასამართლომ სათანადო შეფასების გარეშე დატოვა დანაშაულის ჩადენისას ზ. ს-შვილის ქმედების ნამდვილი მოტივები, რაც სრულიად აშკარა ხდება თვით დაზარალებულ ქ. ნ-ძის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებით. დაზარალებულსა და ზ. ს-შვილს შორის კონფლიქტი უშუალოდაა დაკავშირებული მათ ინტიმურ ურთიერთობებთან. ამასთან, აშკარად წინააღმდეგობრივია დაზარალებულ ქ. ნ-ძისა და მოწმე გ. მ-ვის ჩვენებები ზ. ს-შვილის მიერ დაზარალებულის კუთვნილი მობილური ტელეფონის გატაცების ვერსიის თაობაზე, რადგან აღნიშნული ჩვენებებით უტყუარად ვერ დგინდება, თუ სად აღმოაჩინეს მათ ტელეფონის ნამსხვრევები -ეზოში, წყლის ონკანთან, სახლის პარმალთან, თუ ბინაში. რაც დადგენილად შეიძლება მივიჩნიოთ დაზარალებულ ქ. ნ-ძის, მოწმეების -მ. გ-რისა და გ. მ-ვის, ასევე თვით მსჯავრდებულ ზ. ს-შვილის ჩვენებების ობიექტური ანალიზით, არის ის, რომ დაზარალებულ ქ. ნ-ძესა და მსჯავრდებულ ზ. ს-შვილს შორის ნამდვილად მოხდა კონფლიქტი მათ შორის არსებული პირადი ურთიერთობების ნიადაგზე, რა დროსაც ზ. ს-შვილმა დაამსხვრია დაზარალებულის კუთვნილი მობილური ტელეფონი, რომლის ღირებულება დოკუმენტურად არ არის განსაზღვრული, ხოლო თვით დაზარალებულის განმარტებით, მისი რეალური ღირებულება შეადგენდა ოთხმოცდაათ ლარს. მანვე სცემა დაზარალებულ ქ. ნ-ძეს, რომელსაც მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, ასევე სცემა დაზარალებულის შვილს, არასრულწლოვან გ. მ-ვს, რომლის არასრულწლოვანება ზ. ს-შვილისათვის ცნობილი იყო. აღნიშნულით დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ზ. ს-შვილმა ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით, აგრეთვე -წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ცემა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ამრიგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ზ. ს-შვილის მსჯავრდებისას დაუშვა არსებითი საპროცესო დარღვევა, რაც მოცემულ შემთხვევაში განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს, თანახმად საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილისა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: მსჯავრდებულ ზ. ს-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლსა და 125-ე მუხლის მე-2 ნაწილზე. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ზ. ს-შვილი პირველად არის სამართალში, წარსულში არ ხა-

სიათდება უარყოფითად, ფაქტობრივად აღიარებს თავის მიერ ჩადენილ ქმედებას, მის მიმართ ძირითად სასჯელად გამოყენებულ უნდა იქნეს თავისუფლების აღკვეთის ისეთი ზომა, რომელიც არ იქნება მომეტებულად მკაცრი, ამასთან, იქნება საკმარისი მსჯავრდებულის გამოსასწორებლად.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ზ. ს-შვილის მიმართ შეფარდებულ დამატებით სასჯელს -ჯარიმას 4500 ლარის ოდენობით -უნდა აღინიშნოს, რომ საქმეში არსებული დოკუმენტით, რომელიც სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა, ირკვევა, რომ ზ. ს-შვილის ოჯახს აქვს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ დაუნიშნა მსჯავრდებულს ჯარიმა კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ ზომაზე ბევრად დიდი ოდენობით, რითაც დაარღვია საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი მოთხოვნები. აღნიშნული გარემოებების გამო საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულ ზ. ს-შვილის მიმართ განსაზღვრული დამატებითი სასჯელი -ჯარიმა -4500 ლარი -უნდა შემცირდეს კანონით განსაზღვრულ მინიმალურ ზომამდე და მას დამატებით სასჯელად უნდა განესაზღვროს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. ს-შვილისა და მისი დამცველის, ადვოკატ გ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ზ. ს-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "დ" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლსა და 125-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, ხოლო მას სასჯელის ზომად განესაზღვროს: საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 10 თვის ვადით; საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 8 თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე აღნიშნული სასჯელები შეიკრიბოს და მსჯავრდებულ ზ. ს-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით.

იმავე განაჩენში მსჯავრდებულ ზ. ს-შვილის მიმართ დანიშნული დამატებითი სასჯელი -ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით -შემცირდეს და მას დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით

განჩინება

#754-აპ-08

11 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

ლ. მურუსიძე,

თ. თოდრია

განიხილა მსჯავრდებულ ი. ე-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების -ზ. მ-შვილის, თ. ა-ძისა და თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორ გ. ბ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განაჩენზე, რომლითაც ი. ე-ი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 117-ე და 236-ე მუხლების I ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 20 ივნისის განაჩენით, ი. ე-ი გამართლდა საქართველოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის III ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

ი. ე-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით – 10 წლით, ხოლო 236-ე მუხლის I ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შთანთქმის პრინციპით, ი. ე-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2005 წლის 4 დეკემბრიდან.

განაჩენით ი. ე-ს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობის მცდელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ი. ე-მა გამოიძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 5,6 მმ კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღი – რევოლვერი და საბრძოლო ვაზნები, რომლებსაც უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში.

ი. ე-ი მუშაობდა სამედიცინო გამაჯანსაღებელ ცენტრ „ნ-ში“ მანუალური თერაპიის სპეციალისტად. 2005 წლის ზაფხულში მასთან სამკურნალო მასაჟების ჩასატარებლად მივიდა ბ. ბ-ვა. კურსის დასრულების შემდეგ ბ. ბ-ვამ მასაჟის განმეორების მიზნით, 2005 წლის 2 დეკემბერს მეორედ მიმართა ი. ე-ს, რომელმაც დაზარალებულ ბ. ბ-ვას მასაჟის ჩატარება თავის საცხოვრებელ ბინაში შესთავაზა. ი. ე-მა, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ჩასადენად არანაირი საფუძველი არ გააჩნდა, განიზრახა ბ. ბ-ვასათვის სიცოცხლე მოესპო. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ვითომდა მასაჟის ჩასატარებლად, 2005 წლის 4 დეკემბერს, დაახლოებით 16 საათზე, ბ. ბ-ვა თავის საცხოვრებელ ბინაში მიიყვანა. ბინაში შესვლის შემდეგ ტანსაცმლის კარადიდან გამოიღო თავის მართლსაწინააღმდეგო მფლობელობაში არსებული 5, 6 მმ კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღი – რევოლვერი დამუხტულ მდგომარეობაში, ბ. ბ-ვას დაუმიზნა კისრის არეში და ერთჯერადი გასროლით მას სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა, რის შემდეგაც, დაზარალებულის თხოვნით, გამოიძახა სასწრაფო დახმარების ა/მანქანა. ბ. ბ-ვა გადაიყვანეს ქ. თბილისის საავადმყოფოში, სადაც გაწეული კვალიფიციური სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაურჩა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ი. ე-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – გ. გ-იამ და გ. ჩ-მემ. აპელანტები სააპელაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დაუსაბუთებელია, აგებულია მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებებზე და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. ისინი მიუთითებდნენ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაზარალებულის დაკითხვისას დაირღვა საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, ვინაიდან დაზარალებული დაკითხვა მის საცხოვრებელ ბინაში მსჯავრდებულის დაუსწრებლად. მათი მოსაზრებით, ი. ე-მა ბ. ბ-ვა დაჭრა შემთხვევით, გაუფრთხილებლობით, რის გამოც ითხოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ ი. ე-ვის ქმედების საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლის II ნაწილით დაკვალიფიცირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აპრილის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ი. ე-ვის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ჩ-მემ, რომელმაც ითხოვა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 24 აპრილის განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ ი. ე-ვის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლის II ნაწილით. აღნიშნულ მოთხოვნას მან საფუძველად დაუდო ის გარემოება, რომ განაჩენი არის უკანონო, ეწინააღმდეგება საქმის მასალებს, იგი დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევებით, სწორედ არ არის შეფასებული მტკიცებულებები, რის გამოც ი. ე-ვის მიერ ჩადენილ ქმედებას არა აქვს მიცემული სწორი კვალიფიკაცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 24 აპრილის განაჩენი ი. ე-ვის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს იმ მითითებით, რომ საქმის როგორც პირველი ინსტანციის, ასევე, სააპელაციო წესით განხილვისას დაირღვა საქართველოს სსკ-ის მე-15 მუხლის III ნაწილის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მხარეებს სრული თანასწორობის საფუძველზე უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ მტკიცებულებების გამოკვლევაში და გამოეთქვათ საკუთარი აზრი მათზე. ი. ე-ის დაუსწრებლად დაზარალებულის დაკითხვით კი შეიზღუდა მსჯავრდებულის უფლებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 20 ივნისის განაჩენში ი. ე-ის მიმართ შევიდა ცვლილება.

ი. ე-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 117-ე მუხლის I ნაწილზე.

ი. ე-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის I და 236-ე მუხლის I ნაწილებით, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის I ნაწილით -5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით -2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ი. ე-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 25 მარტის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ი. ე-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა -ზ. მ-შვილმა, თ. ა-ძემ და თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორმა გ. ბ-შვილმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

ადვოკატებმა -ზ. მ-შვილმა და თ. ა-ძემ საკასაციო საჩივარში აღნიშნეს, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, იგი აგებულია ბ. ბ-ვას ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებზე; განაჩენი არ ემყარება ერთმანეთთან დაკავშირებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატებმა ითხოვეს, განაჩენის გაუქმება და ი. ე-ის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლის II ნაწილით და 236-ე მუხლის I ნაწილით.

პროკურორმა გ. ბ-შვილმა საკასაციო საჩივრით ითხოვა, სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება, საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად და ი. ე-ის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის I ნაწილით.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ი. ე-ვის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა -ზ. მ-შვილმა და თ. ა-ძემ ითხოვეს, უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და ი. ე-ის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლის II ნაწილით და 236-ე მუხლის I ნაწილით.

სახელმწიფო ბრალეების მხარდამჭერმა პროკურორმა ქ. ჩ-შვილმა მხარი დაუჭირა პროკურორ გ. ბ-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას. მან აღნიშნა, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები; არასწორად გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

ი. ე-ის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას ადასტურებს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, სასხლეტი კაუჭის გამოწვევის გარეშე იარაღის გასროლა შეუძლებელია და ეს არ შეიძლება გაუფრთხილებელი ქმედებით მომხდარიყო.

სიმართლეს არ შეესაბამება მსჯავრდებულის ჩვენებაც იმის შესახებ, რომ მას იარაღი თვალით არ უნახავს და იგი მხოლოდ შემთხვევის დღეს აღმოაჩინა უჯრაში, სადაც იდო ოჯახის ძველი ფოტოები, რომლებიც დაზარალებულ ბ-ვასათვის უნდა ეჩვენებინა. ეს ჩვენება არასწორია, რადგან 10 წლის გაუწმენდავი იარაღიდან გასროლილი ტყვია ტოვებს სულ სხვა კვალს, ხოლო #16-86/ბ 117/რან ექსპერტის დასკვნის თანახმად, „რევოლვერის ლულიდან მისი უკანასკნელი გაწმენდის შემდეგ ნაწარმოებია გასროლა (გასროლები)“. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ დაზარალებულმა არ იცის დანაშაულის ჩადენის მოტივი, არ გამორიცხავს ი. ე-ის განზრახვას.

ამდენად, პროკურორმა ქ. ჩ-შვილმა ითხოვა, უარი ეთქვას მსჯავრდებულის ადვოკატების საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულის ქმედების საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლის II ნაწილით დაკვალიფიცირების თაობაზე; ასევე ითხოვა, რომ გაუქმდეს უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენი და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახალი სასამართლო განხილვისათვის, მისი გამკაცრების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა პოზიცია და თვლის, რომ მსჯავრდებულ ი. ე-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების -ზ. მ-შვილისა და თ. ა-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორ გ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის, სასამართლო ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებით, მსჯავრდებულისა და დაზარალებულ ბ. ბ-ვას ჩვენებებით, მოწმე ლ. ვ-ვას ჩვენებით, ი. ე-ის მიმართ ბრალად

შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია, მაგრამ მას სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

სააპელაციო სასამართლო განაჩენის დადგენისას ეყრდნობა დაზარალებულისა და მისი დედის - ლ. ვ-ვას ურთიერთგამომრიცხავ, ჩვენებებს.

საქმეში არსებულ ლ. ვ-ვას განცხადებაში აღნიშნულია, რომ ი. ე-ი არის მისი შვილის საქმრო და ითხოვს, ე-ის განთავისუფლებას, ვინაიდან იცის, რომ აღნიშნული ტრაგიკული ფაქტი მოხდა შემთხვევით. თვით დაზარალებული კი იძლევა ჩვენებას, რომ მასსა და ი. ე-ს შორის არავითარი ინტიმური ურთიერთობა არ არსებობდა. ეს რომ სიმართლეს არ შეესაბამება, დასტურდება საქმეში დაკითხული მთელი რიგი მოწმეების ჩვენებებით, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ ბ-ვა და ე-ი იყვნენ შეყვარებულები და დაქორწინებასაც კი აპირებდნენ.

სააპელაციო სასამართლომ გამოითხოვა ინფორმაცია შპს "ახალი ქსელებიდან" და შპს "ჯეოსელიდან". სატელეფონო საუბრებიდან აშკარად ჩანს, რომ დაზარალებულისა და მსჯავრდებულის ურთიერთობა ნამდვილად სცილდებოდა ექიმისა და პაციენტის ურთიერთობას. მათი სატელეფონო საუბრები მიმდინარეობდა ძირითადად ღამის საათებში და გრძელდებოდა საკმაოდ დიდხანს, ზოგი საუბარი -ერთ საათზე მეტ ხანსაც კი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დაზარალებული ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს სასამართლო.

ბ. ბ-ვას ჩვენებით ე-მა ყელზე მიაბჯინა იარაღი და გაისროლა. ჩვენების ეს ნაწილიც ვერ იქნება გაზიარებული სასამართლოს მიერ ვინაიდან საქმეში არსებულ სასამართლო -სამედიცინო დასკვნაში, ზ/აღნიშნულზე არაფერია მითითებული. თუმცა იარაღიდან მიბჯენით გასროლის შემთხვევაში დენტის კვალი უნდა დარჩენილიყო დაზიანებული ადგილის ირგვლივ.

ბ. ბ-ვამ უჩვენა, რომ გასროლის შემდეგ, სანამ ე-ი სასწრაფოში დარეკავდა, გავიდა საკმაოდ დიდი ხანი და იგი განუწყვეტლივ სადღაც რეკავდა როგორც მობილური, ისე საქალაქო ტელეფონით და დაზარალებულის დიდი ხნის მუდარისა და ხვეწნის შემდეგ გადაწყვიტა სასწრაფოს გამოძახება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ შპს "ახალი ქსელებიდან" გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2005 წლის 4 დეკემბერს ი. ე-ის ტელეფონის ნომრიდან პირველი ორი ზარი განხორციელდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ნომერზე -"03". აქედან პირველი ზარი განხორციელებულია 16 საათსა და 57 წუთზე, ხოლო მეორე ზარი -16 საათსა და 58 წუთზე. შპს „ჯეოსელიდან“ გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2005 წლის 4 დეკემბერს ანძიდან პირველი ზარი განხორციელებულია 16 საათსა და 59 წუთზე ტელეფონის ნომერზე, რომელიც მსჯავრდებულის განმარტებით, ეკუთვნის მის მეუღლეს. აღნიშნულ ზარამდეც, 15 საათსა და 40 წუთზე, იგივე ნომერზეა განხორციელებული ზარი „ვაკე-2“ ანძიდან. მოცემულ შუალედში -15.40-დან 16.59-მდე არ არის განხორციელებული არც ერთი -არც შემავალი და არც გამავალი ზარი. ამდენად, სასამართლო ვერ გაიზიარებს ბ. ბ-ვას ჩვენებას იმის შესახებ, რომ ი. ე-მა, იარაღიდან გასროლის შემდეგ, დარეკა სხვადასხვა ადგილას და მხოლოდ დაზარალებულის დაჟინებული თხოვნის შემდეგ გამოიძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარება, ვინაიდან შპს „ახალი ქსელებიდან“ და შპს „ჯეოსელიდან“ გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, შემთხვევის შემდეგ პირველი ზარი განხორციელებულია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ნომერზე.

საქმეში მოიპოვება მთელი რიგი სხვა მტკიცებულებებიც, რომლებიც ადასტურებენ ი. ე-ის მიერ გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენას, კერძოდ:

სასწრაფო დახმარების ექიმის -დ. კ-მის ჩვენება, რომელშიც მითითებულია, რომ პაციენტი იყო კონტაქტური და ეუბნებოდა მათ, რომ გასროლა მოხდა შემთხვევით;

#1 კლინიკური საავადმყოფოს მორიგე ექიმის -ნ. ნ-შვილის ჩვენება, რომელიც აღნიშნავს, რომ, ბ. ბ-ვას გადმოცემით, მას ჭრილობა შემთხვევით მიაყენა მისმა მეგობარმა ი. ე-ვმა;

მოწმე თ. ტ-შვილის ჩვენება, რომელიც ამბობს, რომ გაიგო ბრახუნის ხმა და ე-ის ყვრილი, რომელიც ვიდაცას ამშვიდებდა და ითხოვდა შველას. მოწმის განცხადებით, ე-მა ყოველგვარი დაყოვნების გარეშე დაიწყო თვითონ სასწრაფოში რეკვა და სასწრაფოს მოსვლის შემდეგ ტ-შვილმა დაინახა, თუ როგორ ჩაჰყავდა თავისი ხელით ი. ე-ს ბ. ბ-ვა სასწრაფო დახმარების მანქანაში მოსათავსებლად;

მოწმე ნ. ბ-იას ჩვენება, რომელიც ამბობს, რომ შევიდა ბ-ვასთან რეანიმაციაში, იგი იყო გონზე და უთხრა, რომ ე-მა შემთხვევით დაჭრა.

საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ამასთან სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძირითადად ემყარება ბრალდების მოწმეების ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს. ამასთან პალატას მიაჩნია, რომ საქმის მასალებით უტ-

ყუარად არ დგინდება ის გარემოება, რომ ი. ე-ს ჰქონდა რაიმე მოტივი დაზარალებულ ბ. ბ-ვას მოკვლისა, შესაბამისად საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ ი. ე-ი მოქმედებდა განზრახ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

პალატას მიაჩნია, რომ ი. ე-მა ჩაიდინა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით და მისი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის I ნაწილით, უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 124-ე მუხლის II ნაწილზე და სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა -10000 (ათი ათასი) ლარი, ხოლო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით კი, იმის გათვალისწინებით, რომ ი. ე-ი პირველად სასამართლოში, ხასიათდება დადებითად და წარსული არაფრით არ აქვს შეზღაღული, სასჯელად უნდა განესაზღვროს ჯარიმა -20000 (ოცი ათასი) ლარი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის I მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ი. ე-ი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლის II ნაწილით განსაზღვრული სასჯელისაგან -ჯარიმის 10 000 ლარისაგან.

რაც შეეხება ი. ე-ის მიმართ სსკ-ის 236 მუხლის ნაწილით განსაზღვრულ სასჯელს, პალატა მიიჩნევს რომ საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით იგი მთლიანად უნდა გათავისუფლდეს აღნიშნული მუხლით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის I პუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. ე-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების -ზ. მ-შვილისა და თ. ა-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორ გ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

ი. ე-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის I ნაწილით, გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 124-ე მუხლის II ნაწილზე და სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა -10000 ლარი.

„ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ი. ე-ი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლის II ნაწილით განსაზღვრული სასჯელისაგან -ჯარიმის 10 000 ლარისაგან.

ი. ე-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა -20000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, ი. ე-ი მთლიანად გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

ი. ე-ი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება

განჩინება

#867-აპ-08

16 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მენიშვილი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ხ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. წ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 იანვრის განაჩენით ა. ხ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ხულიგნობა ძალადობითა და ძალადობის მუქარით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, იარაღად სხვა საგნის გამოყენებით; ასევე -მარცვა არაერთგზის და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ისნის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 24 თებერვლის განაჩენით ა. ხ-შვილის ცნობილ იქნა დამნაშავედ ადრე მოქმედი სსკ-ის 152-ე და სხვა მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენაში და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ სასჯელის მოხდისაგან ა. ხ-შვილი გათავისუფლდა 2003 წლის 4 ივლისს პირობით, 2 წლითა და 6 დღით ადრე, თუმცა არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა განზრახ მძიმე კატეგორიის დანაშაული. ნასვამი ა. ხ-შვილი 2006 წლის 23 ნოემბერს, დაახლოებით 22 საათზე, თავის მეგობარ, ასევე ნასვამ გ. ხ-შვილთან ერთად მივიდა თბილისში, მამიდის -დ. წ-ლის სახლში, რათა მამიდაშვილთან -პ. წ-ლთან გაერკვია ადრე მომხდარი კონფლიქტის სიტუაცია. სახლში იმყოფებოდნენ დ. წ-ლი, მისი მეუღლე ა. წ-ლი, მათი შვილები -მ. და პ. წ-ლები, ამ უკანასკნელის მეუღლე ხ. გ-მე, სიდედრი ნ. გ-მე და სტუმრად მყოფი ნ. ჭ-შვილი, რომლებიც აღნიშნავდნენ გიორგობის დღესასწაულს. ბინაში მისვლისას ა. ხ-შვილი და გ. ხ-შვილი არ დაემორჩილნენ დ. წ-ლის არაერთხის მოთხოვნას, რომ გასულიყვნენ გარეთ, იქ მყოფებს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც გადაიზარდა ხელჩართულ ჩხუბში. დ. წ-ლმა და მისი ოჯახის წევრებმა ფიზიკური ძალის გამოყენებით დაატოვებინეს მათ სახლი და ჩხუბმა გადაინაცვლა ქუჩაში, სადაც ა. ხ-შვილი მეგობართან ერთად კვლავ განაგრძობდა ჩხუბს და ხმამაღლა უცენზურო სიტყვების ძახილს. მათ იარაღად გამოიყენეს ხის სკამის ნაწილები და ქვები, დაიწყეს მათი სროლა წ-ლების ოჯახის წევრების მიმართულებით, მათთვის სხეულის დაზიანების მიყენების მიზნით. ა. ხ-შვილი ასევე ისროდა სამშენებლო ბლოკის ნატეხებს, რა დროსაც დ. წ-ლის მეუღლეს ა. წ-ლს მიაყენა სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება. აღნიშნული ხულიგნური ქმედებით, რომელიც დაახლოებით 20 წუთს გრძელდებოდა, ა. ხ-შვილმა და გ. ხ-შვილმა უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი, გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, რამაც გამოიწვია შ-ას ქ. მცხოვრებთა აშკარა უკმაყოფილება, რის გამოც მათ გამოიძახეს პოლიცია.

2007 წლის 1 მაისს, დაახლოებით 3 საათზე, ა. ხ-შვილი იმყოფებოდა თბილისში, ხ-შვილის ქუჩაზე, რა დროსაც განიზრახა, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა მისთვის სასურველ სხვის მოძრავ ნივთს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ის შევიდა აღნიშნული ქუჩის #...-ში მდებარე სასურსათო მაღაზიაში და გამყიდველ ლ. მ-შვილს, ვითომდა ყიდვის მიზნით, მოსთხოვა სხვადასხვა დასახელების, სულ 13 ლარისა და 20 თეთრის ღირებულების პროდუქტი. ლ. მ-შვილმა ა. ხ-შვილს პოლიეთილენის პარკში ჩაულაგა მოთხოვნილი პროდუქტი. ა. ხ-შვილმა კიდევ მოსთხოვა მას ლორის დამატება, ხოლო თვითონ აშკარად გაიტაცა პოლიეთილენის პარკი მასში მოთავსებული პროდუქტით, გაიქცა მაღაზიიდან და შეეცადა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას, მაგრამ მას გამოედევნა ლ. მ-შვილი და დაიყვირა, რათა გამტაცებელი დაეკავებინათ. ა. ხ-შვილი შეამჩნიეს მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებმაც დააკავეს იგი გლდანის ტერიტორიაზე. ა. ხ-შვილმა დევნისას გადააგდო აშკარად და-

უფლებული პოლიეთილენის პარკი, რომელიც შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოიღეს. ა. ხ-შვილის ქმედებით ლ. მ-შვილს მიადგა 13 ლარისა და 20 თეთრის მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. ხ-შვილს საბოლოოდ მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 1 მაისიდან; მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 8500 ლარის ოდენობით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა. მან ითხოვა საქართველოს სსკ-ის 118-ე და 178-ე მუხლებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება და 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. წ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, ხოლო დაინშნული სასჯელი - უსამართლო და სასტიკი; ხულიგნობისა და სხეულის დაზიანების ფაქტი მოხდა 2006 წლის 23 ნოემბერს, როდესაც მოქმედებდა სასჯელთა შთანთქმის პრინციპი, რაც საქმის განხილვისას არ გამოუყენებიათ.

კასატორის აზრით, საქმეში არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ ა. ხ-შვილმა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული; განაჩენი ამ ნაწილში ემყარება მხოლოდ ვარაუდს; ა. წ-ლს არსად არ უთქვამს, რომ ფეხის თითი მოსტყდა ა. ხ-შვილის მიერ ნასროლი ქვით; ა. წ-ლმა კლინიკაში 2006 წლის 25 ნოემბერს განაცხადა, რომ ფეხის თითი მოსტყდა დაცემის შედეგად; სასამართლოსამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ მოტეხილობა მიყენებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით, რომელიც შეიძლება იყოს, დაცემის დროს ყოფილიყო თავად ა. წ-ლის სხეული; ექსპერტიზის დასკვნას არ ერთვის გამოყენებული დოკუმენტები და რენტგენოგრაფიის სურათი, რაც საქართველოს სსკ-ის 371-ე მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევაა; იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დასკვნა ეჭვს იწვევდა, იგი უნდა გადაწყვეტილიყო ა. ხ-შვილის სასარგებლოდ.

რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილს, ამ შემთხვევაში ვერ დგინდება დანაშაულის ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი და სუბიექტური მხარე; იმდენად წინააღმდეგობრივ ჩვენებებს იძლევიან ე.წ. „დაზარალებულები“ -ბ. გ-ძე და მ. წ-ლი, რომ შეუძლებელია ობიექტური, უტყუარი, კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენა; ის ფაქტი, რომ ა. ხ-შვილი წარსულში ნასამართლევა, არ იძლევა იმის უფლებას, რომ სასამართლომ საქმე მის მიმართ არაობიექტურად განიხილოს; მოცემულ შემთხვევაში სასამართლო იზიარებს ახლო ნათესავების, დაინტერესებული პირების ჩვენებებს, რომლებიც პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით დაუჯერებელ და არაბუნებრივ ამბებს ჰყვებიან; მათ თავად გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა.

მ. წ-ლი და ბ. გ-ძე მალავენ იმ ფაქტს, რომ ა. ხ-შვილისა და გ. ხ-შვილის მისვლისას სახლში იყო პ. წ-ლიც, რომელიც ქუჩაში, წელზევით შიშველი, გამოუდგა მათ, ს. ს-ოს ბაზრამდე და „ცემით სიკვდილის პირას მიიყვანა გ. ხ-შვილი“; დ. წ-ლი, ა. წ-ლი, ნ. გ-ძე, ბ. გ-ძე და მ. წ-ლი, რომლებიც შემთხვევის დროს იყვნენ ნასვამები, თავად არიან დანაშაულის წამომწყებნი და უშუალო მონაწილენი; ა. ხ-შვილი თავის მამიდაშვილთან მივიდა შესარიგებლად და არა -კონფლიქტური სიტუაციის გასარკვევად; სახლში შესვლისას ა. ხ-შვილს არავისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია; დ. წ-ლის გაბრაზება გამოიწვია იმან, რომ გ. ხ-შვილმა სახელი ჰკითხა მის რძალს -ბ. გ-ძეს, რის გამოც სცადა მათი სახლიდან გაგდება, რა დროსაც ისინი გადაცვივდნენ კიბიდან; სწორედ დ. წ-ლმა ჩაიდინა ხულიგნობა. ამ დროს ა. ხ-შვილი ან გ. ხ-შვილი რომ დაღუპულიყო, საინტერესოა, როგორი კვალიფიკაცია მიეცემოდა დ. წ-ლის ქმედებას. სრული უფლება აქვთ დაზარალებულებს, არ მისცენ ოჯახის წევრების -ა. წ-ლისა და პ. წ-ლის მამხილებელი ჩვენებები, რომლებმაც „ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს გ. ხ-შვილი“, სწორედ მათ ჩაიდინეს დანაშაული და არა -ა. ხ-შვილმა და მისმა მეგობარმა. ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებები ადასტურებენ, რომ მათ საზოგადოებრივი წესრიგი არ დაურღვევიათ და არც საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა გამოუხატავთ.

რაც შეეხება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილს, ადვოკატს მიაჩნია, რომ არასაკმარისი მტკიცებულებების გათვალისწინებით, უშუალოდ დანაშაულის შინაარსისა და ზიანის ხარისხიდან, ასევე, ღვეანდელი ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ა. ხ-შვილის მიმართ გამოყენებულ იქნეს საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ადვოკატი თ. წ-ი ითხოვს, სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცეს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და დადგინდეს ობიექტური, სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება.

მსჯავრდებული ა. ხ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს საქმის ობიექტურად განხილვას და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

არაერთი დაზარალებულისა და მოწმის თანმიმდევრული და დამაჯერებელი ჩვენებით ირკვევა, რომ არაფხიზელი ა. ხ-შვილი და მისი თანმხლები მივიდნენ დ. წ-ლის ბინაში, სადაც წიხლით გააღეს კარი და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ოჯახის დიასახლისს. მიუხედავად მოწოდებისა, ა. ხ-შვილმა და მისმა თანმხლებმა იქაურობა არ დატოვეს, იგინებოდნენ და წიხლები ურტყეს ბინაში მყოფებს. ამის შემდეგ მათ ქვებით გატყვეს მინები, მათ შორის -მეზობლის ბინისაც. ხმაურზე მეზობლები გამოცვივდნენ, ატყდა ჩხუბი, რომელშიც მთელი უბანი ჩაერია.

თავად მსჯავრდებული განმარტავს, რომ მამიდაშვილთან სასაუბროდ მივიდა, რადგან მამიდასთან საუბარს აზრი არ ჰქონდა. ბინის კარი ღია იყო და შევიდა, როგორც საკუთარ სახლში. მისი ბინაში ყოფნისას დაიწყო გაწევ-გამოწევა, გამოვიდნენ გარეთ, რა დროსაც ა. ხ-შვილის თანმხლებმა ისროლა ფიცარი, რომელიც ფანჯარას მოხვდა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უსაფუძვლოა კასატორთა მითითება, თითქოს საზოგადოებრივი წესრიგი დაარღვიეს ბინაში მყოფმა დაზარალებულებმა და არა -ა. ხ-შვილმა.

ამასთან, საქმეში არსებული არცერთი უტყუარი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ ა. წ-ლს მოხვდა სწორედ ა. ხ-შვილის მიერ ნასროლი ქვა და ამის შესახებ მსჯავრდებულის დამცველის მითითება საფუძვლიანია. მოწმე ხ. გ-მე აღნიშნავს, რომ ა. ხ-შვილი და უცნობი მამაკაცი ისროდნენ ქვებს. ა. ხ-შვილის თანმხლების მიერ საამშენებლო ბლოკების სროლას ადასტურებს დაზარალებული დ. წ-ლიც, ხოლო ა. წ-ლი მიუთითებს, რომ არ დაუნახავს, ვინ ისროდა ქვებსა და ფიცრის ნატყბებს.

საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ა. ხ-შვილს ბრალი არ ედება სხვა პირთან ერთად -ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებაში და გასაჩივრებული განაჩენი ა. ხ-შვილის სსკ-ის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით მსჯავრდების ნაწილში დაუსაბუთებელია.

რაც შეეხება ა. ხ-შვილისათვის სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებას, იგი უტყუარადაა დადასტურებული არა მხოლოდ დაზარალებულ ლ. მ-შვილის ჩვენებით. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა -დ. ჯ-ვამ და დ. ბ-მემ სასამართლოს განუმარტეს, რომ მაღაზიიდან გამოქცეულ პირს ქალი მისდევდა და ყვირილით ითხოვდა შველას. გაქცეულს ეკირა პოლიეთილენის პარკი, რომელიც დააგდო. მოწმეებმა ასევე მიუთითეს, რომ დაკავებამდე გაქცეული პირი თვალთახედვის არედან არ დაუკარგავთ, ხოლო დაზარალებულმა მიუთითა, რომ დაგდებული ნივთები მას ეკუთვნოდა.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ ძარცვის ბრალდების ეპიზოდში გამოყენებულ უნდა იქნეს მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები. დაზარალებული ლ. მ-შვილი აღნიშნავს, რომ მაღაზიაში გამყიდველად მუშაობდა და მიადგა 13 ლარის ოდენობის ზიანი, რაც სწორედ დღევანდელი ეკონომიკური პირობებისა და დაზარალებულის პიროვნების გათვალისწინებით, ვერ ჩაითვლება მცირე მნიშვნელობის მქონედ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს სსკ-ის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით მსჯავრდების ნაწილში და ამ ნაწილში ა. ხ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო სხვა ნაწილში, როგორც კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ხ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. წ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მაისის განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილი და ბრალდების ამ ნაწილში ა. ხ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ა. ხ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 8 500 ლარის ოდენობით. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

განჩინება

#258-პ-09

11 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. კ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 დეკემბრის განაჩენით გ. გ-ძე, -ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 10 აგვისტოს გ. გ-ძემ, უთანხმოების გამო დაწყებული კამათისა და ჩხუბის დროს განზრახა თავისი ცოლისძმის -მ. ჯ-ნის მოკვლა და იგი ავტომატურად მიიყვანა მდინარის ნაპირთან. იქ გაგრძელებული ჩხუბის დროს გ. გ-ძემ თავისი ავტომატურიდან აიღო დანა და განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით მ. ჯ-ნს ორჯერ დაარტყა გულმკერდის არეში, რითიც მიყენა სიცოცხლისათვის სახიფათო ორი ჭრილობა. გ. გ-ძემ თავისი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვინაიდან დაზარალებულს სიცოცხლე შეუნარჩუნდა გაწეული სასწრაფო სამედიცინო დახმარების შედეგად.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. გ-ძეს მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 10 აგვისტოდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა ე. კ-ძემ. მათ მოითხოვეს გ. გ-ძისათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 თებერვლის განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები -მსჯავრდებული და მისი ადვოკატი ე. კ-ძე საჩივარში აღნიშნავენ, რომ გ. გ-ძის ქმედება არასწორად დაკვალიფიცირდა სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით და უნდა შეფასდეს როგორც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რადგან გ. გ-ძეს არ ამოძრავებდა მ. ჯ-ნის მოკვლის მიზანი. ინციდენტის შემდეგ მსჯავრდებულმა ყველა ღონეს მიმართა, რომ დაზარალებული გამოჯანმრთელებულიყო, რის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა სამართალდამცავ ორგანოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები მოითხოვენ გ. გ-ძის ქმედების სსკ-ის 117-ე მუხლით დაკვალიფიცირებას და სასჯელის დანიშვნას ამავე კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, რომ სიძე-ცოლისძმას შორის მომხდარ ინციდენტს არავინ შესწრებია, თუმცა მათი იდენტური და თანმიმდევრული ჩვენებებით უტყუარად დგინდება ფაქტობრივი გარემოებები.

მსჯავრდებულის განმარტებით, მან თავის ცოლის ძმას ორჯერ დაარტყა დანა, რაც გამოწვეული იყო თავად დაზარალებულის არამართლობიერი ქმედებებით. ამის შემდეგ გ. გ-ძემ დაჭრილი მოათავსა ავტომატურში და მიიყვანა საავადმყოფოში.

ანალოგიურია დაზარალებულის ჩვენებებიც. ჯ-მა სასამართლოში აღნიშნა, რომ მდინარე ჭო-როხთან თავის სიძეს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და ნაწილობრივ სწორედ ამანაც უბიძგა გ. გ-ძეს დანაშაულის ჩადენისკენ. მ. ჯ-ნმა ასევე მიუთითა, რომ საავადმყოფოში სიძემ მიიყვანა, სადაც ჩაუტარდა ოპერაცია. დაზარალებული შეურიგდა მსჯავრდებულს და მას-თან პრეტენზია არ აქვს, რის გამოც მ. ჯ-ნმა მოითხოვა გ. გ-ძის პატიმრობიდან გათავისუფლე-ბა.

საქმეში არსებული შეტყობინების შესაბამისად, მ. ჯ-ნის გადმოცემით, მან დაზიანება მიიღო მდინარის ნაპირთან ჯართის შეგროვების დროს. შესაბამისად, დაზარალებული არც აპირებდა მომხდარის გახმაურებას.

ამდენად ცხადია, რომ მკვლელობის მცდელობის შემდეგ გ. გ-ძემ დაზარალებული მიიყვანა საავადმყოფოში, სადაც დროული სამედიცინო დახმარების შედეგად მ. ჯ-ნს შეუნარჩუნდა სიცოც-ხლე.

მსჯავრდებულის მიერ დაზარალებულის საავადმყოფოში მიყვანა პირველი ინსტანციის სასამარ-თლომაც აღნიშნა, თუმცა ქმედების კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ეს გარე-მოება მხოლოდ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებლად ჩათვალია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არასწორადაა გამოყენებული მატერია-ლური კანონი, კერძოდ:

სსკ-ის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრი-ვი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა თუნდაც იმის გამო, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ სწორედ მსჯავრდებულის აქტიური მოქმედებით თავიდან იქნა აცილებული მართლსაწინააღმდეგო შედეგი -მ. ჯ-ნის სიკვდილი.

ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გ. გ-ძემ პასუხი უნდა აგოს სხვა დანაშაულისათვის, რაც ფაქტობრივად ჩაიდინა, კერძოდ, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის. შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით სწორედ ამგვარი დაზიანება მიიღო მ. ჯ-ნმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. გ-ძის ქმედება სსკ-ის მე-19,108-ე მუხლიდან უნდა გადაკ-ვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებთან ერთად, სასჯელის განსაზ-ღვრისას საკასაციო პალატა ითვალისწინებს ჩადენილი ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს, ამასთან აღნიშნავს, რომ სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების საფუძველი არ არსე-ბობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნ-ქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. გ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. კ-ძის საკასაციო სა-ჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თე-ბერვლის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: გ. გ-ძის ქმედება სსკ-ის მე-19,108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და მიესაჯოს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ

გაუპატიურება

განჩინება

#712-აპ-08

28 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ხ-იანისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების - ი. მ-ძისა და ნ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი, ასევე, მსჯავრდებულ გ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 მარტის განაჩენზე, რომლითაც გ. ხ-იანი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო გ. მ-შვილი, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 იანვრის განაჩენით გ. ხ-იანს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდება და ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში, რისთვისაც შესაბამისად მიესაჯა 11 წლისა და 6 თვის და 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მთლიანი შეკრების წესით, სასჯელად განესაზღვრა 16 წლითა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა. ამასთან, მ. გ-შვილის სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და გ. ხ-იანს მის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანისათვის 2000 ლარის ანაზღაურება.

იმავე განაჩენით გ. მ-შვილს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდება და ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში, რისთვისაც სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების წესით, მიესაჯა 15 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -4000 ლარი.

იმავე განაჩენით შ. ხ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯა 10 წლისა და 3 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

იმავე განაჩენით მ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში, რისთვისაც სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების წესით, მიესაჯა 14 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -2500 ლარი.

მსჯავრდებულები გ. ხ-იანი, გ. მ-შვილი, შ. ხ-ძე და მ. მ-შვილი სასჯელს იხდიან 2007 წლის 05 მაისიდან.

გ. ხ-იანს, გ. მ-შვილს, შ. ხ-ძესა და მ. მ-შვილს მსჯავრი დაედოთ იმაში, რომ ჩაიდინეს ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით.

ამასთან, გ. ხ-იანმა ასევე ჩაიდინა გაუპატიურება, ე.ი. სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. გ. მ-შვილმა -ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, ხოლო მ. მ-შვილმა -ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

ქ. თბილისში მცხოვრები შ. ხ-ძე 2007 წლის 4 მაისს დანაშაულებრივად დაუკავშირდა ამავე ქალაქში მცხოვრებ, წარსულში ნასამართლევ გ. მ-შვილს, მ. მ-შვილს და გ. ხ-იანს, რომლებმაც განიზრახეს მოეხდინათ ყაჩაღური თავდასხმა საგარეჯოს რაიონში მცხოვრებ ზ. გ-შვილის ოჯახზე და მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ მის კუთვნილ ფულსა და ოქროსოვლობას.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით გ. მ-შვილმა თავისი საცხოვრებელი ბინიდან გაიტანა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული რუსული წარმოების "კალაშნიკოვის" კონსტრუქციის სროლისათვის ვარგისი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, თავისი ექვსი მჭიდით და 260 ცალი გამოსაყენებლად ვარგისი საბრძოლო ვაზნით, ერთი ცალი 16 მმ კალიბრის, თვითნაკეთი წესით ლულადამოკლებული, სროლისათვის ვარგისი ორლულიანი თოფი, რომელიც მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ორი ცალი ცივ იარაღთა კატეგორიას მიკუთვნებული დანა, რომელიც ჩააწყო ავტომანქანის სალონში, რომელსაც მართავდა შ. ხ-ძე, რის შემდეგაც აღნიშნული ოთხივე პირი წავიდა საგარეჯოს რაიონში. დაახლოებით 1 საათზე ისინი მივიდნენ ზ. გ-შვილის საცხოვრებელ სახლთან, იარაღი გაინაწილეს, დაუძახეს, მოატყუეს, თითქოს ავტომანქანა ჰქონდათ გაფუჭებული და სთხოვეს მისი სათადარიგო ნაწილები, რაზედაც ზ. გ-შვილი გავიდა ეზოში. ეზოში თავდამსხმელებმა ძალადობისა და იარაღის მუქარით მოსთხოვეს ფული და ოქროული. ზ. გ-შვილმა უპასუხა, რომ ფული არ ჰქონდა და ვერ მისცემდა, რაზეც მათ დაუწყეს ცემა, შეიყვანეს იგი სახლში, სადაც კვლავ განაგრძეს მისთვის ძალადობით ფულისა და ოქროულის მოთხოვნა. ამ დროს გ. ხ-იანმა დანის მუქარით ზ. გ-შვილის მეუღლე მ. გ-შვილი გაიყვანა ცალკე ოთახში, ძალით გახადა ტანსაცმელი და იძულებით დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. დანარჩენები კი აგრძელებდნენ ზ. გ-შვილის ცემას და ფულის მოთხოვნას. ზ. გ-შვილმა ვედარ გაუძლო ცემას და იძულებული გახდა მიეცა მათთვის 450 ლარი და 1000 ლარის ღირებულების "მაგთის", "ჯეოსელის" და "ლაი-ლაის" მონო ბარათები. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, გ. მ-შვილი და მისი თანამზრახველები ჩასხდნენ შ. ხ-ძის მართვის ქვეშე მყოფ ავტომანქანაში და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

აღნიშნული დანაშაული ცნობილი გახდა რა პოლიციის თანამშრომლებისათვის, მათ მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად ბოროტმოქმედები დაკავებულნი იქნენ. ჩხრეკის შედეგად შ. ხ-ძის ავტომანქანიდან ამოღებული იქნა ყაჩაღური გზით გატაცებული ზ. გ-შვილის კუთვნილი 381 ლარი და 1000 ლარის ღირებულების "მაგთის", "ჯეოსელის" და "ლაი-ლაის" მონო ბარათები, ასევე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, გადაჭრილი ორლულიანი სანადირო თოფი, ექვსი მჭიდი, 260 ცალი ვაზნა, დანები და ნიღბები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა შ. ხ-ძემ, გ. ხ-იანმა და გ. მ-შვილმა.

წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით აპელანტი შ. ხ-ძე ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილებების შეტანას, კერძოდ, გამართლებას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და მის მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით (დანაშაულის შეუტყობინებლობა).

წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით გ. ხ-იანი და მისი ადვოკატები ითხოვდნენ მსჯავრდებულ გ. ხ-იანის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და მის დამნაშავედ ცნობას 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით.

აპელანტი მ. დ-ძე ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში, სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას, კერძოდ, მსჯავრდებულ გ. მ-შვილისათვის დაკისრებული ჯარიმის მოხსნასა და სასჯელის შემსუბუქებას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 მარტის განაჩენით საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 იანვრის განაჩენი შ. ხ-ძის, გ. ხ-იანის, გ. მ-შვილისა და მ. მ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ხ-იანმა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ი. მ-ძემ და ნ. ჯ-ძემ საკასაციო საჩივრით მომართეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორებმა ითხოვეს, მსჯავრდებულ გ. ხ-იანის გამართლება საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში, ვინაიდან ამ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია და იგი ემყარება მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებას, სხვა დანარჩენი მტკიცებულებები კი გამორიცხავს მსჯავრდებულ გ. ხ-იანის მხრიდან ასეთის არსებობას. კასატორები ასევე ითხოვენ მსჯავრდებულ გ. ხ-იანის მიმართ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით მსჯავრდებისას დანიშნული სასჯელის შემცირებას მინიმუმამდე, იმ მოტივით, რომ იგი შეუსაბამოდ მკაცრია, რადგან მსჯავრდებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული, გულწრფელად მოინანია და დაზარალებულისათვის ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზეც თანხმობა განაცხადა.

კასატორი გ. მ-შვილი ითხოვს თავისუფლების აკვეთის სახით მისთვის დანიშნული სასჯელეზის მინიმუმამდე დაყვანას, ხოლო 4000 ლარის

ოდენობით დანიშნული ჯარიმის გაუქმებას, ვინაიდან იგი გამოძიების დაწყებიდანვე აღიარებდა დანაშაულს, ასევე მისი ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც აღნიშნა სააპელაციო სასამართლოს წინაშეც.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. ხ-იანისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების ი. მ-ძისა და ნ. ჯ-ძის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მსჯავრდებულ გ. მ-შვილის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. ხ-იანის სასიკეთოდ, შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულებისა და მოწმეთა ჩვენებებით, ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, ბალისტიკური, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, გ. ხ-იანის მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია. პალატას ასევე მიაჩნია, რომ გ. ხ-იანის მიმართ აღნიშნული მუხლით განსაზღვრული სასჯელი -11 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა არის სამართლიანი და არ არსებობს მისი შეცვლის საფუძველი.

რაც შეეხება გ. ხ-იანის მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, პალატა თვლის, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები: გ. ხ-იანის მსჯავრდება ზემოაღნიშნულ დანაშაულში ძირითადად ემყარება დაზარალებულ მ. გ-შვილის ჩვენებას, რომლის თანახმადაც ყაჩაღური თავდასხმის დროს იგი მსჯავრდებულმა გ. ხ-იანმა გაიყვანა მათი საცხოვრებელი სახლის სხვა ოთახში, სადაც არავინ იმყოფებოდა და დანის გამოყენებით მოკვლის მუქარით დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი, აღნიშნული გრძელდებოდა 5 წუთს, ამავე დროს დაზარალებული აღნიშნავს, რომ, როდესაც გ. ხ-იანმა მასთან დაასრულა სქესობრივი აქტი, "განიცადა ორგაზმი". იგი ასევე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებამდე არ უზნავია. მიუხედავად დაზარალებულ მ. გ-შვილის კატეგორიული ჩვენებებისა გაუპატიურების შესახებ, საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება, ასევე დანაშაულის ადგილზე მყოფი არცერთი პირი მისი ოჯახის წევრების ჩათვლით, არ მიუთითებენ რაიმე ნიშანსა თუ გარემოებაზე, რომლებიც გონივრული ეჭვის მიღმა დაადასტურებდა გაუპატიურების ფაქტს. დაზარალებულის ჩვენება არ დასტურდება ასევე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის, რომლებიც ჩატარდა დანაშაულის ჩადენის დღესვე, #254/32 და #36 დასკვნებით, რომლებიც ცალსახად გამოირიცხავენ მ. გ-შვილზე სქესობრივ კავშირს, კერძოდ, დასკვნის თანახმად, მ. გ-შვილის საქალწულო აპკისა და საშოს არეში რაიმე ახალი მექანიკური დაზიანების კვალი არ აღენიშნება, ამასთან სხეულზე გარეგნულად ფიზიკური დაზიანების ობიექტური ნიშნები არ აღენიშნება. ამასთან აღებული იქნა ნაცხი საშოდან სპერმაზე, ხოლო გამოკვლევის შედეგად ნაცხში სპერმატოზოიდები არ აღმოჩნდა. ვერც შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს იქნა ნანახი ზემოაღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად რაიმე ნიშანი თუ საგანი. ამასთან, არ დასტურდება მსჯავრდებულის მხრიდან გაუპატიურების დროს დამცავი საშუალების გამოყენება.

საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: "სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები სკამარისა სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად", ხოლო, იმავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, "ყოველგვარი ეჭვი რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვიმტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ". პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებანი არასაკმარისია და უტყუარად ვერ ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ გ. ხ-იანმა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის განაჩენში ჩამოყალიბებული შეფასება, რომ მას საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე დაზარალებულ მ. გ-შვილის ჩვენების სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გააჩნია და რომ მსჯავრდებულ გ. ხ-იანს არ გაუპატიურებია, არასწორია და თვლის, რომ გ. ხ-იანის მიმართ სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა გაუქმდეს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე შეწყდეს, საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად.

პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. მ-შვილის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულებისა და მოწმეთა ჩვენებებით, ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, ბალისტიკური, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, მის

მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია. პალატას ასევე მიაჩნია, რომ გ. მ-შვილის მიმართ აღნიშნული მუხლებით განსაზღვრული სასჯელები -15 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით არის სამართლიანი და არ არსებობს მისი შეცვლის საფუძველი.

პალატამ საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის თანახმად საქმე სრული მოცულობით შეამოწმა მსჯავრდებულების -შ. ხ-ძისა და მ. მ-შვილის მიმართ და მიიჩნია, რომ მსჯავრდებულთა მიმართ განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან მისი შეცვლის სამართლებრივი გარემოება არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ხ-იანისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების ი. მ-ძისა და ნ. ჯ-ძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მსჯავრდებულ გ. მ-შვილის საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 მარტის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულ გ. ხ-იანის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

გ. ხ-იანს მოეხსნას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში საქმე შეწყდეს.

მსჯავრდებულ გ. ხ-იანს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 11 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

დაზარალებულ მ. გ-შვილის სამოქალაქო სარჩელს უარი ეთქვას.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება

განჩინება

#1564-აპ-08

4 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჰ. მ-სა და მისი დამცველის, ადვოკატ თ. კ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით ჰ. მ-ს, ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 138-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) და 138-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

მცირეწლოვანი თ. ბ-ი ორწელიწადნახევარი ცხოვრობდა თავისი ნათლის -ც. ზ-ს ოჯახში. მისი მშობლები განქორწინებულნი არიან. მამა -გ. ბ-ი იმყოფება რუსეთის ფედერაციაში, ხოლო დედა -ც. შ-ი -ისრაელში. თ. ბ-ი პერიოდულად რჩებოდა თბილისში, გლდანის პირველი მ/რ-კორპ. მცხოვრებ ბებიასთან -კ. ზ-ს და თბილისში, სარაჯიშვილის გამზ. მცხოვრებ დეიდაშვილ თ. ი-ს. 2005 წლის ივნისში იგი სტუმრად იმყოფებოდა თ. ი-ს ოჯახში, სადაც ასევე იმყოფებოდნენ თ. ი-ს პატარა შვილი და კ. ზ-ს დისშვილი -ჰ. მ-ი. საღამოს თ. ბ-ი დაწვა დასაძი-

ნებლად. იმავე დროს ჰ. მ-ი სხვა ოთახში ლოგინში იწვა და უყურებდა ტელევიზორს. დაახლოებით 22.00 საათზე ჰ. მ-მ თ. ბ-ს შესთავაზა, რომ ტელევიზორისათვის ერთად ეყურებინათ. იგი გავიდა და დაჯდა სკამზე, ხოლო შემდეგ ჰ. მ-ს დაჟინებული მოთხოვნით, ჩაუწვა მას ლოგინში. ამ დროს ჰ. მ-ი იყო მთლიანად შიშველი. მან აიძულა თ. ბ-ი, რომ ხელი მოეკიდა მის სასქესო ორგანოზე, რაზეც მან უარი განუცხადა, თუმცა ჰ. მ-მ მას ძალის გამოყენებით მოაკიდებინა ხელი თავის სასქესო ორგანოზე. მომხდარის შემდეგ ჰ. მ-ი მას დაემუქრა, რომ არსად ეთქვა ამის შესახებ. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მცირეწლოვანი თ. ბ-ი იმყოფებოდა ბებიასთან, სადაც ასევე იყო ჰ. მ-ი, რომელიც მას კვლავ დაემუქრა, რომ ბებიას მოუკლავდა, თუ სადმე იტყოდა თ. ბ-ს სახლში მომხდარის შესახებ. აღნიშნულის შემდეგ ჰ. მ-მ თ. ბ-ი მიიყვანა კედელთან, პირზე მაგრად ააფარა ხელი, უთხრა, რომ ხმა არ ამოელო, ჩაუწია შარვალი, ქვედა საცვალი და ძალის გამოყენებით დაამყარა მასთან სქესობრივი კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით - უკანა ტანში, რაც გრძელდებოდა დაახლოებით 3-5 წუთის განმავლობაში. ამის შემდეგ ჰ. მ-ი კვლავ დაემუქრა თ. ბ-ს ბებულის მოკვლით, თუ იგი მომხდარს სადმე გაამჟღავნებდა. ჰ. მ-ი მასთან ორი წლის განმავლობაში ძალის გამოყენებით უკანა ტანში სისტემატურად ამყარებდა სქესობრივ კავშირს როგორც კ. ზ-ს, ასევე, თ. ბ-ს საცხოვრებელ ბინებში.

ჰ. მ-მ უკანასკნელი კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით მცირეწლოვან თ. ბ-ს დაამყარა 2007 წლის დეკემბრის თვეში კ. ზ-ს საცხოვრებელ სახლში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ივნისის განაჩენით ჰ. მ-ს ბრალიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი, როგორც ზედმეტად წარდგენილი. ჰ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) - თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, სსკ-ის 138-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) - თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე ჰ. მ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ჰ. მ-მ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა თ. კ-მ. ისინი თავიანთი საჩივრით ითხოვდნენ მსჯავრდებულ ჰ. მ-ს გამართლებას წარდგენილ ბრალდებაში იმ მოტივით, რომ განაჩენი ემყარება ვარაუდებს; საქმეში არ არსებობს დანაშაულის დამადასტურებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა; დაზარალებულის ჩვენებები წინააღმდეგობრივია; მოწმეები თვითმხილველები არ არიან, ხოლო მათი ჩვენებები ეყრდნობა დაზარალებულის ნაამბობს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ივნისის განაჩენი ჰ. მ-ს მიმართ კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში დარჩა უცვლელად. იმავე განაჩენით საქართველოს სსკ-ის 124-ე და 509-ე მუხლების შესაბამისად, გადაწყდა საქმეზე დართულ ნივთმტკიცებათა ბედი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ჰ. მ-მ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა თ. კ-მ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. ისინი თავიანთი საჩივრით ითხოვენ ჰ. მ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დენის შეწყვეტას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდათ სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ჰ. მ-ს მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ჰ. მ-ს ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება. მისი ბრალეულობა დადასტურებულია თვით დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა ჰ. მ-ს მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ჰ. მ-სა და მისი ადვოკატის განმარტებას მსჯავრდებულ ჰ. მ-ს უდანაშაულობის თაობაზე.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ჰ. მ-ს სასიკეთოდ.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა ჰ. მ-ს ქმედება არასწორად დააკვალიფიცირეს საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილითა (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) და იმავე კოდექსის 138-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), ვინაიდან, როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი, ჰ. მ-მ ერთი და იმავე პირის მიმართ ჩაიდინა რამდენიმე, ერთიანი განზრახვით მოცული ქმედება, რის გამოც იგი წარმოადგენს ერთ დანაშაულს, ჩადენილს განგრძობადი დანაშაულის სახით. ამასთან, პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ ჰ. მ-ს დანაშაულებრივი ქმედება გრძელდებოდა 2005 წლის ივნისიდან 2007 წლის დეკემბრამდე, ე. ი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლში 2006 წლის 28 აპრილს შეტანილი ცვლილებების შემდეგაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ჰ. მ-ს ქმედება უნდა დააკვალიფიცირდეს მხოლოდ საქართველოს მოქმედი სსკ-ის 138-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), რის გამოც ჩადენილი ქმედებისათვის ჰ. მ-შვილს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით, ანუ სასჯელის ის ზომა, რომელიც სასამართლოს მიერ მას დანიშნული ჰქონდა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-5 ნაწილის (მითითებული რედაქცია) საფუძველზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ჰ. მ-ს მსჯავრდებიდან უნდა ამოირიცხოს მითითება საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილზე (მითითებული რედაქცია), როგორც ზედმეტად წარდგენილზე, აგრეთვე, მითითება მის საფუძველზე სასჯელის ზომად 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ჰ. მ-ს სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ჰ. მ-სა და მისი დამცველის, ადვოკატ თ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება ჰ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) მსჯავრდებისა და ამ საფუძველზე მის მიმართ სასჯელის ზომად 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის თაობაზე. მსჯავრდებულ ჰ. მ-ს ქმედება დააკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), ხოლო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ ჰ. მ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება

განჩინება

#122-აპ-09

25 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემლაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-მისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით გ. მ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-5 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება იმის მიმართ, ვისაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 5 მაისს, გ. მ-მემ მიიღო ალკოჰოლური სასმელი - ღვინო და იმყოფებოდა თავის საცხოვრებელ სახლში. დაახლოებით 17 საათზე მასთან მივიდა მცირეწლოვანი თ. ნ-შვილი და ჰკითხა, თუ სად იმყოფებოდა მისი ძმისშვილი ნ. მ-მე. გ. მ-მემ განიზრახა თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი თ. ნ-შვილის მიმართ განეხორციელებინა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება თავისი სექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მან თ. ნ-შვილი შეიყვანა იქვე მდებარე სათავსში, დაუხურა კარი, თავად დადგა კარებთან, რათა გაქცევის საშუალება არ მიეცა, რის შემდეგ გაიხსნა შარვალი, ამოიღო ერეგირებული სასქესო ორგანო, თ. ნ-შვილს მასზე ძალის გამოყენებით მოაკიდებინა ორივე ხელი და აიძულა, რომ იგი "დაესრისა". დაახლოებით ორი წუთის შემდეგ კი გ. მ-მემ თ. ნ-შვილს მოსთხოვა მის სასქესო ორგანოს ტუჩებით შეხებოდა. თ. ნ-შვილი შეშინდა, დაიწყო ტირილი, მოახერხა სათავსოს კარის გარება და სახლში გაქცევა, სადაც მომხდარის შესახებ დედას უამბო.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. მ-მეს განესაზღვრა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 6 მაისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. მ-მემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ჯ-შვილმა. მათ მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 დეკემბრის განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელი.

კასატორები - მსჯავრდებული და მისი ადვოკატი საკასაციო საჩივრებში აღნიშნავენ, რომ გ. მ-მეს არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაული და ყოველივე ცილისწამებაა შურისძიების მიზნით. განაჩენი უკანონოა; სასამართლოებს არც კი უცდიათ სამართლის დადგენა და დაეყრდნენ არაობიექტური, ტენდენციური და ცალმხრივად ნაწარმოები წინასწარი გამოძიების მასალებს.

ძირითად მტკიცებულებას წარმოადგენს მცირეწლოვანი დაზარალებულის ჩვენება, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა გ. მ-მისათვის სსკ-ის 138-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ბრალად შერაცხვაში. წინასწარი გამოძიების დროს ჩატარდა ბიოლოგიური ექსპერტიზა, სავარაუდოდ იმის იმედად, რომ დადასტურებულიყო მცირეწლოვანი დაზარალებულის ჩვენება, თუმცა ამოდ. 2008 წლის 13 ივნისს გაცემული დასკვნის თანახმად, დაზარალებულ თ. ნ-შვილის ტანსაცმელზე სპერმატოზოიდები არ აღმოჩნდა. სპერმის საეჭვო ლაქები არ აღმოჩნდა გ. მ-მის ტანსაცმელზეც.

აღნიშნულმა დასკვნამ სრულიად გამორიცხა მცირეწლოვანი დაზარალებულის ჩვენების ობიექტურობა და დაადასტურა გ. მ-მის უდანაშაულობა. რაც შეეხება სხვა მტკიცებულებებს, მოწმეთა ჩვენებებს, ისინი აგებულია და ეყრდნობა სწორედ დაზარალებულის ჩვენებას და არცერთი მათგანი არ წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას.

ამასთან, გ. მ-მის ქმედება არასწორად დაკვალიფიცირდა სსკ-ის 138-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რადგან წინასწარი გამოძიების მწარმოებელს ან არ ჰქონდა წაკითხული აღნიშნული და 141-ე მუხლების დისპოზიცია ან საკანონმდებლო დონეზე ბუნდოვანია ამ მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების გამიჯვნის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები მოითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელზეც მიუთითებენ კასატორები, არ უარყოფს დაზარალებულის ჩვენებას. ამ უკანასკნელმა გარკვევით აღნიშნა, რომ სპერმით დაესვარა ხელები, რომლებიც დედამისმა დაბანა. ამდენად, ტანსაცმელზე სპერმატოზოიდების არ არსებობა დაზარალებულის ჩვენებების არაობიექტურობაზე არ მეტყველებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გ. მ-მის ბრალდების საქმეში, გარდა დაზარალებულის ჩვენებებისა, წარმოდგენილია არაერთი მტკიცებულება, რომლებიც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, მათ შორის:

ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ გ. მ-ძის შარვიდან ამოღებული ბოჭკოს მიკრონაწილაკები და დაზარალებულის ტანსაცმლის ქსოვილის ბოჭკოები ხასიათდებიან ერთნაირი გვაროვნული ნიშნებით – ბუნებით, ფერით, ფერის ტონალობით და სტრუქტურით.

შემთხვევის ადგილზე მყოფი თითქმის ყველა მოწმე მიუთითებს, რომ გ. მ-ძე საქვეყნოდ აღიარებდა – დანაშაული ჩავიდინეო და ითხოვდა პატიებას.

რაც შეეხება ქმედების კვალიფიკაციას, სსკ-ის 141-ე მუხლის დისპოზიცია გამორიცხავს ძალადობას, ხოლო ობიექტურად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, გ. მ-ძემ გამოიყენა ძალადობა, მისი მოქმედება – სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, იყო ძალმომრეობითი და, შესაბამისად, მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

საკასაციო პალატა ითვალისწინებს ქმედების განხორციელების სახეს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, რაც დადგენილია არაერთი პირის ჩვენებით და რასაც ორივე ინსტანციის სასამართლო მიუთითებს, იმას, რომ გ. მ-ძეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულისათვის კანონით დადგენილი სასჯელის ზომის თითქმის მაქსიმუმის დანიშვნა აშკარად უსამართლოა და გ. მ-ძეს უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

გარდა ამისა, გ. მ-ძის შარვალი, განაჩენში მითითებულ მისივე სხვა ნივთებთან ერთად უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულის ოჯახის წევრს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. მ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: გ. მ-ძეს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-5 ნაწილით დანიშნული სასჯელი – 19 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 3 წლით და საბოლოოდ განესაზღვროს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ნივთმტკიცებად ცნობილი – გ. მ-ძის შარვალი დაუბრუნდეს მისი ოჯახის წევრს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გაუპატიურება

განჩინება

#186-აპ-09

15 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. შ-შვილის დამცველის, ადვოკატ მ. პ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. შ-შვილი, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც ამ დანაშა-

ულისათვის მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, რასაც, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 12 წლის, 7 თვისა და 19 დღის ვადით, რის შედეგადაც ლ. შ-შვილს, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 22 წლის, 7 თვისა და 19 წლის ვადით.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ლ. შ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 14 თებერვალს ლ. შ-შვილმა, ბ. გ-შვილმა, გ. ო-ძემ და ვინმე მ. კ-იანმა მოაწყვეს ლ. ც-იას გატაცების ინსცენირება ამ უკანასკნელის ბიძის -ნ. ჯა-ძისაგან თანხის გამოძალვის მიზნით, რის გამოც ისინი 15-დან 19 თებერვლამდე პერიოდში იმყოფებოდნენ ქ. ზესტაფონში გ. ო-ძის კუთვნილი "ვაზ-2107" მოდელის ავტომანქანით. 16 თებერვალს, საღამოს საათებში, ზემოაღნიშნულ ავტომანქანაში ყოფნის დროს, ლ. შ-შვილმა განიზრახა, ძალადობით დაემყარებინა სქესობრივი კავშირი ლ. ც-იასთან. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ლ. შ-შვილმა თავის მეგობრებს -ბ. გ-შვილს, გ. ო-ძესა და ვინმე მ. კ-იანს უთხრა, რომ ისინი გადასულიყვნენ ავტომანქანიდან. ამის შემდეგ ფიზიკური ძალის გამოყენებით, რაც გამოიხატა დაზარალებულის ცემასა და კისერზე ხელის მოჭერაში, მან გახადა ლ. ც-იას ტანსაცმელი, ქვედა საცვალი და, დაზარალებულის წინააღმდეგობის მიუხედავად, მისი ნების საწინააღმდეგოდ, დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი.

2007 წლის 17 თებერვალს, საღამოს საათებში, ლ. შ-შვილმა იმავე ადგილზე, გ. ო-ძის კუთვნილ ავტომანქანაში ყოფნის დროს, კვლავ განიზრახა, ძალადობით დაემყარებინა სქესობრივი კავშირი ლ. ც-იასთან. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ლ. შ-შვილმა თავის მეგობრებს -ბ. გ-შვილს, გ. ო-ძესა და მ. კ-იანს უთხრა, რომ ისინი გადასულიყვნენ ავტომანქანიდან, რის შემდეგაც ფიზიკური ძალის გამოყენებით, გახადა ლ. ც-იას ტანსაცმელი, ქვედა საცვალი და დაზარალებულის წინააღმდეგობის მიუხედავად, მისი ნების საწინააღმდეგოდ, დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. 2007 წლის 16 და 17 თებერვალს ლ. შ-შვილის მიერ განხორციელებული ძალადობის შედეგად ლ. ც-იამ მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ლ. შ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა მ. კ-ძემ, რომელიც სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ლ. შ-შვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას შემდეგი მოტივებით: ლ. შ-შვილის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით შერაცხულ ბრალდებას საფუძვლად უდევს მხოლოდ დაზარალებულ ლ. ც-იას, მოწმე დ. უ-ელის, სასამართლოსამედიცინო ექსპერტების -ი. თ-შვილისა და ზ. გ-შვილის ჩვენებები, რაც არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, რადგან ისინი არ წარმოადგენენ პირდაპირ მტკიცებულებებს; ლ. შ-შვილს დაზარალებულ ლ. ც-იასთან არ დაუმყარებია სქესობრივი კავშირი და მისი მხრიდან არანაირ ძალადობას არ ჰქონია ადგილი.

სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარადგინა დაზარალებულმა ლ. ც-იამ, რომელიც გასაჩივრებულ განაჩენს მიიჩნევდა კანონიერად, დაასბუთებულად, სამართლიანად და ითხოვდა მის უცვლელად დატოვებას.

ადვოკატ მ. კ-ძის საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2008 წლის 6 ნოემბრის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ხოლო ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ლ. შ-შვილის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ლ. შ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა მ. კ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლითაც ითხოვს აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და ლ. შ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას შემდეგი მოტივებით: როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ასევე სააპელაციო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენები დააფუძნეს მხოლოდ დაზარალებულ ლ. ც-იას არასწორ ჩვენებებზე, რომლებიც სხვა სარწმუნო მტკიცებულებებით არ დასტურდება; სასამართლოებმა, სრულიად უსაფუძვლოდ, არ გაიზიარეს დაცვის მოწმეთა ჩვენებები; საქმეში არ მოიპოვება უტყუარ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა მსჯავრდებულ ლ. შ-შვილის ბრალის დასადასტურებლად.

დაცვის მხარის საკასაციო საჩივარზე შესაგებელი შეიტანა ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ც. ჭ-ძემ, რომელიც ითხოვს, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნეს ცნობილი მისი უსაფუძვლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ლ. შ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი ნაწილობრივ უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომლის მიხედვით, მსჯავრდებულ ლ. შ-შვილს არ ჩაუდენია დაზარალებულ ლ. ც-იას გაუპატიურება, რადგან საქმეში არსებობს საპროცესო ნორმების დაცვით მოპოვებული საკმარისი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მსჯავრდებულ ლ. შ-შვილს ნამდვილად ჰქონდა სქესობრივი კავშირი დაზარალებულ ლ. ც-იასთან, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ძალადობის გამოყენებით. აღნიშნული ფაქტი დასტურდება არა მხოლოდ თვით დაზარალებულის ჩვენებებით, არამედ -სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითა და მოწმეების ჩვენებებით, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენს საკმარის და დამაჯერებელ საფუძველს ლ. შ-შვილის ბრალეულობის თაობაზე დასაბუთებული დასკვნის გამოსატანად.

ამავე დროს, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომლის მიხედვით, მსჯავრდებულმა ლ. შ-შვილმა დაზარალებულ ლ. ც-იას გაუპატიურება ჩაიდინა არაერთგზის -ორჯერ, 2007 წლის 16 თებერვალს და შემდეგ კი -17 თებერვალს. მხოლოდ დაზარალებულ ლ. ც-იას ჩვენება, რომელიც ბრალდების ამ ნაწილში სხვა მტკიცებულებებით არ დასტურდება, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკმარის საფუძვლად აღნიშნული სასამართლო დასკვნისათვის და, მაშასადამე, ლ. შ-შვილის საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მსჯავრდებისათვის.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ ლ. შ-შვილის მსჯავრდებისას დაუშვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის "ა", "ბ" ქვეპუნქტებში მითითებული დარღვევა -სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის განაჩენში მსჯავრდებულ ლ. შ-შვილის სასიკეთოდ უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილებები: ლ. შ-შვილს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, როგორც გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობით.

აღნიშნული დანაშაულისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი ქმედების სიმძიმე და შედეგი, ასევე მისი ჩამდენის პიროვნება და საქმის სხვა გარემოებები, რომელთა გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მითითებული კვალიფიკაციის საფუძველზე ლ. შ-შვილს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რომელიც, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უნდა შეიკრიბოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილთან ერთად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ლ. შ-შვილის დამცველის, ადვოკატ მ. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

მსჯავრდებულ ლ. შ-შვილს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მისი ქმედება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ხოლო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რასაც დაემატოს ლ. შ-შვილის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -თავისუფლების აღკვეთა 12 წლის, 7 თვის, 19 დღის ვადით და მსჯავრდებულ ლ. შ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების

აღკვეთა 17 წლის, 7 თვისა და 19 დღის ვადით, რომლის მოხდის ათვლა მას დაეწყო 2008 წლის 30 ივნისიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ცივი იარაღის ტარება

განჩინება

#1274-აპ-08

24 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ბ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. პ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 ივლისის განაჩენით გ. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 18 ივნისიდან.

საქმეზე ცნობილი ნივთმტკიცება –დანა, რომელიც ინახება ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის #... განყოფილებაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ უნდა განადგურდეს.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ გ. ბ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 ნოემბრის განაჩენით, სხვისი ქონების ფარულად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ნასამართლევა, გ. ბ-ძემ, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან შეიძინა და ატარებდა ქარხნული წესით დამზადებულ დანას, რომელიც კრიმინალისტიკური ექსპერტიზის #433 დასკვნის თანახმად, მიეკუთვნება ცივ იარაღთა კატეგორიას და რომელიც ქ. ბათუმში 2008 წლის 25 მაისს, 21 საათსა და 20 წუთზე, აღმოუჩინეს და ჩამოართვეს მას ადმინისტრაციული წესით დაკავებისას.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული გ. ბ-ძე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი რ. პ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას იმ მოტივით, რომ სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა როგორც წინასწარი გამოძიების დროს, ასევე სასამართლო გამოძიებისას მოწმეთა მიერ მიცემულ ჩვენებებს; სასამართლომ არასწორი ანალიზი გაუკეთა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს და ისე დაადგინა მსჯავრდებულ გ. ბ-ძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი; სასამართლომ დაცვის მხარეს არ მისცა საშუალება, მოეწვია საქმეზე მოწმეები, რომლებიც ჭეშმარიტების დასადგენად არსებითად მნიშვნელოვანი ჩვენებების მიცემას აპირებდნენ.

გარდა ამისა, წარმოდგენილია მსჯავრდებულ გ. ბ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. პ-ძის დამატებითი საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა რა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს ადვოკატ რ. პ-ძის დამატებითი საკასაციო საჩივარზე, ვინაიდან იგი შეტანილია კანონით დადგენილი ვადის დარღვევით. კერძოდ, სსკ-ის 554-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი საკასაციო საჩივარი შეაქვთ 526-ე მუხლით დადგენილი წესით, რომ-

ლის შესაბამისად, დამატებითი საჩივრის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ, ერთი თვის ვადაში.

პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მოწმეების თ. თ-შვილის, ა. შ-ძისა და რ. მ-ძის ჩვენებებით; 2008 წლის 25 მაისის ადმინისტრაციული დაკავების ოქმით; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 მაისის დადგენილებით; 2008 წლის 6 ივნისის ექსპერტიზის დასკვნით; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 ნოემბრის განაჩენითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით მსჯავრდებულ გ. ბ-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა სრულად არის დადასტურებული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ბ-ძის მიმართ დანიშნული სასჯელი ზედმეტად მკაცრია და იგი უნდა შემსუბუქდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატის სახელზე წარმოდგენილი დახასიათების თანახმად, გ. ბ-ძემ დაამთავრა ქ. ბათუმის საშუალო სკოლა. იგი დადიოდა სპორტზე, მიღებული აქვს ქების სიგელი, ჰყავს 16 წლის ფეხმძიმე მეუღლე. გ. ბ-ძე 14 წლის ასაკში დაობლდა, მამის გარდაცვალების შემდეგ ჩავარდა დეპრესიაში, ხოლო დედა კი დაავადდა.

შპს "ბ-ის სამშობიარო სახლის" 2008 წლის 4 დეკემბრის ცნობით ირკვევა, რომ მსჯავრდებულ გ. ბ-ძის მეუღლე -ნ. დ-ძე იმყოფება აღრიცხვაზე შპს ორსულთა მეთვალყურეობის სამსახურში, დიაგნოზი: ორსულობა -31-32 კვირის.

მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების მთავარი ექიმის -დ. ა-ის მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ მსჯავრდებულ გ. ბ-ძე შემოვიდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 2008 წლის 28 დეკემბერს ბათუმის #3 საპრობილედან დიაგნოზით ქრონიკული ჰეპატიტი, ასციტი. სამკურნალო დაწესებულებაში ჩაუტარდა კლინიკო-ლაბორატორიული და ინსტრუმენტალური გამოკვლევები, ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციები. დაესვა წინასწარი დიაგნოზი: ტუბერკულოზური მეზადენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საკასაციო პალატის სახელზე წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მსჯავრდებულ გ. ბ-ძეს უნდა შეუმსუბუქდეს დანიშნული სასჯელი და მას საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ბ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ გ. ბ-ძეს საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცივი იარაღის ტარება

განჩინება

#1333-აპ-0

11 მარტი, 2009 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. კ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 ივლისის განაჩენით კ. კ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 238¹ მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობის მცდელობა საცავში უკანონო შეღწევით, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის; ასევე -ცივი იარაღის ტარება იმის მიერ, ვინც ნასამართლევ იყო განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

წარსულში სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ორჯერ ნასამართლევმა კ. კ-ძემ კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, კერძოდ: 2007 წლის 12 დეკემბერს იგი იმყოფებოდა ბათუმში, რა დროსაც განზრახა სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად კ. კ-ძე დაახლოებით 7 საათზე მივიდა ბათუმში, ზ. გ-ის ქ. #43-ში მდებარე ჯიხურთან, დანით ჩამტვრია მინები და ცდილობდა, დაუფლებოდა იქ არსებულ ნივთებს, რა დროსაც იგი შეამჩნია კერძო დაცვის სამსახურის თანამშრომელმა ჯ. გ-ძემ და დააკავა.

კ. კ-ძე 2007 წლის 12 დეკემბერს ატარებდა თავის მიერვე დაუდგენელ ვითარებაში შეძენილ, ქარხნული წესით დამზადებულ მოყავისფრო დანას, რომელიც ამოიღეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს. აღნიშნული დანა, შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით, მიეკუთვნება ცივი იარაღთა კატეგორიას.

ზემოაღნიშნული ქმედებებისათვის კ. კ-ძეს საბოლოოდ მიესაჯა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 12 დეკემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა დ. კ-ძემ და ითხოვა კ. კ-ძისათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -ადვოკატი დ. კ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და ზედმეტად მკაცრია შემდეგ გარემოებათა გამო:

კ. კ-ძემ წარდგენილ ბრალდებაში თავი მთლიანად ცნო დამნაშავედ, აღიარა ჩადენილი დანაშაული, მოინანია და ითანამშრომლა გამოძიებასთან; იგი დაადგა გამოსწორების გზას, შექმნა ოჯახი და დაიწყო მუშაობა; ჰყავს მარტოხელა დედა, რომლის ერთადერთი მარჩენალი თვითონაა; ხასიათდება დადებითად.

კასატორის აზრით, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ისე განიხილა საქმე, რომ დაცვის მხარეს არ შეატყობინა სხდომის დღე; იმ დროისათვის კი მიმდინარეობდა მოლაპარაკება პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე; ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენის მცდელობას; სავსებით შესაძლებელია, საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი დანა არ ეკუთვნოდეს მსჯავრდებულს; მიუხედავად ამისა, მან მაინც აღიარა დანაშაული, რადგან ჰქონდა საპროცესო შეთანხმების გაფორმების იმედი, მაგრამ აღნიშნული შემამსუბუქებელ გარემოებად არ გაითვალისწინა სასამართლომ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი დ. კ-ძე ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად, რათა დაცვის მხარეს მიეცეს საპროცესო შეთანხმების გაფორმების საშუალება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულის ადვოკატის მოტივს, თითქოს ამოღებული დანა შესაძლოა არ ეკუთვნოდეს მსჯავრდებულს. კ. კ-ძის მიერ სსკ-ის 238¹ მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა უტყუარად დასტურდება არა მხოლოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და თავად მსჯავრდებულის ჩვენებით. მოწმე ჯ. მ-ძე მიუთითებს, რომ მ. კ-ძეს ხელთ ჰქონდა დანაც, რომელიც შემთხვევის ადგილზე დააგდო და გაიქცა.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მითითება, თითქოს მსჯავრდებულის მიერ თავისი ქმედების გულწრფელი აღიარება და მონანიება სასამართლომ არ გაითვალისწინა სასჯელის დანიშვნისას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნ. კ-ძეს დანიშნული აქვს მისი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედებების სიმძიმის შესაბამისი, ზომიერი სასჯელი, რომლის შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს. ამასთან, უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, ნ. კ-ძემ, იყო რა სასამართლოვი განზრახ მძიმე დანაშაულისათვის, ჩაიდინა ცივი იარაღის ტარება, რასაც ითვალისწინებს სსკ-ის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი. აღნიშნულის მიუხედავად, ნ. კ-ძის ქმედება ორივე ინსტანციის სასამართლომ დააკვალიფიცირა ამ მუხლის მე-2 ნაწილით, რაც უნდა დაზუსტდეს.

გარდა ბრალდების ეპიზოდში მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის დაზუსტებისა, სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. კ-ძის ადვოკატ დ. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 სექტემბრის განაჩენი დაზუსტდეს ბრალდების ეპიზოდში მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში და ცივი იარაღის ტარების ნაწილში ნ. კ-ძის ქმედება ნაცვლად სსკ-ის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილისა დაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის -მსჯავრდებულისათვის სასჯელის დანიშვნის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება

განჩინება

#1422-აპ-08

6 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეთევილი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. წ-სა და ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ა. წ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 აპრილის განაჩენით მ. წ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით 9 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -3 წლის თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით -5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -3500 ლარი. აღნიშნულ სასჯელებს დამატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი და მ. წ-ს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 19 წლის ვადით და ჯარიმა 6000 ლარის ოდენობით.

მ. წ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

მ. წ-ი 2005 წლის 25 ივლისს გაასამართა ბათუმის საქალაქო სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაუთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. ამ ვადის გასვლამდე მ. წ-მ კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ: დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისგან შეიძინა დიდი ოდენობით -0,003 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელიც დაუდგენელ პირთან ერთად შეინახა თავის ავტომანქანაში, ხოლო შემდგომ მისი მოხმარების პროცესში შემჩნეული იქნა პოლიციის თანამშრომლების მიერ. მანვე, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ქარხნული წესით დამზადებული, პისტოლეტის 14 ვაზნა, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის ავტომანქანაში და ატარებდა, რაც 2007 წლის 29 ივლისს ამოიღეს პოლიციელებმა. აღნიშნული ქმედებებისათვის მ. წ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 19 წლის ვადით და ჯარიმა 6000 ლარის ოდენობით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ადვოკატმა გ. ჩ-მ და ითხოვა მ. წ-ს ქმედების მხოლოდ 273-ე მუხლით დაკვალიფიცირება. სახელმწიფო ბრალდებელმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა მსჯავრდებულისათვის დანიშნულის სასჯელის გამკაცრება და ვ. წ-ს კუთვნილი ავტომანქანის, როგორც დანაშაულის ჩადენის იარაღის, ჩამორთმევა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 07 ოქტომბრის განაჩენით პროკურორის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მსჯავრდებულის დამცველის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -მ. წ-ი გამართლდა სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. მ. წ-ს განესაზღვრა 12 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 3 მაისიდან.

კასატორი -ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორი ა. წ-ა თავის საჩივარში მიუთითებს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონოა, რადგან სასამართლომ არასწორად გამოიყენა სისხლის სამართლის კანონი და უსაფუძვლოდ გაამართლა მ. წ-ი სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. ბათუმის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მიერ არასწორად იქნა გაგებული საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის მოთხოვნები, როდესაც მ. წ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ არ ჩამოერთვა დანაშაულის იარაღი -ავტომანქანა. უტყუარადაა დადასტურებული, რომ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილ საბრძოლო მასალას მ. წ-ი ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა თავისი ავტომანქანით. იმ შემთხვევაში, როდესაც საბრძოლო მასალის გადაადგილება ხდება ავტომანქანით, აღნიშნული ავტომანქანა არის დანაშაულის ჩადენის იარაღი.

ამდენად, პროკურორი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და ხელახლა განსახილველად საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნებას.

მსჯავრდებული მ. წ-ი მოითხოვს მის მიმართ საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად აუცილებელი არათუ უტყუარი, ირიბი მტკიცებულებებიც კი. ავტომანქანიდან ამოღებული ვაზნები მას არ ეკუთვნის და ისინი თან ჰქონდა იმ დღეს გაცნობილ პირს, რომელიც იჯდა ავტომანქანაში. ვაზნები შეფუთული იყო და მ. წ-მ არც იცოდა მათ შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

მ. წ-ა სააპელაციო სასამართლოს განუმარტა, რომ შემთხვევის დღეს ვინმე გ-სთან ერთად მართლაც მოიხმარა ნარკოტიკი, რა დროსაც მანქანასთან მივიდნენ პოლიციელები. მან ცარიელი შპრიცი გადაადგო და გაიქცა, თუმცა უკან მიბრუნდა შპრიცის დამალვის მიზნით, რათა არავის გაეგო ნარკოტიკის მოხმარების თაობაზე. მსჯავრდებულმა ასევე მიუთითა, რომ შპრიცი, რომელიც სითხე აღმოჩნდა, მას არ ეკუთვნოდა. გ-მ დღეს მანქანაში ჩაჯდომისას გადასცა პარკში შეხვეული ნივთი და მ. წ-მ არ იცოდა, მასში რა იდო.

პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის ჩვენება შეესაბამება ბრალდების მხარის მოწმეთა ჩვენებებს იმ განსხვავებით, რომ მ. წ-ს მტკიცებით, მის მიერ გადაგებული შპრიცი ცარიელი იყო. აღნიშნული საკითხი სათანადოდაა გამოკვლეული სასამართლო სხდომაზე და ეჭვს არ იწვევს, რომ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი შპრიცი მოყვითალო სითხით სწორედ მ. წ-ს ეკუთვნოდა. მოწმეები -ს. ხ-ი და ა. შ-მე საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას თანმიმდევრულად და დეტალურად აღწერენ მომხდარს და მიუთითებენ, რომ მ. წ-მ გადაადგო შპრიცი მოყვითალო სითხით, რომელიც მაშინვე იპოვეს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებულია მხოლოდ ერთი შპრიცი მოყვითალო-მოყავისფრო სითხით. მოწმე რ. მ-მ სასამართლოს განუმარტა, რომ შემთხვევის ადგილზე ცარიელი შპრიციც აღმოჩნდა, თუმცა იგი არ გამოკვლეულა.

შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ამოღებულ ე.წ. "ინსულინის" შპრიცში არსებული სითხე შეიცავს 0,003 გრამ ჰეროინს.

მოწმეთა ჩვენებებით ასევე დადგენილია, რომ საჭესთან მყოფ მ. წ-ს შპრიცი გადასცა მის გვერდით მყოფმა დაუდგენელმა პირმა.

ამდენად, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით მ. წ-ს მსჯავრდების ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია, რადგან სასჯელი შეესაბამება მ. წ-ს პიროვნებას, ჩადენილი ქმედების სიმძიმეს და ზომიერია.

რაც შეეხება სსკ-ის 236-ე მუხლს, ბრალდების ამ ეპიზოდთან დაკავშირებით საქმეში არ მოიპოვება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ:

ავტომანქანის ჩხრეკის ოქმიდან არ ჩანს, კონკრეტულად რა ადგილიდან ამოიღეს ვაზნები, თუმცა რ. მ-მ განმარტა, რომ ისინი სალონის უკანა მხარეს იდო.

მოწმეები მიუთითებენ, რომ შემთხვევამდე ავტომანქანიდან გადმოვიდა სამი პირი და მხოლოდ ორი ჩაჯდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უტყუარი მტკიცებულებებით არ არის უარყოფილი მ. წ-ს განმარტება, რომ ვაზნები მას არ ეკუთვნოდა და ბრალდების ამ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი არ შეესაბამება სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში მ. წ-ს მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და, შესაბამისად, შეუმსუბუქდეს სასჯელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა ვერ გაიზიარებს პროკურორის საკასაციო საჩივრის მოტივებს.

ამასთან დადგენილია, რომ წინა განაჩენით დადგენილად მიჩნეული დანაშაულის ჩადენისათვის მ. წ-ი დააკავეს 2005 წლის 19 თებერვალს და იგი გათავისუფლდა იმავე წლის 21 თებერვალს, მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად უნდა დაემატოს არა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი, არამედ მისი მოუხდელი ნაწილი, ამ შემთხვევაში -1 წელი, 11 თვე და 28 დღე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

პროკურორ ა. წ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ მ. წ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ -ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის განაჩენი გაუქმდეს მ. წ-ს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში და ბრალდების ამ ეპიზოდში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

მ. წ-ს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით დანიშნულ სასჯელს - 8 წლით თავისუფლების აღკვეთას მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -1 წელი, 11 თვე, 28 დღე და მ. წ-ს საბოლოოდ განესაზღვროს 9 წლით, 11 თვით და 28 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2008 წლის 3 მაისიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება

განჩინება

#233-აპ-09

28 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ გ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის განაჩენზე ე. ტ-ევისა და ს. გ-იას მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 სექტემბრის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად და მიესაჯათ:

1. ე. ტ-ევს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" და მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტებით -9 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით, 237-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1 500 ლარის ოდენობით. ე. ტ-ევს განესაზღვრა 14 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით. მასვე სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა ავტომანქანა "ოპელ-ვექტრა";

2. ს. გ-იას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" და მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტებით -9 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1 000 ლარის ოდენობით, 237-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1 500 ლარის ოდენობით. ს. გ-იას განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 6 000 ლარის ოდენობით;

ე. ტ-ევს სასჯელის ათვლა დაეწყო 2008 წლის 31 იანვრიდან, ხოლო ს. გ-იას -2008 წლის 7 თებერვლიდან.

ამავე განაჩენით ფ. ლ-ძე და რ. ბ-ევი დაუსწრებლად ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" და მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 237-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯათ: ფ. ლ-ძეს -15 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -6 000 ლარი, ხოლო რ. ბ-ევს -14 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -5 000 ლარი. ოთხივე მსჯავრდებულს დაზარალებულის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 36 980 აშშ დოლარისა და 8 500 ევროს ეკვივალენტი ლარის, ასევე -5 800 ლარის გადახდა.

მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედებები კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

ე. ტ-ევი, ს. გ-ია, ფ. ლ-ძე და რ. ბ-ევი შეთანხმდნენ რა წინასწარ, 2008 წლის 31 იანვარს, 3 საათიდან და 4 საათამდე დროის მონაკვეთში, დაუდგენელ ორ ნიღბიან პირთან ერთად, ე. ტ-ევის კუთვნილი ავტომანქანით მივიდნენ ქ. ბათუმში მდებარე ოფისთან, კარების შენგრევის გზით შეაღწიეს შენობაში და დაუდგენელი ცეცხლსასროლი იარაღებით, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით თავს დაესხნენ დარაჯს -ნ. ნ-ძეს, რომელსაც შეუკრეს ხელეები. ოფისის შენობის მეორე სართულზე მდებარე დირექტორის კაბინეტში ბოროტმოქმედები მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ რკინის სეიფს და მასში მოთავსებულ 42000 აშშ დოლარს, 6000 ევროს, "მაკაროვის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღს ორი მჭიდითა და 40 საბრძოლო ვაზნით და შპს-ს დოკუმენტაციას, ასევე -საეკლესიო შანდალს, საოფისე დანას, ორ წყვილ კამათელს და კომპიუტერის ე.წ. მყარ დისკს, ხოლო შპს-ს ბუღალტრის კაბინეტში დაეუფლნენ 1800 ლარად ღირებულ კომპიუტერს. აღნიშნული ნივთები თავდამსხმელებმა მოათავსეს ე. ტ-ევის კუთვნილ ზემოაღნიშნულ ავტომანქანაში და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების -ე. ტ-ევისა და ს. გ-იას ადვოკატებმა -ე. მ-ძემ და ს. რ-ძემ. აპელანტებმა მოითხოვეს ე. ტ-ევის ქმედების სსკ-ის 376-ე მუხლით დაკვალიფიცირება და ს. გ-იას გამართლება სსკ-ის 237-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 იანვრის განაჩენით ს. გ-ის დამცველის საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო ე. ტ-ევის ადვოკატის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გასაჩივრებული განაჩენიდან ე. ტ-ევისა და ს. გ-ის მიმართ ამოირიცხა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტები და ამ მუხლით დამატებით სასჯელად დანიშნული ჯარი-მა. ე. ტ-ევი და ს. გ-ია გამართლდნენ სსკ-ის 237-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. ე. ტ-ევის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით მიესაჯა 9 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ს. გ-ის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით მიესაჯა 9 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -ჯარიმა 2 000 ლარი. მას საბოლოოდ განესაზღვრა 9 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2 000 ლარი. სხვა ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -პროკურორი გ. დ-შვილი თავის საჩივარში მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატამ სსკ-ის 237-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ე. ტ-ევის გამართლების მოტივად აღნიშნა მტკიცებულებათა არარსებობა, ხოლო ს. გ-ის შესახებ მიუთითა, რომ მას ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მისაკუთრების მიზანი არ ჰქონდა. ბოროტმოქმედები დაუფლნენ სეიფსაც, რომელშიც თანხასთან ერთად იდო ცეცხლსასროლი იარაღი. პროკურორის აზრით, ვინაიდან შემთხვევის ადგილზე სეიფი არ გახსნილა, მისი დაუფლებისას თავდამსხმელებს ამომრავებდათ არა მხოლოდ თანხის, არამედ -სეიფში არსებული და იმ დროისათვის უცნობი ნივთების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, რაც განხორციელდა კიდევ. ის გარემოება, რომ ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები ინახებოდა ს. გ-ის საცხოვრებელ სახლში, გამოწვეული იყო დაუფლებული ნივთების ურთიერთშორის განაწილებით. პროკურორი ასევე აღნიშნავს, რომ გასარკვევია, რამდენად კანონიერია პირის გამართლებისას განზრახვაზე მითითება ნივთის მისაკუთრებასთან დაკავშირებით, როდესაც სახეზეა მესაკუთრისაგან ამ ნივთის ამოღება და როდესაც პირს სურს სხვისი ნივთების, მიუხედავად მათი სახეობისა, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბრალმდებელი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და საქმის გაგზავნას ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა და თავად კასატორიც აღნიშნავს, რომ თავდამსხმელებმა არ იცოდნენ გატაცებულ სეიფში ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის არსებობის შესახებ.

პალატა განმარტავს, რომ ცეცხლსასროლი იარაღის დაუფლება, სსკ-ის 237-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. შესაბამისად, თუკი პირს არ ამომრავებს ცეცხლსასროლი იარაღის დაუფლების მიზანი და, მისი ნებისაგან დამოუკიდებლად, შემთხვევით ამგვარი იარაღი აღმოჩნდება უკვე დაუფლებულ ნივთებს შორის, ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება დანაშაულის ამა თუ იმ საგნით დაფუძნებული რომელიმე მუხლით. მხოლოდ მესაკუთრისაგან ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ ამოღების გათვალისწინებით პირის პასუხისგებაში მიცემა სხვა არაფერია, თუ არა ქმედების ობიექტური შერაცხვა, რაც დაუშვებელია ზოგადსამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე. სწორედ ამის გამო, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია არა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული და მართლსაწინააღმდეგოდ, არამედ ბრალეული ქმედებაც. რაც შეეხება იარაღის მისაკუთრების მიზნის არ არსებობას, რაზეც სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, იგი არ გამოირიცხავს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, რამდენადაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა-შენახვისას მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა ვერ გაიზიარებს პროკურორის საკასაციო საჩივრის მოტივებს.

გასაჩივრებული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურია, რადგან ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებებს და მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს სამოქალაქო სარჩელის ნაწილში, კერძოდ:

დაზარალებულის დამცველი მიუთითებს, რომ თავდამსხმელებმა გაიტაცეს 780 აშშ დოლარად ღირებული სეიფი, 42 000 აშშ დოლარი, 10 000 ევრო, ორი კომპიუტერი, თითოეული ღირებული 2 800 ლარად, ე.წ. ჩიპი, ღირებული 600 აშშ დოლარად. დაზარალებულმა ასევე მოითხოვა ადვოკატის მომსახურების ხარჯის -200 ლარის ანაზღაურება, მთლიანობაში კი ოთხივე მსჯავრდებულისათვის 43 380 აშშ დოლარის, 10 000 ევროსა და 5 800 ლარის გადახდის და-

კისრება. საბრალდებო დასკვნით დადგენილია, რომ ბოროტმოქმედებმა, სხვა ნივთებთან ერთად, გაიტაცეს 6 000 ევრო და 1 800 ლარად ღირებული კომპიუტერი.

გასაჩივრებული განაჩენით სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებულს დაუბრუნდა 6 500 აშშ დოლარი და 1500 ევრო, მსჯავრდებულებს დაეკისრათ 36 980 აშშ დოლარის, 8500 ევროს ეკვივალენტი ლარის და 5 800 ლარის გადახდა.

ორივე ინსტანციის სასამართლომ არაფრით დაასაბუთა თანხის აღნიშნული ოდენობა. კერძოდ, თავად დაზარალებულმა სასამართლოში განმარტა, რომ სეიფში იდო 42 000 აშშ დოლარი და 6 000 ევრო, თუმცა თავის სარჩელს მხარი დაუჭირა. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ მოთხოვნილი თანხაში დაზარალებული მიუთითებდა სეიფის ღირებულებასაც, რომელიც, მართალია დაზიანებული, მაგრამ დაუბრუნდა დაზარალებულს. გაურკვეველია, რამდენი კომპიუტერი გაიტაცეს და რის საფუძველზე დადგინდა ერთი კომპიუტერის საფასური -2 800 ლარი, როდესაც საბრალდებო დასკვნით გატაცებულია ერთი კომპიუტერი და მისი ღირებულება 1 800 ლარით განისაზღვრა. პალატა აქვე აღნიშნავს, რომ 43 380 აშშ დოლარის ოდენობით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობებში, როდესაც მოსარჩელეს დაუბრუნდა 6 500 აშშ დოლარი, მსჯავრდებულებს სოლიდარულად უნდა დაკისრებოდათ 36 880 აშშ დოლარის გადახდა, ნაცვლად განაჩენში მითითებული 36 980 აშშ დოლარისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენით ზიანის ოდენობა სათანადოდ არ დადგენილა და სამოქალაქო სარჩელის ნაწილში მისი კანონიერების შემოწმება შეუძლებელია. ამის გამო, საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენი უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეცეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია, ხოლო სასჯელების დანიშვნის ნაწილში -სამართლიანი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

პროკურორ გ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის განაჩენი ე. ტ-ევისა და ს. გ-იას მიმართ გაუქმდეს სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეცეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება

განჩინება

#666-აპ

19 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ფ-ნის ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. კ-იას, მსჯავრდებულ კ. ქ-იას ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჭ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 მარტის განაჩენით, ი. ძ-ის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა პირველ ეპიზოდში –საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მეორე ეპიზოდში –საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ვინაიდან პირმა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა შეურაცხაობის მდგომარეობაში, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით.

ი. ძ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება –დაპატიმრება გაუქმდა და იგი გათავისუფლდა პატიმრობიდან.

ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის 2009 წლის 16 მარტის დასკვნის, საქართველოს სსკ-ის 499-ე მუხლისა და „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა საფუძველზე ი. ძ-ლი არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გასაწევად (გამოყენებულ იქნა „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიება –არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება) უნდა მოთავსდეს შპს „აკადემიკოს ბ. ნ-ის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“.

ი. ძ-ის გადაყვანა შპს „აკადემიკოს ბ. ნ-ის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ უნდა უზრუნველყოს შსს ზუგდიდის რაიონულმა სამმართველომ.

ჯ. ფ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით –3 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 4 სექტემბრის ეპიზოდი) –8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 13 სექტემბრის ეპიზოდი) –9 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ჯ. ფ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 20 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 21 სექტემბრიდან.

კ. ქ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 4 სექტემბრის ეპიზოდი) –8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 13 სექტემბრის ეპიზოდი) –8 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, კ. ქ-იას მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ მას მოსახდელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. კ. ქ-იას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 21 სექტემბრიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ჯ. ფ-მა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ერთლულიანი, გოლვლულიანი, ლულა და კონდახგადაჭრილი „იუ-17“ მოდელის, 16 მმ კალიბრის #53332 სანადირო თოფისაგან კუსტარულად დამზადებული ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა და ინახავდა თავისი საცხოვრებელი სახლის საძინებელ ოთახში. 2008 წლის 21 სექტემბერს, ზუგდიდის რაიონული სამმართველოს მუშაკებმა მითითებული იარაღი ამოიღეს მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას.

2008 წლის 4 სექტემბერს ჯ. ფ-ნი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ამავე სოფელში მცხოვრებ, არასრულწლოვან კ. ქ-იას, ი. ძ-ს, გამოძიებით დაუდგენელ პირებს და მათ განიზრახეს ყაჩაღური თავდასხმის გზით, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თავს დასხმოდნენ ზუგდიდის რაიონში, მცხოვრებ ფ. ვ-ს ოჯახს. განზრახვის სისრულეში მოსყვანად ლულა და კონდახგადაჭრილი სანადირო თოფით შეიარაღებული ჯ. ფ-ნი, მისი თანამზრახველები –ი. ძ-ი, კ. ქ-ია და გამოძიებით დაუდგენელი პირები, იმავე დღეს, დაახლოებით 00.30 საათზე, მივიდნენ ზუგდიდის რაიონში, მცხოვრებ ფ. ვ-ას საცხოვრებელ სახლში, სადაც ყაჩაღურად თავს დაესხნენ ფ. ვ-ას, მ. დ-იას, ტ. ვ-ას და მათგან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით გაიტაცეს სხვადასხვა დასახელების ნივთები და საგნები, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 1555 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2008 წლის 12 სექტემბერს ჯ. ფ-იანი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ამავე სოფელში მცხოვრებ, არასრულწლოვან კ. ქ-იას, ი. ძ-ს და გამოძიებით დაუდგენელ პირებს. მათ განიზრახეს ყაჩაღური თავდასხმის გზით, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თავს დასხმოდნენ ზუგდიდის რაიონში, მცხოვრებ გ დ-იას ოჯახს. განზრახვის სისრულეში

მოსაყვანად ისინი იმავე დღეს, დაახლოებით 00 საათზე, სანადირო თოფით შეიარაღებული მივიდნენ ზუგდიდის რაიონში., მცხოვრებ გ. დ-ის საცხოვრებელი სახლის ჭიშკართან, სადაც გაჩერდნენ ი. ძ-ი და გამოძიებით დაუდგენელი პირები, ხოლო სანადირო თოფით შეიარაღებულნი ჯ. ფ-ნი და არასრულწლოვანი კ. ქ-ია ყაჩაღურად თავს დაესხნენ გ. დ-ის, რომელსაც შეუკრეს ხელები და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით მისგან გაიტაცეს სხვადასხვა დასახელების ნივთები და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 1230 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ივნისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხა მითითება ჯ. ფ-ის დამატებითი სასჯელის სახით 3000 ლარის დანიშვნის თაობაზე.

ჯ. ფ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 4 სექტემბრის ეპიზოდი) -8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 13 სექტემბრის ეპიზოდი) -9 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ჯ. ფ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 20 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 21 სექტემბრიდან.

კ. ქ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 4 სექტემბრის ეპიზოდი) -8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 13 სექტემბრის ეპიზოდი) -8 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, კ. ქ-ის მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა სასჯელის ერთი მეოთხედით და საბოლოოდ მას მოსახდელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. კ. ქ-ის სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 21 სექტემბრიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, კუსტარულად დამზადებული, ლულა და კონდახგადაჭრილი, ერთლულიანი სანადირო თოფი #KG 53332, რომელიც ინახება ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში (შენახვაზე უფლებამოსილი პირი -დეტექტივის თანაშემწე, გამოძიებელი თ. ჯ-ა), უნდა მიექცეს სახელმწიფო საკუთრებაში და განკარგვის მიზნით გადაეგზავნოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების შტაბის შეიარაღების განყოფილებას, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ქარხნულად დამზადებული, ერთლულიანი სანადირო თოფი #7883მ, რომელიც ინახება ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში, შესაბამისი ნებართვის მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მფლობელს -დ. ფ-ს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

2008 წლის 21 სექტემბერს ჯ. ფ-ს, კ. ქ-ს და 2008 წლის 25 სექტემბერს ი. ძ-ის საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთმტკიცებები დაუბრუნდა მფლობელებს.

მოქალაქე გ. ა-გან ამოღებული "ნოკიას" ფირმის მობილური ტელეფონი დაუბრუნდა მფლობელს.

მსჯავრდებულ ჯ. ფ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. კ-ია საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ჯ. ფ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას. კასატორის განმარტებით, განაჩენი არის მკაცრი, ცალმხრივი და ტენდენციური, რამდენადაც მოსამართლეს არ მოუხდენია I ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებათა სათანადო სამართლებრივი ურთიერთშეჯერება, რაც, საბოლოო ჯამში, აისახა ჯ. ფ-იანის მიმართ გასაჩივრებულ განაჩენში; მოსამართლემ არ აღმოფხვრა ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა I-ლი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილსა და სასამართლოზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა შორის, არ გაითვალისწინა საქმის ობიექტურად გადასაწყვეტად არსებული მტკიცებულებანი, განაჩენის გამოსატანად დაეყრდნო ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც დაუშვებელია; როგორც საბრალდებო დასკვნა, ასევე I-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს განაჩენები შედგენილია არაობიექტურად, ფაქტობრივი გარემოებების მიჩქმალვითა და ყალბი მონაცემებით. შესაბამისად, როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე პირველი ინსტანციის სასამართლო გამოძიების ეტაპზე დაირღვა მტკიცებულებათა გამოკვლევის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესი, ხოლო სასამართლო გამოძიებისას გამოქვეყნებული და გამოკვლეული მტკიცებულებები როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ არაობიექტური, არასამართლებრივი რწმენითაა შეფასებული. კერძოდ:

2008 წლის 4 სექტემბერს ჯ. ფ-ის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა კონდახ და ლულაგადაჭრილი, ერთლულიანი, Iქ-17 მოდელის, 16 მმ კალიბრის, სანადირო თოფი ნომრით #Kჩ 53332, ხოლო მას ბრალად აქვს შერაცხული დანაშაულის ჩადენა,

რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I და II ნაწილით ე.ი. შეძენა, შენახვა და ტარება. აღნიშნული დანაშაულის ჩადენის ფაქტი განაჩენით დადასტურებულია დაზარალებულების ჩვენებებითა და ასევე -ჩხრეკის ოქმით. სინამდვილეში კი: განაჩენში უგულვებელყოფილია ის გარემოებები, რომლებიც გამოირკვა სასამართლო გამოძიების დროს მოწმეთა დაკითხვით და დაფიქსირებულია სხდომის ოქმში.

იარაღის ტარების ფაქტი ვერ დასტურდება დაზარალებულის ჩვენებით, რადგანაც ვერც წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებაში, რომელიც გამოქვეყნდა სასამართლო სხდომაზე და ვერც დაცვის მხარის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას ვერ დაასახელეს, კონკრეტულად რა იარაღი გააჩნდათ თავდამსხმელებს. სასამართლოზე არ ყოფილა მოპოვებული რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ჯ. ფ-იანს იმ ბრალდებით, რასაც ედავებიან.

მსჯავრდებულ კ. ქ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ჭ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და კ. ქ-ს გამართლებას იმ საფუძველით, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსკ-ის 547-ე მუხლის მოთხოვნა, კერძოდ, განაჩენი უკანონოა იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლომ საქმის განხილვის დროს დაუშვა სამართლებრივი პროცედურის აშკარა დარღვევა; არ მისცა შეფასება იმ მტკიცებულებებს, რაც ადასტურებს კ. ქ-ს უდანაშაულობას, იგი უკანონოდ იქნა მსჯავრდებული, განსაკუთრებით ეს ითქმის პირველ, ფ. ვ-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ეპიზოდზე, რამდენადაც დაზარალებული კატეგორიულად უარყოფდა ყაჩაღურ თავდასხმაში კ. ქ-სა და ჯ. ფ-ის მონაწილეობას. სასამართლო მუქარით შეეცადა მის დაშინებას და აღნიშნული განცხადების უარყოფას. სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევით, რადგანაც "სასამართლო შემადგენლობის მხრიდან ადგილი ჰქონდა დაზარალებულის მიმართ მუქარას, რათა მას შეეცვალა ჩვენება და მიეცა ისეთი ჩვენება, რომელიც არ შეესაბამებოდა სიმართლეს". ამან კი არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. სწორედ ამასში მდგომარეობს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის უსამართლობა. ამას ადასტურებს დაზარალებულ ფ. ვ-ს მიერ წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოტივს, რომ საქმეში არ მოიპოვება ჯ. ფ-სა და კ. ქ-სა მიერ დანაშაულის ჩადენის რაიმე მტკიცებულება. საქმეში არსებული მტკიცებულებებით უდავოდ დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულებმა -ჯ. ფ-მა და კ. ქ-მ ჩაიდინეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 4 სექტემბრის ეპიზოდი), ასევე 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 13 სექტემბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულები, კერძოდ:

დაზარალებულ ფ. ვ-ს მიერ მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ 2008 წლის 4 სექტემბერს, ღამის საათებში, ძმასთან -ტ. ვ-ასთან, დედასთან -ვ. და დეიდა მ. დ-იასთან ერთად იმყოფებოდა ოჯახში. დაახლოებით 00.30 საათზე ოთახში შევიდა საშუალო სიმაღლის, სახეზე ნიღაბფარებული პირი, რომელსაც ხელში ეჭირა გადაჭრილი სანადირო თოფი და იარაღის მუქარით მოსთხოვა ფული და ოქრო, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა დაუთოებით. რამდენიმე ხანში ოთახში შემოვიდა ასევე სახეზე ნიღაბფარებული, დაბალი ტანის, 25 წლამდე ასაკის ბოროტმოქმედი. ორივემ დაიწყო მისაღებ ოთახში ტომრებით დაწყობილი თხილის გატანა. გარედან კიდევ ისმოდა ორი ბოროტმოქმედის ხმა. თავდამსხმელები მის ოჯახში იმყოფებოდნენ დაახლოებით 2 საათის განმავლობაში. წასვლისას დაემუქრნენ, რომ გარეთ არ გასულიყვნენ, თორემ გარეთ დადარაჯებული მათი მეგობრები შურს იძიებდნენ. მუქარით შეშინებულებმა მხოლოდ დილის 8 საათზე აცნობეს მომხდარის შესახებ პოლიციას. ყაჩაღობიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მასთან მივიდნენ კ. ქ-სა და ჯ. ფ-ის მშობლები, რომლებმაც უთხრეს, რომ მათ შვილებს გ. დ-იას ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა ჰქონდათ ჩადენილი, ხოლო მის (ფ. ვ-ას) ოჯახზე განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღიათ და უთხრეს, ხელი არ დაედო მათთვის. სთხოვდნენ ეთქვა, რომ, თითქოსდა, მეზობლებმა უთხრეს, რომ თხილი ენგურის მხარეს იყო წადებული. პოლიციის თანამშრომლებს ოქმის შედგენის დროს ოთხთვალას მიერ დატოვებულ კვალსა და დაცვენილ თხილზე არაფერი უთქვამთ. არც არავისგან გაუგონია ასეთი რამ.

დაზარალებულ გ. დ-იას მიერ მიცემული ჩვენებებით დასტურდება, რომ მის ოჯახზე 2008 წლის 12 სექტემბერს, დაახლოებით 22 საათიდან 13 სექტემბრის დილამდე, განხორციელდა ყაჩაღური თავდასხმა. მას თავს დაესხა დაახლოებით 8 პირი. მან დაინახა მხოლოდ ერთ-ერთის სახე. თუმცა იგი განსასჯელთა შორის არ იმყოფება. სხვების სახე არ დაუნახავს, რადგან ხელ-ფეხი

შეუკრეს და თავზე დააყარეს ყველაფერი, რაც ხელთ მოხვდათ. ორი თავდამსხმელი შეიარაღებული იყო თოფებით. ისინი სცემდნენ, ემუქრებოდნენ მოკვლით. მათი წასვლის შემდეგ მოახერხა ხელების გახსნა. ნახა, რომ წაღებული იყო 12 ტომარა თხილი, კომპიუტერი, საათი „ორიენტი“, „მოტროლას“ და „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონები.

მოწმე გ. ა-იას ჩვენებით დადგენილია, რომ 2008 წლის 18-19 სექტემბერს ქ. ზუგდიდში, შეხვდა მისთვის უცნობ 3-4 ახალგაზრდა ბიჭს. ერთ-ერთი მათგანისაგან იყიდა „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი 110 ლარად. მობილურის გამყიდველმა ახალგაზრდამ უთხრა, რომ იყო კ. ქ-ია მანვე აჩვენა პირადობის მოწმობა და უთხრა, რომ ტელეფონი ახლობელმა გამოუგზავნა რუსეთიდან. შეამოწმა (გ. ა-იამ) ტელეფონი, მისი იმეი კოდი და ტელეფონში მოათავსა სიმბარათი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მსჯავრდებულების -ჯ. ფ-სა და კ. ქ-იას მიერ ყაჩაღობის ჩადენის ფაქტი დადასტურებულია ასევე ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, მოწმეთა ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებით, საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმებით, ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

რაც შეეხება სსკ-ის 236-ე მუხლს, საკასაციო პალატა თვლის, რომ ბრალდების ამ ეპიზოდთან დაკავშირებით საქმეში არ მოიპოვება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ:

დაზარალებულ ფ. ვ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ 2008 წლის 4 სექტემბერს მის ოჯახზე ყაჩაღურად თავდასხმის დროს ერთ-ერთ ნიღაბაფარებულ თავდამსხმელს ხელში ეჭირა გადაჭრილი სანადირო თოფი; დაზარალებულ ტ. ვ-ს ჩვენებით, 2008 წლის 4 სექტემბერს ყაჩაღობის ჩამდენ პირებს ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღები; დაზარალებულ მ. დ-ს ჩვენებით, 2008 წლის 4 სექტემბერს მათ ოჯახზე ყაჩაღობისას თავდამსხმელები იყვნენ შეიარაღებულები. ერთ-ერთ მათგანს ხელში ეჭირა თოფთან შედარებით მოკლე იარაღი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქმის მასალების მიხედვით, არ არის დადგენილი ჯ. ფ-ის მიერ თანაქონი იარაღის ვარგისიანობა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უტყუარად არ არის დადასტურებული ჯ. ფ-ის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვისა და ტარების ფაქტი, რის გამოც სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში ჯ. ფ-ის მიმართ მსჯავრდების ამ ეპიზოდში უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და, შესაბამისად, შეუძლებელია სასჯელი.

რაც შეეხება ამავე საქმეზე მსჯავრდებულ ი. მ-ს, რომელსაც განაჩენი საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, სრული მოცულობით შეამოწმა საქმე მსჯავრდებულ ი. მ-ის მიმართაც და მიიჩნია, რომ დადგენილი განაჩენი მის მიმართ კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჭ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ ჯ. ფ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. კ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ივნისის განაჩენი შეიცვალოს, კერძოდ:

განაჩენი გაუქმდეს ჯ. ფ-ის საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში და ბრალდების ამ ეპიზოდში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

მსჯავრდებულ ჯ. ფ-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (2008 წლის 4 სექტემბრის ეპიზოდი) და 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 13 სექტემბრის ეპიზოდი) საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება

განჩინება

#524-აპ-09

3 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ხ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენით ა. ხ-ძე და რ. ფ-ძე ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-18,179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებითა და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჯგუფურად და არაერთგზის ჩაიდინეს ქურდობა, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე - ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, არაერთგზის; ასევე - ყაჩაღობის მომზადება არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

ა. ხ-ძემ ასევე ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, არაერთგზის და დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების მიზნით, ასევე - ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გასაღება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 11 ნოემბერს, დაახლოებით 22 საათზე, მორგებული გასაღების, ე.წ. „ატმიჩკის“ გამოყენებით ა. ხ-ძემ და რ. ფ-ძემ გააღეს დ. ... მცხოვრები გ. თ-ძის ბინის შესასვლელი კარი, უკანონოდ შეაღწიეს ბინაში, სადაც ფარულად დაეუფლნენ და მისაკუთრეს 2890 ლარის ქონება, რითიც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს დაზარალებულს.

ა. ხ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „BEღთთA-ს“ მარკის პისტოლეტი ერთი ვაზნით, რასაც ინახავდა და ატარებდა, ხოლო 2007 წლის 19 იანვარს, ყაჩაღური თავდასხმის მზადებისას, გადასცა რ. ფ-ძეს. მანვე არაერთგზის ჩაიდინა საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა, კერძოდ, დაუდგენელი პირისაგან შეიძინა საბრძოლო მასალა -ავტომატისათვის განკუთვნილი 29 ვაზნა, რომელიც პოლიციელებმა ამოიღეს 2007 წლის 20 იანვარს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად. რ. ფ-ძე თავის საცხოვრებელ სახლში ინახავდა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ვარგის ხელყუმბარას.

2006 წლის 28 დეკემბერს ა. ხ-ძემ წინასწარი შეთანხმებით, დაუდგენელ, ცეცხლსასროლი იარაღითა და დანებით შეიარაღებულ პირებთან ერთად, დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, შეაღწია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სატეხიაში მდებარე ახმედ ფ-ძის საცხოვრებელ სახლში და ყაჩაღური გზით დაეუფლა დაზარალებულის დიდი ოდენობით ნივთებს.

შექმნეს რა ორგანიზებული ჯგუფი, ა. ხ-ძემ და რ. ფ-ძემ 2007 წლის 19 იანვარს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... ჩაიდინეს ა. ქ-ძის საცხოვრებელ სახლზე ყაჩაღური თავდასხმის მომზადება არაერთგზის და ბინაში უკანონო შეღწევით.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. ხ-ძეს მიესაჯა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით 6 წლით, მე-18,179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით -14 წლით და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 ნაწილებით და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განესაზღვრა ერთი სასჯელი -9 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ა. ხ-ძეს მიესაჯა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 14 500 ლარის ოდენობით;

რ. ფ-ძეს განესაზღვრა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით 6 წლით, მე-18, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით -14 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განესაზღვრა ერთი სასჯელი -8 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. რ. ფ-ძეს მიესაჯა 28 წლით და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4 000 ლარის ოდენობით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ რ. ფ-ძის ადვოკატმა მ. დ-ძემ, რომელმაც ითხოვა მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის შემცირება მინიმუმამდე.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს მსჯავრდებულის ადვოკატმა დააზუსტა საჩივრის მოთხოვნა და ითხოვა რ. ფ-ძის გამართლება სსკ-ის მე-18, 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო დანარჩენ ნაწილში -სასჯელის შემსუბუქება და ნაწილის პირობით ჩათვლა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 თებერვლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და განაჩენი შეიცვალა:

განაჩენიდან რ. ფ-ძის მიმართ ამოირიცხა საქართველოს სსკ-ის მე-18, 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ამ ნაწილში გამართლდა; ასევე ამოირიცხა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, როგორც ზედმეტად შერაცხული; გაუქმდა განაჩენი მსჯავრდებულისათვის დამატებითი სასჯელის დანიშვნისა და სამოქალაქო სარჩელის ნაწილში. რ. ფ-ძეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-18, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 18 წლით; მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 3 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სხვა ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ე. გ-შვილმა, რომელმაც ითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინებით პროკურორის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 თებერვლის განაჩენი რ. ფ-ძის მსჯავრდების თაობაზე და საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაიგზავნა იმავე სასამართლოში.

2008 წლის 21 მარტს დაკავების შემდეგ განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. ხ-ძემაც და მოითხოვა გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 მარტის განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: რ. ფ-ძე გამართლდა სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; განაჩენიდან მის მიმართ ამოირიცხა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, მე-18, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე მითითება; რ. ფ-ძე სასჯელის დაუნიშნავად ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-18, 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით;

ა. ხ-ძის მიმართ განაჩენიდან ამოირიცხა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, მე-18, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითება; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით, მე-18, 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით -14 წლით და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 ნაწილებით და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განესაზღვრა ერთი სასჯელი -9 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ა. ხ-ძეს საბოლოოდ მიესაჯა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 21 მარტიდან.

მსჯავრდებული ა. ხ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ უდანაშაულოა, მისი მამხილებელი მტკიცებულება ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია, რის გამოც მოითხოვს საქმის შეწყვეტას და სრულ რეაბილიტაციას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას მისი სრული უდანაშაულობისა და საქმეში მტკიცებულებათა არ არსებობის შესახებ, კერძოდ:

აწ გარდაცვლილი რ. ფ-მე საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას თანმიმდევრულად და დეტალურად აღწერდა ა. ხ-ძესა და სხვა პირებთან ერთად ჩადენილ არაერთ დანაშაულს. აღნიშნულ ჩვენებათა ობიექტურობაზე მეტყველებს რ. ფ-ძის მონაწილეობით ჩატარებული საგამომი-ბო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებიც, მათ შორის, გატაცებული ნივთები, რომლებიც ამოიგნეს დაზარალებულებმა. გარდაცვლილი მსჯავრდებულის ჩვენებით, ა. ქ-ძის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის მზადებისას ა. ხ-ძემ მოიტანა "BEღEთთA"-ს მარკის პისტოლეტი, რომელსაც, როგორც თავად აღნიშნა, ჰქონდა "პატარა დეფექტი", მხოლოდ თვითონ შეეძლო გას-როლა და ამიტომ თავად ექნებოდა თავდასხმისას. ეს პისტოლეტი რ. ფ-ძის მეშვეობით ამოღე-ბულ იქნა და საგულისხმოა, რომ შესაბამისი კვლევით, მისგან გასროლა შესაძლებელია მხოლოდ ჩახმახის ხელით ფიქსირებისა და გაშვების შედეგად.

ა. ფ-ძის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გატაცებული ნივთები აღმოჩნდა ა. ხ-ძის საცხოვრებელ სახლში. ამასთან, დაზარალებულმა სააპელაციო პალატას განუცხადა, რომ თავდას-ხმისას იცნო ა. ხ-ძე.

ყოველივეს მიუხედავად საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ა. ხ-ძის მიმართ წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთ ეპიზოდში გასაჩივრებული განაჩენი დაუსაბუთებელია და გამოტანილია სის-ხლის სამართლის საპროცესო და მატერიალური კანონის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ:

პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილი მოიცავს მხოლოდ მე-3 ნაწილს. აღსანიშნავია, რომ ამის თაობაზე გასაჩივრებულ განაჩენშიც მითითებულია, მაგრამ მხოლოდ რ. ფ-ძის ბრალდებასთან მიმართებით. გარდა იმისა, რომ ა. ხ-ძე ცეცხლსასროლ იარაღთან და საბ-რძოლო მასალასთან დაკავშირებით ადრე მსჯავრდებული არ ყოფილა და საბრალდებო დასკვნის-ნაც არ გამომდინარეობს ა. ხ-ძის მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის არაერ-თგზის გასაღება, მისი ამგვარი ქმედება არ დასტურდება საქმეში არსებული არცერთი მტკიცებუ-ლებით. აწ გარდაცვლილმა მსჯავრდებულმა რ. ფ-ძემ თავის ჩვენებებში გარკვევით მიუთითა, რომ ა. ხ-ძემ სხვა პირს გადასცა გაზის პისტოლეტი, ხოლო "BEღEთთA"-ს მარკის ცეცხლსასრო-ლი იარაღი თავად დაიტოვა. მანვე აღნიშნა, რომ ა. ქ-ძის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის მზადე-ბისას ა. ხ-ძე და მისი თანამზრახველი გადახტნენ დაზარალებულის სახლის აივნიდან და გაიქ-ცნენ, რა დროსაც დაუფარდათ იარაღები და ისინი რ. ფ-ძემ აიღო და გადამალა. პირველი ინ-სტანციის სასამართლომ განსასჯელ რ. ფ-ძის დაკითხვისას აღნიშნულ გარემოებებს სათანადო ყუ-რადღება არ მიაქცია და ეს საკითხი არც სააპელაციო პალატამ გაარკვია რ. ფ-ძის საჩივრის გან-ხილვისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი ა. ხ-ძის მიმართ უნდა გაუქმდეს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ეპიზოდში და ამ ნაწილში შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. შესაბამისად, ა. ხ-ძეს უნდა შეუმცირდეს სასჯელი.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

პალატა აქვე აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულების მიმართ სსკ-ის 236-ე მუხლის შესაბამისი ნა-წილებით ერთი სასჯელის დანიშვნის უკანონობის თაობაზე მითითებულია გასაჩივრებულ განაჩენ-ში.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნ-ქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ხ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მარტის განაჩენი გაუქმდეს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით ა. ხ-ძის მსჯავრდების ნაწილში და ამ ნაწილში შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ა. ხ-ძეს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით განესაზღვროს 4 წლით თავისუფ-ლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ა. ხ-ძეს საბოლოოდ განესაზ-ღვროს 24 წლით და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -3 000 ლარი.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება

განჩინება

#591-აპ-09

25 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. უ-შვილის დამცველის, ადვოკატ ზ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

კ. უ-შვილი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა და მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით და დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით; 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით; იმავე კოდექსის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ კ. უ-შვილს ძირითად სასჯელად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 6 000 ლარის ოდენობით.

განაჩენით კ. უ-შვილს მსჯავრი დაედო ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვისა და ტარებისათვის, აგრეთვე - ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 26 იანვარს, დაახლოებით 15 საათზე, კ. უ-შვილმა, იმყოფებოდა რა თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში, მდებარე ქობულეთის რაიონის სოფელ . . . , უმიზეზოდ ხმამაღლა დაუწყო გინება თავის მეზობლებს - ჯ-ძეებს, რამაც გამოიწვია მეზობლების უკმაყოფილება და რის გამოც შეგროვდა ხალხი. მათ კ. უ-შვილს მოუწოდეს წესრიგისაკენ, მაგრამ მან ძალადობის გამოყენების მუქარით გააგრძელა ხულიგნობა. კ. უ-შვილმა სახლიდან გამოიტანა თავის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული, 7,62 მმ კალიბრის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომლიდანაც მრავალჯერ გაისროლა ჯ-ძეების სახლის მიმართულებით. მისი დანაშაულებრივი ქმედება გაგრძელდა 20 წუთს, რითაც მან უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოიხატა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ კ. უ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ზ. ნ-ძემ. აპელანტი თავისი საჩივრით ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად კ. უ-შვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას შემდეგი მოტივების საფუძველზე: აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე როგორც წინასწარი გამოძიება, ასევე, სასამართლო განხილვა ჩატარდა არასრულად და ცალმხრივად. სასამართლოს ტენდენციურობა გამოიხატა იმაში, რომ მოსამართლემ სასამართლოს განაჩენში გაითვალისწინა მხოლოდ და მხოლოდ ბრალდების მხარის ვარაუდები, ხოლო ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეულ იქნა სასამართლო სხდომაზე და ადასტურებდნენ მსჯავრდებულ კ. უ-შვილის ქმედებაში იმ დანაშაულთა ნიშნების არარსებობას, რომელთა ჩადენაც მას განაჩენით შეერაცხა, სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაითვალისწინა. ამასთან, განაჩენი ემყარება დაინტერესებულ მოწმეთა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს, ხოლო საქმეზე არ დაუკითხავთ სხვა მოწმეები, რომლებიც ასევე შეესწრნენ მომხდარ შემთხვევას და რომელთაც შეეძლოთ ობიექტური ჩვენებების მიცემა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გამოძიებამ ჩაატარა კ. უ-შვილის საცხოვრებელი სახლისა და გარე სათავსების ჩხრეკა, მაგრამ დანაშაულის საგანი - ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ვერ იქნა ამოღებული, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო ქმედების 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით დაკვალიფიცირებისათვის. მის მიერ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ადვოკატ ზ. ნ-ძეს მსჯავრდებულ კ. უ-შვილის მიმართ გამოტანილი განაჩენი მიაჩნია უკანონოდ და დაუსაბუთებლად.

სააპელაციო საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2009 წლის 27 მაისის განაჩენით, არ დააკმაყოფილა რა აპელანტის მოთხოვნა, ქობულეთის რაიონული სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ კ. უ-შვილის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ კ. უ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ზ. ნ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე მოტივებით, რაზეც მას მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში, ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და კ. უ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ კ. უ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაცვის მხარის მოსაზრებები გასაჩივრებული განაჩენის უკანონობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე არ უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან საქმის მასალებში მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება კ. უ-შვილის ბრალეულობა იმაში, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა, აგრეთვე - ხულიგნობა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის მითითებას, რომლის მიხედვით, კ. უ-შვილის მიმართ შერაცხული ბრალდება ემყარება მხოლოდ ვარაუდებსა და საქმეზე მოწმედ დაკითხული ჯ-ძეების წინააღმდეგობრივ ჩვენებებს. სინამდვილეში აღნიშნული ჩვენებები ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ერთმანეთს ავსებს. გარდა ამისა, არსებობს სხვა მოწმეთა ჩვენებებიც, რომლებითაც ასევე დასტურდება კ. უ-შვილის მიერ დანაშაულის ჩადენა, რის გამოც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი კ. უ-შვილის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 239-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდების ნაწილში სავსებით დასაბუთებულია. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ასევე ამ მუხლების საფუძველზე კ. უ-შვილისათვის დანიშნული ძირითადი და დამატებითი სასჯელების ნაწილში, რადგან ისინი განსაზღვრულია დამნაშავეს პიროვნებისა და საქმის ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით და წარმოადგენს სამართლიან ზომას, რაც აუცილებელია მსჯავრდებულის გამოსწორებისა და რესოციალიზაციისათვის.

ამავე დროს, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განაჩენის იმ ნაწილს, რომლითაც კ. უ-შვილი მსჯავრდებულ იქნა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებისათვის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა უტყუარად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, კერძოდ: მოწმეთა ჩვენებებით სარწმუნოდაა დადგენილი, რომ მეზობლებთან მომხდარი კონფლიქტის დროს კ. უ-შვილმა თავისი საცხოვრებელი სახლიდან თავისავე ეზოში, სადაც დგას აღნიშნული საცხოვრებელი სახლი, ნამდვილად გამოიტანა ცეცხლსასროლი იარაღი და იქიდანვე დაიწყო ამ იარაღიდან სროლა მეზობელი ჯ-ძეების სახლების მიმართულებით, რაც ვერ ჩაითვლება იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებად. ცეცხლსასროლი იარაღით მისი შენახვის ადგილიდან რამდენიმე მეტრზე გადაადგილება მისი გასროლის მიზნით ვერ ქმნის საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას, როცა არ მომხდარა ცეცხლსასროლი იარაღით უფრო დიდ მანძილზე თუნდაც ერთჯერადი გადაადგილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კ. უ-შვილის ბრალდების საქმეზე განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ დაუშვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტსა და იმავე კოდექსის 564-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული დარღვევა - სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა. მოცემულ შემთხვევაში კ. უ-შვილის ქმედება უსაფუძველოდ დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, როგორც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთოდ უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: კ. უ-შვილს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და, თანახმად საქართველოს

სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა, ამ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო; შესაბამისად, მას უნდა მოეხსნას აგრეთვე აღნიშნული ნორმის საფუძველზე დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. უ-შვილის დამცველის, ადვოკატ ზ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ კ. უ-შვილს მოეხსნას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

კ. უ-შვილის მიმართ გასაჩივრებული განაჩენით საბოლოოდ დანიშნულ ძირითად და დამატებით სასჯელებს გამოაკლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები -თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და ჯარიმა -2000 ლარის ოდენობით, რის გამოც მსჯავრდებულ კ. უ-შვილს საბოლოო სასჯელებად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით და ჯარიმა -4 000 ლარის ოდენობით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება

განჩინება

#599-აპ

24 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. კ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. მ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის განაჩენით გ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) -5 წლით თავისუფლების აღკვეთა და საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა -6 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სსკ-ის 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა -4 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის, 1-ლი პუნქტის შესაბამისად, გ. კ-ძე გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის -2 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელები. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, გ. კ-ძეს

მოსახდელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -10 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 18 სექტემბრიდან.

ნივთმტკიცებები -ქარხნული წესით დამზადებული, საბჭოთა წარმოების 1947 წლის ნიმუშის "AK-47" მოდელის, 7,62 მმ კალიბრის კალაშნიკოვის კონსტრუქციის #GH413 ავტომატი; ქარხნული წესით დამზადებული, რუმინული წარმოების 1947 წლის ნიმუშის "AKM" მოდელის, 7,62 მმ კალიბრის კალაშნიკოვის კონსტრუქციის #MV8118 ავტომატი; ქარხნული წესით დამზადებული, რუსული წარმოების 5,6 მმ კალიბრის "თO3-17" მოდელის, #17178 მცირეკალიბრიანი შაშხანა და 989 ცალი ვაზნა, რომლებიც ინახება საქართველოს შსს აჭარის ა/რ-ის მთავარი სამმართველოს ქობულეთის რაიონული სამმართველოს ... პოლიციის განყოფილების ნივთმტკიცებათა შესანახ ოთახში, უნდა გადაეცეს საქართველოს შს სამინისტროს კანონით დადგენილი წესით, შემდგომი განკარგვის მიზნით.

5 ცალი გენერატორი, ჩაფხუტები, ოფიცრის ტყავის ჩანთები, სასტერილიზაციო ავზები, სხვადასხვა სახის სალტეები, საოპერაციო პროექტორები, სავლე საოპერაციო მაგიდები, ლაბორატორიული კარადები, სავლე მაგიდები, რეზინის ჩექმები, სამხედრო ქუდები, რენტგენის მოწყობილობა, ელექტრონათურები, ელექტროაპარატურა, სავლე კარვები, მათარები, სამედიცინო დანიშნულების ინვენტარი, ხის ყუთებში მოთავსებული, სხვადასხვა დანიშნულების სამხედრო ინვენტარი, ჰაერის ავზები, ხის ყუთებში მოთავსებული, სხვადასხვა დანიშნულების სამედიცინო ინვენტარი, სავლე კარვებისთვის განკუთვნილი ნივთები, რომლებიც ინახება საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის საგამოძიებო განყოფილებაში, უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს სახელმწიფოს, რისი აღსრულებაც დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს -საფინანსო სააგენტოს.

შპს "ჩაის სახლის" სამეურნეო-საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული საბუღალტრო და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ინახება ქობულეთის რაიონულ სასამართლოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს შპს "ჩაის სახლს". "მაკაროვის" სისტემის #DB1957 პისტოლეტი, რომელიც ინახება ქობულეთის რაიონულ სასამართლოში, უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულ გ. კ-ძეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ.

განაჩენით მსჯავრდებულ გ. კ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. კ-ძემ, რომელიც იყო ... სამომხმარებლო კოოპერატივის ერთ-ერთი მეპაიე და ამავე საწარმოს მართვის უმაღლესი ორგანოს წარმომადგენელთა კრების წევრი, 2005 წლის მარტში, თავის ძმასთან -ზ. კ-ძესთან ერთად, ... სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძინა ... სამომხმარებლო კოოპერატივის კუთვნილი, დაბა ..., ... ქუჩის #33-ში მდებარე უძრავი ქონება -5000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული 651 კვ.მ შენობა (ჩაის სახლი) 40000 ლარად, რაზედაც 2005 წლის 17 ოქტომბერს მის ძმას -ზ. კ-ძეს და ... სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელ ლ. მ-ძეს შორის გაფორმდა ნოტარიალურად დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება 2-წლიანი გადასახადის განვადებით, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრირებულ იქნა ზ. კ-ძის სახელზე.

2005 წლის დეკემბერში, როცა გ. კ-ძეს ... სამომხმარებლო კოოპერატივისათვის გადახდილი ჰქონდა განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხიდან -40000 ლარიდან მხოლოდ 13500 ლარი, მისთვის ცნობილი გახდა, რომ იწყებოდა ცეკავშირისა და ცეკავშირის სისტემის კოოპორგანიზაციების ქონების აღწერისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის პროცესი. ამ პერიოდში გ. კ-ძეს სამეწარმეო საქმიანობის გაფართოების მიზნით გადაწყვეტილი ჰქონდა სააქციო საზოგადოება „პროკრედიტ ბანკის“ ბათუმის ფილიალიდან კრედიტის აღება ახლად შექმნილი უძრავი ქონების, დაბა ..., თამარ მეფის ქუჩის #33-ში მდებარე 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე დამაგრებული 651 კვ.მ შენობის იპოთეკით დატვირთვის საფუძველზე.

„ცეკავშირისა“ და „ცეკავშირის“ სისტემის კოოპორგანიზაციების ქონების აღწერისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის დროს, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საფასურის -40000 ლარის სრულად გადაუხდელობის მოტივით ნასყიდობის ხელშეკრულების შესაძლო ბათილად ცნობისაგან თავის დაზღვევისა და სააქციო საზოგადოება „პროკრედიტ ბანკის“ ბათუმის ფილიალიდან იპოთეკური სესხის აღების გაადვილების მიზნით, გ. კ-ძემ 2006 წლის იანვრის დასაწყისში განიზრახა 2-წლიანი გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დარჩენილი, გადაუხდელი ნაწილის -26500 ლარის ... სამომხმარებლო კოოპერატივზე 2006 წლის იანვრისათვის გადახდის დამადასტურებელი ყალბი საბუთის, საგადასახადო და ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტის დამზადება, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. კ-ძემ ... სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს -ტ. ფ-ვას შესთავაზა ყალბი სალა-

როს შემოსავლის ორდერის დამზადება. 2006 წლის 4 იანვარს ... სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გ. ხ-ზმა, გამგეობის თავმჯდომარის -ტ. ფ-ვას დავალებით, გ. კ-ძისათვის გამოწერა სალაროს შემოსავლის ორდერი #1, რომ, თითქოსდა, გ. კ-ძის ძმამ -ზ. კ-ძემ ... სამომხმარებლო კოოპერატივის სალაროში 2006 წლის 4 იანვარს შეიტანა 2-წლიანი გადასახადის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დარჩენილი, გადაუხდელი ნაწილი -26500 ლარი, რაც ... სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ტ. ფ-ვამ დაამოწმა სათანადო ბეჭდით, რომლის მეორე ნაწილი -ქვითარი გადაეცა გ. კ-ძეს. სინამდვილეში კი არც გ. კ-ძეს და არც ზ. კ-ძეს 2006 წლის 4 იანვარს ... სამომხმარებლო კოოპერატივის სალაროში 26500 ლარი არ შეუტანიათ.

გ. კ-ძე, იყო რა შპს "ჩაის სახლის" დირექტორი, რომლის საქმიანობა იყო ამავე საწარმოს კუთვნილი ბენზინგასამართ სადგურ „გუკოლიდან“ ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა, 2007 წლის 22 ნოემბრიდან 2008 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში, ქობულეთის რაიონის დაბა ... , ... #135-ში მდებარე ამავე საწარმოს კუთვნილ ბენზინგასამართ სადგურში ეწეოდა საშიშ საწარმოო ობიექტებთან დაკავშირებულ საქმიანობას -ბენზინისა და დიზელის საწვავის რეალიზაციას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის 25-ე ნაწილით გათვალისწინებული, საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის საშიში საწარმოო ობიექტების ექსპლუატაციის ნებართვის გარეშე, რასაც ახლდა 327079 ლარის -დიდი ოდენობის ერთობლივი შემოსავლის მიღება.

გ. კ-ძემ გამოიყენა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და ინახავდა ქარხნული წესით დამზადებულ, საბჭოთა წარმოების, 1947 წლის ნიმუშის, AK-47 მოდელის, 7,62 მმ კალიბრის კალაშნიკოვის კონსტრუქციის #GH-413 ავტომატს; ქარხნული წესით დამზადებულ, რუმინული წარმოების, 1947 წლის ნიმუშის "აკმ-ის" მოდელის 7,62 მმ კალიბრის კალაშნიკოვის კონსტრუქციის ავტომატს #შV 8118, რომლებიც მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის; ქარხნული წესით დამზადებულ, რუსული წარმოების 5,6 მმ კალიბრის თO3-17 მოდელის #17178 მცირეკალიბრიან შაშხანას, რომელიც მიეკუთვნება კუთხვილლულიან ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის; 989 ცალ ვაზნას, რომელთაგან 85 არის ქარხნული წესით დამზადებული, 1943 წლის ნიმუშის 7,62 მმ კალიბრის სამხედრო ვაზნა, განკუთვნილი 7,62 მმ კალიბრის კალაშნიკოვის კონსტრუქციის ავტომატებისათვის AK-47, AKR-74, AKთჩ, AKთჩX, კარაბინისათვის ჩკჩ, ხელის ტყვიამფრქვევებისათვის, , 871 ცალი ვაზნა არის ქარხნული წესით დამზადებული; 1974 წლის ნიმუშის 5,45 მმ კალიბრის სამხედრო ვაზნა, განკუთვნილი 1974 წლის ნიმუშის კალაშნიკოვის კონსტრუქციის შემდეგი ავტომატებისათ-74,-74,-74დატყვიამფრქვევებისათვის-74,-74, 33 ცალი ვაზნა არის ქარხნული წესით დამზადებული, 1908 წლის ნიმუშის 7,62 მმ კალიბრის ვაზნა, განკუთვნილი 7,62 მმ კალიბრის შემდეგი ცეცხლსასროლი იარაღებისათვის სავანემჭიდიანი, თვითდამმუხტავი და ავტომატური შაშხანებისათვის, კარაბინებისათვის, სადაზგო, სატანკო და საავიაციო ტყვიამფრქვევებისათვის; 989 ვაზნა მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად; 15 ცალ მჭიდს, რომელთაგან 7 არის ქარხნული წესით დამზადებული 7,62მმ კალიბრიანი კალაშნიკოვისკონსტრუქციის-47, ავტომატებისათვის განკუთვნილი მჭიდები, 8 ცალი მჭიდი არის ქარხნული წესით დამზადებული 5, 45 მმ კალიბრის კალაშნიკოვის კონსტრუქციის-74,-74,-74, ავტომატებისათვის განკუთვნილი მჭიდები. ხსენებული ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა 2008 წლის 17 სექტემბერს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საგამომიებო ნაწილის აჭარის საგამომიებო განყოფილების თანამშრომლებმა გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს გ. კ-ძის საკარმიდამო მიწის ნაკვეთში მდებარე ანგრიდან.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 მაისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ გ. კ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ე. მ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: გ. კ-ძის მიმართ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის შემცირებას, ხოლო 210-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მსჯავრდებულ გ. კ-ძის აღიარებითი ჩვენებებით, მოწმე ლ. მ-ძის ჩვენებით, დოკუმენტური რევიზიის აქტით, საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის აჭარის ა/რ-ის საწარმოთა ზედამხედველობის სამმართველოს უფრო-

სის 2008 წლის 29 სექტემბრის წერილით, ჩხრეკის ოქმით, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული, რომ მსჯავრდებულმა გ. კ-მ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა, ასევე სამეწარმეო საქმიანობა ნებართვის გარეშე, რასაც ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

როგორც საბრალდებო დასკვნით, ასევე 1-ლი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ გ. კ-მ ჯგუფურად ჩაიდინა ყალბი საგადასახადო და ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაღების მიზნით დამზადება, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება გ. კ-მის მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივ კვალიფიკაციას და თვლის, რომ ეს არის არა ჯგუფურად, არამედ -თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული, კერძოდ:

საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილების მიხედვით, დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად, ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი, ხოლო ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

საქმის მასალების მიხედვით, გ. კ-მ ... სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს -ტ. ფ-ვას შესთავაზა ყალბი სალაროს შემოსავლის ორდერის დამზადება. ... სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გ. ხ-ზმა, გამგეობის თავმჯდომარის -ტ. ფ-ვას დავალებით, გ. კ-მისათვის გამოწერა სალაროს შემოსავლის ორდერი #1, რადროსაც გ. კ-მ იყო არა ამსრულებელი, არამედ -წამქეზებელი, ვინაიდან მისი დავალებით ტ. ფ-ვამ და გ. ხ-ზმა ჩაიდინეს ყალბი საგადასახადო და ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაღების მიზნით დამზადება, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

ამდენად, საქმის მასალებიდან გამომდინარე, გ. კ-მ დანაშაული ჩაიდინა თანამონაწილეობით, სადაც ის არის არა ამსრულებელი, არამედ -წამქეზებელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ გ. კ-მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 24-ე, 210-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის -მსჯავრდებულ გ. კ-მის მიმართ დანიშნული სასჯელი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. ხულიგნობა

განჩინება

#1265-აპ

21 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მეიშვილი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. გ-ძისა და დაზარალებულ ი. გ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისის განაჩენზე რ. დ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

შუახვევის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 3 დეკემბრის განაჩენით რ. დ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 124-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 120-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა ხულიგნობა; ასევე -გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2004 წლის 20 სექტემბერს რ. დ-ძე მ. დ-ძესა და ა. დ-ძის ადვოკატ ი. შ-ძესთან ერთად ავიდა შუახვევის რაიონში. ა. დ-ძეს მეზობლური უთანხმოება ჰქონდა ი. გ-ძესა და მისი ოჯახის წევრებთან. ისინი ათვალისწინებდნენ რა სადავო მიწის ნაკვეთს, რ. დ-ძეს ურთიერთშელაპარაკება მოუხდა შ., ფ., ი. და ბ. გ-ძეებთან, რა დროსაც მან არაფრად ჩააგდო იქ მყოფი საზოგადოების ინტერესები, რომლის მიმართ გამოიჩინა აშკარა უპატივცემულობა, დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში იგინებოდა. მან ჩხუბი დაუწყო ი. გ-ძეს, რომელიც წააქცია მიწაზე და სცემა ხელებითა და ფეხებით, რა დროსაც რ. დ-ძემ გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიაყენა დაზარალებულ ფ. გ-ძეს.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. დ-ძეს განესაზღვრა საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით, 124-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით, 120-ე მუხლით -ჯარიმა 1 000 ლარის ოდენობით; საბოლოოდ მას შეეფარდა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მასვე დაზარალებულ ფ. გ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 3 ათასი ლარის, მორალური ზიანის ანაზღაურება 2 ათასი ლარის, ხოლო დაზარალებულ ი. გ-ძის სასარგებლოდ -მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება 500-500 ლარის ოდენობით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შუახვევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა რ. ბ-ძემ, დაზარალებულ ფ. გ-ძის კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. გ-ძემ და დაზარალებულმა ი. გ-ძემ, ასევე -მსჯავრდებულ რ. დ-ძის ადვოკატმა დ. ჩ-შვილმა.

პროკურორმა რ. ბ-ძემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა რ. დ-ძის მსჯავრდება საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 120-ე მუხლით და სასჯელის განსაზღვრა სახელმწიფო ბრალმძებლის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოთხოვნილი სასჯელის ფარგლებში.

დაზარალებულ ფ. გ-ძის კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. გ-ძემ და დაზარალებულმა ი. გ-ძემ ითხოვეს განაჩენის გაუქმება და ობიექტური, კანონიერი და სამართლიანი განაჩენის გამოტანა, ხოლო ადვოკატმა დ. ჩ-შვილმა -რ. დ-ძის მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 120-ე მუხლით და ჯარიმის შემცირება 3 ათას ლარამდე, დანარჩენ ნაწილში -გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: რ. დ-ძეს განაჩენიდან ამოერიცხა სსკ-ის 120-ე მუხლით შერაცხული მსჯავრი დანიშნულ სასჯელთან ერთად; განაჩენიდან ამოირიცხა მითითება მსჯავრდებულისათვის დაზარალებულ ფ. გ-ძის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 2 ათასი ლარის გადახდის შესახებ; რ. დ-ძეს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 124-ე მუხლის 1-ლი ნაწილით საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა 4 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

მასვე დაზარალებულ ფ. გ-მის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 3 ათასი ლარის, ხოლო დაზარალებულ ი. გ-მის სასარგებლოდ -მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 500-500 ლარის ოდენობით. რ. დ-სათვის შეფარდებული ალკვითის ღონისძიება გაუქმდა და გირაოს სახით შეტანილი თანხა -5 000 ლარი განაჩენის აღსრულებიდან ერთ თვეში უნდა დაუბრუნდეს მის შემტანს.

კასატორები -დაზარალებულ ფ. გ-მის უფლებამონაცვლე ლ. გ-მე და დაზარალებული ი. გ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი რ. დ-მის მიმართ არის დაუსაბუთებელი და უსამართლო; საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით; სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის მე-18, მე-19, 496-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები; არ შეამოწმა საქმის ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურად, სრულად და ყოველმხრივ; განაჩენი არ ეფუძნება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რის შედეგადაც სასამართლოს დასკვნა აგებულია ვარაუდზე.

კასატორთა აზრით, საფუძველსაა მოკლებული განაჩენის მსჯელობა, რომ, თითქოს, ფ. გ-მეს მოჩუბრების გაშვებისას შემთხვევით მოხვდა მოქნეული ხელი; მას მუშტი განზრახ დაარტყა რ. დ-მემ; არც ერთი ინსტანციის სასამართლომ არ შეაფასა მოწმეების -ე. თ-მის, ბ. და ა. გ-ძეების ჩვენებები; რაც შეეხება ხულიგნობას, ამის ინიციატორი იყო მ. დ-მე, რომელსაც სურვილი ჰქონდა, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ზიანი მიეყენებინა გ-ძეებისათვის; თავად რ. დ-მეს საკონფლიქტო დაზარალებულებთან არაფერი ჰქონდა, ამიტომ მისი აქტიურობა იმის დასტურია, რომ ის მოქმედებდა მ. დ-მესთან წინასწარი შეთანხმებით; საინტერესოა ისიც, თუ რატომ არ იზიარებენ დანაშაულის ჩადენის უშუალო თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებებს და რატომ გაიზიარეს იმ მოწმეების ჩვენებები, რომლებიც კონფლიქტს მოგვიანებით შეესწრნენ; სასამართლო ვალდებულია, დაასაბუთოს, რაში გამოიხატება გაუფრთხილებლობა ფ. გ-მისათვის სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენებისას.

გარდა აღნიშნულისა, დაზარალებული მხარე ეთანხმება პალატის მსჯელობას, რომ ი. გ-მემ ცემის შედეგად მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანება და მის მიმართ რ. დ-მის ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლით, მაგრამ მიაჩნიათ, რომ მსჯავრდებულისა და მისი თანამზრახველების ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით; რაც შეეხება ფ. გ-მეს, მის მიმართ ჩადენილია სსკ-ის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული -ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

წინააღმდეგობრივია საქმეზე ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო და ალტერნატიული ექსპერტიზების დასკვნები; დაცვის მხარის შუამდგომლობა, დაკითხულიყვნენ ექსპერტები, სასამართლომ არ დააკმაყოფილა; დღევანდელი მდგომარეობით ექსპერტიზების დასკვნებს შორის წინააღმდეგობა არ აღმოფხვრილა, რაც სსსკ-ის 373-ე მუხლის დარღვევაა; ფ. გ-მისათვის დაზიანების მიყენების შემდგომი ხანგრძლივი ავადმყოფობა პირდაპირ კავშირშია დანაშაულის კვალიფიკაციასთან, მატერიალურ და მორალურ ზიანთან; ობიექტური განაჩენი ვერ დადგება, თუ არ დადგინდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ფ. გ-მისათვის მიყენებულ სხეულის დაზიანებასა და გარდაცვალებას შორის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. გ-მე და დაზარალებული ი. გ-მე ითხოვენ რ. დ-მის მიმართ განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ფ. გ-მის სხეულის დაზიანებასა და მის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენას განსახილველ საქმესთან კავშირი არ აქვს, ფ. გ-მის გარდაცვალება, როგორც ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რ. დ-მეს ბრალად არ შერაცხვია და ამის შესახებ სააპელაციო პალატამ თავისი დადგენილებით მიუთითა კიდევ დაზარალებულის დამცველს.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაზარალებულის უფლებამონაცვლე დაეთანხმა სახელმწიფო ბრალმდებელს განსასჯელის ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, კასატორები აღნიშნავენ, რომ რ. დ-მემ ჩაიდინა სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებები (ხულიგნობა ჯგუფურად, მისი აღმკვეთი სხვა პირების მიმართ და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის სასამართლო განხილვა ტარდება განსასჯელების მიმართ მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომელიც მათ წაუყენეს (საქართველოს სსსკ-ის 450-ე მუხლი), სასამართლო არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო, არ ასრულებს არც დაცვისა და არც ბრალდების ფუნქციას (ამავე კოდექსის მე-15 მუხლის მე-5 ნაწილი, 439-ე მუხლის მე-3 ნაწილი). საგულისხმოა, რომ ამის შესახებ თავად კასატორებიც მიუთითებენ.

უსაფუძვლოა საჩივრის მოტივი, თითქოს სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საკასაციო პალატის მითითებები მტკიცებულებათა სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ.

უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 16 აპრილის განჩინებაში მითითებულია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევა უნდა მომხდარიყო საჭიროების შემთხვევაში – საქმის ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დასადგენად.

ფაქტობრივად, მოცემულ შემთხვევაში გამოკვლეულია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა მტკიცებულება, რომლებიც სწორად შეფასდა, კერძოდ:

საქმის მასალებით ირკვევა და გასაჩივრებულ განაჩენშიც სწორადაა აღნიშნული, რომ დაზარალებულების და მათი ოჯახის წევრების ჩვენებით რ. დ-მე ფ. გ-მეს დაზიანება მიაყენა განზრახ, თუმცა ინციდენტის თვითმხილველი სხვა პირები ამას არ ადასტურებენ. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ განაჩენი გამოიტანა სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად და დადგენილად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა. ამასთან, გასაჩივრებულ განაჩენში მითითებულია მოტივიც, რომლის მიხედვით სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო სხვა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კერძოდ, 30-ე მუხლის მე-5 ნაწილი, დაზარალებულის უფლებამონაცვლისათვის მორალური ზიანის ფულად კომპენსაციას არ ითვალისწინებს და გასაჩივრებული განაჩენი სამოქალაქო სარჩელის ნაწილშიც კანონიერია.

რ. დ-მის მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 ივლისის განაჩენი სასამართლიანია, მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს და იგი უნდა შეიცვალოს მხოლოდ "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ამავე კანონის მესამე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი) და მსჯავრდებული რ. დ-მე უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 124-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით საბოლოოდ დანიშნული ძირითადი სასჯელის მოხდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის 1-ლი ნაწილით, მესამე მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. გ-მისა და დაზარალებულ ი. გ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისის განაჩენი შეიცვალოს: "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ამავე კანონის მესამე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი), მსჯავრდებული რ. დ-მე გათავისუფლდეს ძირითად სასჯელად საბოლოოდ განსაზღვრული ჯარიმის – 4 000 ლარის გადახდისაგან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხულიგნობა

განჩინება

#1053-აპ-08

14 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მეიშვილი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაზარალებულის უფლებამონაცვლე ე. კ-ვას ადვოკატ ე. გ-იასა და მსჯავრდებულ ჰ. ა-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის განაჩენით ჰ. ა-ვი გამართლდა საქართველოს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 104-ე მუხლის მე-2, მე-6 ნაწილებითა და მე-17,104-ე მუხლის მე-2, მე-6 ნაწილებით წარდგენილი ბრალდებებში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ იმავე კოდექსის 108-ე მუხლით, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 228-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით; ქურდობა, ე.ი. მოქალაქეთა პირადი ქონების ფარული დატაცება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულს; ასევე -ხულიგნობა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა და ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

1996 წლის 26 ოქტომბერს ს-ს რაიონში მცხოვრები ჰ. ა-ვი დანაშაულებრივად დაუკავშირდა თანასოფლელებს -ა. რ-ვს, ა. მ-ვსა და ფ. გ-ს. მათ განიზრახეს, ს-ს რაიონის სოფელ პ-ის მინდვრიდან გაეტაცებინათ იმავე სოფლის მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვი. თავიანთი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იმავე საღამოს, დაახლოებით 22 საათზე, აღნიშნულ პირთა ჯგუფი ფეხით მივიდა სოფ. პ-ის მინდორში, მდებარე მესაქონლეობის ბინასთან. მწყემსებს -გ. ზ-ლსა და ე. უ-ლს ოთახში ეძინათ, ხოლო 13 სული მსხვილფეხა პირუტყვი, ორი ცხენი და ორი კვიცი შერევილი იყო პირუტყვის სადგომი ბინის გვერდით განთავსებულ ბაკში. ისარგებლეს რა იმ გარემოებით, რომ მწყემსებს ეძინათ, ბოროტმოქმედებმა ფარულად გაიტაცეს 13 სული მსხვილფეხა პირუტყვი, ორი ცხენი და ორი კვიცი, რითიც დაზარალებულებს -ლ. უ-ლს, ე. უ-ლს, გ. უ-ლს, გ- ზ-ლს, ბ. უ-ლსა და შ. ს-ლს მიაყენეს 9500 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. აღნიშნულმა ჯგუფმა იმავე ღამეს ნაქურდალი პირუტყვი მინდვრების გავლით, ფეხით გადატრეკა სოფელ ი-ში და დააბინავა ა. რ-ვის საცხოვრებელი ბინის ეზოში მდებარე პირუტყვის სადგომში. ნაქურდალი პირუტყვიდან ერთი დეკეული დაკლეს და ხორცი თვითონ გაინაწილეს, ხოლო დანარჩენი -1800 ლარად მიჰყიდეს საგარეჯოს რაიონის მცხოვრებ გ. ჭ-ლს.

გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად პოლიციის მუშაკებმა 1997 წლის 21 ივნისს ამოიღეს ნაქურდალი პირუტყვის ნაწილი, კერძოდ -ბ. უ-ლის კუთვნილი ერთი კვიცი, რომელიც დაუბრუნდა დაზარალებულს.

ჰ. ა-ვმა, ჩადენილი ჰქონდა რა მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა, პირთა ჯგუფთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, განმეორებით ჩაიდინა ქურდობა, კერძოდ: 1996 წლის 26 დეკემბერს, დაახლოებით 21 საათზე, იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა თანამზრახველებს -ი. რ-ს, ფ. გ-ს, ა. რ-ს და ა. მ-ს. მათ განიზრახეს, ს-ს რაიონის სოფელ ბ-დან ფარულად გაეტაცებინათ ამ სოფლის მცხოვრებთა კუთვნილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ჰ. ა-ვი და დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები განმეორებით, 1996 წლის 27 დეკემბერს, ღამის საათებში, მივიდნენ სოფელ ბ-ში მცხოვრებ ბ. ც-ლის საცხოვრებელი ბინის ბოსელში, ისარგებლეს იმ ხელსაყრელი გარემოებით, რომ ბ. ც-ლის ოჯახის წევრები სახლში არ იმყოფებოდნენ, ბოსლიდან გამოიყვანეს და ფარულად გაიტაცეს ძროხა და დეკეული, რითიც დაზარალებულს მიაყენეს 900 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. პირთა ჯგუფმა ნაქურდალი პირუტყვი შემდგომში სარეალიზაციოდ მიიყვანა ჰ. ა-ვის საცხოვრებელი სახლის ბოსელში, რის შემდეგაც ბოროტმოქმედებმა დეკეული დაკლეს და ხორცი გაინაწილეს, ხოლო ძროხა ი-მ და ა. რ-მა 125 ლარად მიჰყიდეს ს-ს რაიონის სოფელ მ-ში მცხოვრებ რ. ა-ვს.

1997 წლის 20 აგვისტოს ჰ. ა-ვი დანაშაულებრივად დაუკავშირდა კ. ჯ-სა და ე. ა-ს. ისინი შეთანხმდნენ, რომ დ-დან ფარულად გაეტაცებინათ მოქ. მ. დ-ის კუთვნილი მსხვილფეხა რქოსა-

ნი პირუტყვი, რომელსაც გაუკეთებდნენ რეალიზაციას და თანხას ურთიერთშორის გაინაწილებდნენ. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 1997 წლის 21 აგვისტოს, დაახლოებით 3 საათზე, ჰ. ა-ვი, ე. ა-ვი და კ. ჯ-ვი მივიდნენ დ-ში მცხ. მ. დ-ის ეზოში, აუშვეს ბოძებზე მიბმული სამი სული რქოსანი პირუტყვი, რომელთაგან ერთი იყო 500 ლარად ღირებული წითელი ფერის ძროხა, მეორე -450 ლარად ღირებული თეთრი ძროხა, მესამე კი -300 ლარად ღირებული თეთრი ფერის მოზვერი და იმავე გზით, რომლითაც შევიდნენ, გაიყვანეს ეზოს გარეთ და ფარულად გაიტაცეს. ჰ. ა-ვმა ნაქურდალ საქონელს გაუკეთა რეალიზაცია. აღნიშნული ქმედებით დაზარალებულს სულ მიადგა 1250 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

1997 წლის 16 ოქტომბერს, დაახლოებით 23 საათზე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული, ნასვამი ჰ. ა-ვი ასევე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ ი. ვ-სა და ზ. ა-თან ერთად მივიდა ო. ო-თან საცხოვრებელ ბინაში, ი. ვ-ის ყოფილი მეუღლის -ს. ა-ლა კ-ის წყევანის მიზნით. ო-ის ეზოში ჰ. ა-მა და მასთან მყოფმა პირებმა გამოხატეს აშკარა უპატივცემულობა საზოგადოებისადმი, თანაქონი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებიდან, რომლებსაც ისინი უკანონოდ ინახავდნენ და ატარებდნენ, მრავალჯერ უმისამართოდ გაისროლეს, რითიც უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი, რის შემდეგაც დატოვეს აღნიშნული ადგილი და წავიდნენ მ. ნ-ოვის სახლის მიმართულებით, სადაც ქორწილი იყო. მ. ნ-ვის საცხოვრებელი სახლის ეზოს ჭიმკართან მისვლისას ჰ. ა-მა, მასთან მყოფ პირებთან ერთად, ხელთ არსებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან მრავალჯერ გაისროლა, რის შედეგადაც თავის, მარცხენა წინამხრისა და მარცხენა ბარძაყის ა. მ-ლი, სიცოცხლისათვის საშიფათო ჭრილობების გამო გარდაიცვალა ქორწილში მყოფი არასრულწლოვანი, 15 წლის ს. კ-ვი, ხოლო ა. ა-მა და ი. კ-მა მიიღეს ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანებები.

აღნიშნული ქმედებისათვის ჰ. ა-ვს მიესაჯა საქართველოს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 108-ე მუხლით -3 წლით, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით -2 წლით, 228-ე მუხლის მე-3 ნაწილით -3 წლით, ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -1 წლით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა; სასჯელთა შეკრებით ჰ. ა-ვს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 29 ივნისიდან; მასვე პატიმრობის ვადაში ჩათვალა ექსტრადირებაში ყოფნის დრო -2007 წლის 22 თებერვლიდან 2007 წლის 29 ივნისამდე -4 თვე და 7 დღე.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა გ. ბ-მემ, ასევე -სილნადის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ო. ფ-მა.

მსჯავრდებულმა ჰ. ა-ვმა და მისმა ადვოკატმა სააპელაციო საჩივრებით ითხოვეს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა, ხოლო პროკურორმა -ჰ. ა-ვის დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 104-ე მუხლის მე-2, მე-6 პუნქტებით, მე-17,104-ე მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტებით, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 228-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 238-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და საბოლოოდ 29 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. პ-მა შესაგებლით ითხოვა პროკურორის სააპელაციო საჩივრის დაუკმაყოფილებლად დატოვება, ასევე -განაჩენის გაუქმება და ჰ. ა-ვის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი ჰ. ა-ვის მიმართ დარჩა უცვლელად.

დაზარალებულ ე. კ-ვას ადვოკატი ე. გ-ია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, ჰ. ა-სათვის დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება მის პიროვნებასა და ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, რადგან მეტისმეტი სიმსუბუქის გამო აშკარად უსამართლოა, კერძოდ:

ჰ. ა-ვი მოქმედებდა განზრახ, მას გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას. მისი ქმედება სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ გადააკვალიფიცირა სსკ-ის 108-ე მუხლზე, ასევე არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ჰ. ა-ვი წლების განმავლობაში ემალეობდა სამართალდამცავ ორგანოებს, ჩადენილი აქვს სხვა სახის არაერთი დანაშაული, რომელთაც არ აღიარებს და ცდილობს, თავიდან აიცილოს მოსალოდნელი პასუხისმგებლობა.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, დაზარალებულის უფლებამონაცვლის ადვოკატი ითხოვს საქმის ახალი სასამართლო განხილვისათვის დაბრუნებას, რათა ჰ. ა-ვი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 104-ე მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტებით, მე-17,104-ე მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტებით, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 228-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით და საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 29 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებული ჰ. ა-ვი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქართველოდან წავიდა 1996 წლის იანვარში; ყველა დანაშაული მომხდარია ამის შემდეგ; სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა დაცვის მოწმეების დაკითხვის თაობაზე და 11 წლის წინანდელ ჩვენებებზე დაყრდნობით დასაჯეს; მას არც ერთი დანაშაული არ ჩაუდენია, ვერაფერი დაუმტკიცეს და ითხოვს ყველა ბრალდების მოხსნას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო ადვოკატ ე. გ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულ ლ. უ-ის ჩვენებით ირკვევა, რომ ნაქურდალი კვიცი აღმოჩნდა დ-ის გომურში. თ. დ-მა საუბრისას თქვა: "ა-თან მივიღვართო".

საქმის წინასწარი გამოძიებისას დაკითხული ფ. გ-ისა და ა. რ-ის თანმიმდევრული და დამაჯერებელი ჩვენებებით ირკვევა, რომ ჰ. ა-თან და ა. მ-თან შეთანხმებისამებრ მოიპარეს 13 სული მსხილფეხა პირუტყვი, მათ შორის -ორი ცხენი და ამდენივე კვიცი. მათივე ჩვენებებით, ქურდობისას ჰ. ა-ვს ჰქონდა "კარაბინი".

მოწმე გ. ჭ-მა განმარტა, რომ ორი აზერბაიჯანელისაგან, რომელთაგან ერთს ერქვა ა-ი, იყიდა 12 სული მსხვილფეხა პირუტყვი, მათ შორის ცხენები. საქონლის ყიდვისას ახლდა თ. დ-შვილი. მოგვიანებით ა. უთხრა, რომ საქონელი მოპარული იყო.

საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მოწმე ე. ა-ვმა განმარტა, რომ ჰ. ა-თან და კ. ჯ-თან ერთად მოიპარა მ. დ-ის კუთვნილი სამი სული მსხვილფეხა პირუტყვი. ქურდობისას ჰ. ა-ს ჰქონდა ავტომატი. რამდენიმე დღეში შეიტყო საქონლის პატრონის ვინაობა, რომელიც შეეცოდა. მოპარული საქონელი მიიყვანეს დაზარალებულის სახლთან და გაუშვეს. მოწმემ ასევე მიუთითა, რომ ჰ. ა-ვი მისი ბიძაშვილია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ჰ. ა-ის მიერ ლ. უ-ის და სხვათა, ასევე მ. დ-ის კუთვნილი პირუტყვის ქურდობა საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულებით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს.

რაც შეეხება ბ. ც-ლის საქონლის ქურდობას, გასაჩივრებული განაჩენი ამ ნაწილში დაუსაბუთებელია, რადგან სსსკ-ის 481-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, ეყრდნობა მხოლოდ საქმის წინასწარი გამოძიებისას მოწმე ა. რ-ის მიერ მიცემულ ჩვენებას. აღსანიშნავია, რომ საქმეში არ მოიპოვება დადგენილება ბ. ც-ლის დაზარალებულად ცნობის შესახებ და მისი დაკითხვის ოქმი.

გარდა ამისა, ჰ. ა-ის მიერ ხულიგნობის ჩადენა საბრალდებო დასკვნით გამოიხატა იმაში, რომ მან და მისმა თანმხლებმა პირებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებიდან მრავალჯერ უმისამართოდ გაისროლეს, რითიც უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და დატოვეს შემთხვევის ადგილი.

საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლისაგან განსხვავებით დღეს მოქმედი სსკ-ის 239-ე მუხლის შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია ძალადობა ან ძალადობის მუქარა, რასაც ბრალდების ამ ეპიზოდში ადგილი არ ჰქონია.

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება ჰ. ა-ვის მიერ ბ. ც-ის საქონლის ქურდობის შესახებ, ეს განაჩენი უნდა გაუქმდეს სსკ-ის 228-ე მუხლის მე-3 ნაწილით მსჯავრდების ნაწილში და ბრალდების ამ ეპიზოდებში ჰ. ა-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

რაც შეეხება დაზარალებულის უფლებამონაცვლის საკასაციო საჩივარს, მასში მითითებულ მოტივებზე ამომწურავად იმსჯელა ორივე ინსტანციის სასამართლომ და სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, ბრალდების ამ ეპიზოდში დადგენილად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებულ განაჩენში პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად არასწორადაა მითითებული ჰ. ა-ვის მიმალვაში ყოფნა და ამის შესახებ მითითება ასევე უნდა ამოირიცხოს.

ბრალდების მოცულობის შემცირების გამო ჰ. ა-ვს უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია, მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დაზარალებულის უფლებამონაცვლე ე. კ-ას ადვოკატ ე. გ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

მსჯავრდებულ ჰ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 ივნისის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება ჰ. ა-ის მიერ ბ. ც-ის საქონლის ქურდობის შესახებ და ბრალდების ამ ეპიზოდში ჰ. ა-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს სსკ-ის 228-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი) მსჯავრდების ნაწილში და ამ ნაწილში ჰ. ა-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

სააპელაციო პალატის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიმალვაში ყოფნის შესახებ;

ჰ. ა-ვს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციით) დანიშნული სასჯელი -2 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 2 თვით და ამ მუხლით განესაზღვროს 1 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ჰ. ა-ს საბოლოოდ განესაზღვროს 8 წლით და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხულიგნობა

განჩინება

#450-აპ-09

6 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბოლნისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნ. ს-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

დმანისის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 დეკემბრის განაჩენით ჯ. ო-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში და სასჯელად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 17 ნოემბრიდან.

განაჩენით ჯ. ო-ს მსჯავრი დაედო ხულიგნობაში, ე.ი. ქმედებაში, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, იარაღად სხვა საგნის გამოყენებით.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 30 ოქტომბერს, დაახლოებით 12.30 საათზე, ჯ. ო-ი მთვრალი მივიდა იმავე სოფელში ცალკე ოჯახად მცხოვრები, მასთან კონფლიქტში მყოფი მშობლების -ლ. და ი. ო-ის სახლთან. მან ქუჩიდან შენიშნა, რომ მამამისი -ლ. ო-ი ეზოში ჭრიდა შემას. ჯ. ო-ი ლ. ო-ის მიმართ განმსჭვალული იყო შურისძიების გრძნობით და მას ქუჩიდან დაუწყო უცენზურო სიტყვებით ლანძღვა-გინება და ფიზიკური განადგურების მუქარა, იმავდროულად მიწიდან აიღო მოზრდილი ქვები და სხეულის დაზიანების მიზნით ლ. ო-ს დაუწყო სროლა, რის გამოც ლ. ო-მა

თავი შეაფარა სახლს, ხოლო ჯ. ო-მა იარაღად ქვების გამოყენებით გააგრძელა სახლის მიმართულებით მათი სროლა და სახლს ჩაუმსხვრია ფანჯრის მინები.

ჯ. ო-ის მიერ გამოწვეულ ხმაურზე შემთხვევის ადგილზე მივიდნენ ლ. ო-ვის მეზობლები -ა. ო-მე და ჯ. ბ-ი. ჯ. ო-ის ხულიგნური ქმედებით შეწუხებულმა მეზობლებმა შეძლეს, აღეკვეთათ მისი დანაშაულებრივი ქმედება და იგი გააძევეს შემთხვევის ადგილიდან.

ჯ. ო-ის მიერ იარაღად ქვების გამოყენებით ხულიგნური ქმედების ჩადენა გაგრძელდა დაახლოებით 20 წუთს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ჯ. ო-მა. მან აღიარა, მოინანია ჩადენილი დანაშაული და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აპრილის განაჩენით დმანისის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

ჯ. ო-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის III ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლზე და მას სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე ბოლნისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნ. ს-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

პროკურორმა საჩივრით აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის მიმართ შერაცხული ბრალდება და დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესა და მის პიროვნებას. მან ითხოვა როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში, ლმობიერების მოტივით, უკანონო განაჩენის გაუქმება, საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად, ჯ. ო-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის III ნაწილით დაკვალიფიცირებისა და სასჯელის გამკაცრების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ ბოლნისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნ. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აპრილის განაჩენი ჯ. ო-ს მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ ჯ. ო-ს, დაზარალებულ ლ. ო-სა და მოწმე ი. ო-ს ჩვენებებით ჯ. ო-ს მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია, მაგრამ მას სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

პალატა იზიარებს პროკურორ ნ. ს-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ, შემდეგი გარემოებების გამო:

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა რეალური ვითარების გარკვევა და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

მსჯავრდებულმა ჯ. ო-ა როგორც წინასწარ, ისე სასამართლო გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებში აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული. მან აღნიშნა, რომ კონფლიქტურ დამოკიდებულებაში იყო მამასთან -ლ. ო-ს, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ 2003 წელს ლ. ო-ა დანით გულმკერდის არეში დაჭრა იგი. ჯ. ო-ს ჩვენებით, იგი ნაწყენი იყო იმ ფაქტის გამო, რომ, როცა საავადმყოფოში იწვა და მკურნალობდა, მამამისი მასთან ერთხელაც არ მისულა და საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას. მსჯავრდებულის ჩვენებით, მომხდართი განაწყენებულმა, მან ამის შემდეგ დაიწყო სმა. მამამისს ხშირად აგინებდა, აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, ემუქრებოდა მოკვლით, ქვით უმსხვრევდა სახლის ფანჯრების მინებს. 2008 წლის 30 ოქტომბერსაც მთვრალი მივიდა მამის სახლში, ისროდა ქვებს და დაემუქრა მშობლებს მოკვლით, რა დროსაც იგი ხმაურზე მისულმა მეზობლებმა -ა. ო-მ და ჯ. ბ-ა შეაჩერეს.

საბოლოო სიტყვაში განსასჯელმა აღნიშნა, რომ სიმთვრალეში მამამისზე უმიზეზოდ ბრალდებოდა და ჩხუბსაც ამიტომ იწყებდა.

ანალოგიურ ჩვენებას იძლევიან დაზარალებული ლ. ო-ი და მოწმე ი. ო-ა.

მსჯავრდებულის დედა -ი. ო-ა წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ: "ბევრჯერ მიკითხია ჩემი შვილისთვის, რა არის მისი აგრესიის მიზეზი, მაგრამ იგი ამაზე ვერ მპასუხობს".

ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც მამას -ლ. ო-ს არავითარი საბაზი არ მიუცია შვილისათვის აგრესიის გამოსახატავად. ის თავისთვის ეზოში მუშაობდა და არც კი დაუნახავს ქუჩაში მიმავალი ჯ. ო-ი.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ჯ. ო-ს მიზანი და სურვილი მიმართული იყო მშობლების -ლ. და ი. ო-ს დაშინებისაკენ, რაც გამოწვეული იყო დაზარალებულის მიერ მის მიმართ ადრე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით და რომ მსჯავრდებულის ქმედების საფუძველი იყო სწორედ მშობლების მიმართ გამოვლენილი უკმაყოფილება და არა -საზოგადოებისადმი უპატივცემულობა.

ამდენად, პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატას დამაჯერებლად არა აქვს დასაბუთებული ის ფაქტი, რომ ჯ. ო-ს მიერ მშობლების მიმართ აბსოლუტურად უმიზეზოდ, უმოტივოდ დაწყებულ აგრესიას განაპირობებდა მშობლების ქცევით გამოწვეული უკმაყოფილება, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას -მუქარას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ჯ. ო-ს მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და ერთნაირი გულმოდგინებით გაარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. ხელახალი სასამართლო გამოძიების ჩატარების დროს უნდა დაიკითხნენ დაზარალებული და მოწმეები, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლომ უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

ბოლნისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნ. ს-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აპრილის განაჩენი ჯ. ო-ს მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. სატრანსპორტო დანაშაული

განჩინება

#1465-აპ

21 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე)**
- პ. სილაგაძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. გ-ლის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 1 ივლისის განაჩენით ბ. გ-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძ-

ველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით.

ბ. გ-ლს ბრალი დაედო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევაში, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 13 დეკემბერს ბ. გ-ლი თავისი ავტომანქანით, -დ. ც-ძესთან ერთად მოძრაობდა გორი-კარალეთის საავტომობილო გზაზე, სოფელ კარალეთის მიმართულებით. ე.წ. "ვოლოგდის" დასახლებასთან ბ. გ-ლმა დაარღვია რა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 29.1 მუხლის მოთხოვნა, კერძოდ კი "საფრთხის წარმოქმნისას ვერ მიიღო შესაძლო ზომები მოძრაობის სიჩქარის შესამცირებლად სატრანსპორტო საშუალების სრულ გაჩერებამდე" შეეჯახა ქვეითად მოსიარულე, 1972 წელს დაბადებულ ლ. ბ-ძეს. ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიღებული დაზიანებით ლ. ბ-ძე გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ბ. გ-ლის ინტერესების დამცველმა ზ. გ-რმა. წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით აპელანტმა ითხოვა გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 1 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება ბ. გ-ლის მიმართ და მის ნაცვლად ახალი, გამამართლებელი განაჩენის დადგენა იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი და არ გამომდინარეობს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულ ბ. გ-ლის დამცველის -ზ. გ-რის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 1 ივლისის განაჩენის სასჯელის ნაწილში შევიდა ცვლილება: ბ. გ-ლს დამატებითი სასჯელის ზომად დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით - შეუმცირდა 5 ლარით და მას დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 5 ლარის ოდენობით. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ბ. გ-ლმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს გამართლებას წარდგენილ ბრალდებაში იმავე მოტივებით, რაზეც მის დამცველს -ზ. გ-რს ჰქონდა მითითებული სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ბ. გ-ლის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ბ. გ-ლის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ბრალად შერაცხული ქმედება. მისი ბრალეულობა დადასტურებულია ავტოტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა ბ. გ-ლის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და შეუფარდა სამართლიანი სასჯელი, რომლის შეცვლის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. ამავე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ბ. გ-ლის მიმართ უნდა გავრცელდეს "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მას სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელი უნდა გაუნახევრდეს.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ბ. გ-ლის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ბ. გ-ლის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ბ. გ-ლს "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით - გაუნახევრდეს და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სატრანსპორტო დანაშაული

განჩინება

#1099-აპ

30 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. შ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ნ. ფ-რისა და დ. ჭ-ძის, ასევე - დაზარალებულის უფლებამონაცვლე ნ. ა-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 თებერვლის განაჩენით ნ. შ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი, მე-7 და მე-8 ნაწილებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) იმაში, რომ მან, მთვრალმა, დაარღვია ავტომობილის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესები, რამაც გამოიწვია ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და ერთი ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 22 მაისს, დაახლოებით 21.⁴⁰ საათზე, ქობულეთის რაიონის ტერიტორიაზე, მთვრალი ნ. შ-ძე მოძრაობდა ბათუმის მიმართულებით თავისი ცოლისძმის - გ. ჩ-უას კუთვნილი, ავტომანქანით, რა დროსაც დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, კერძოდ, იგი ავტომანქანას მართავდა ისეთი სიჩქარით, რომელიც აღემატებოდა დადგენილ შეზღუდვებს; ამასთან, მან არ გაითვალისწინა მოძრაობის ინტენსიურობა, საგზაო და მეტეოროლოგიური პირობები, ხილვადობა მოძრაობის მიმართულებით, საფრთხის წარმოქმნის დროს არ მიიღო შესაძლო ზომები მოძრაობის სიჩქარის შესამცირებლად, სატრანსპორტო საშუალების სრული გაჩერების ჩათვლით, რის გამოც ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მოძრაობა და მოსახვევში შეეჯახა რკინა-ბეტონის ბორდიურს, რის შედეგადაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიიღო მგზავრმა ლ. ღ-ძემ, მეორე მგზავრი - გ. ჩ-უა ქობულეთის რაიონულ საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, ხოლო მესამე მგზავრი - მ. ა-ძე 2005 წლის 8 ივლისს გარდაიცვალა თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში.

აღნიშნული ქმედებისათვის ნ. შ-ძეს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით, ხოლო მე-7 და მე-8 ნაწილებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 3 წლით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით; მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 3 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ნ. შ-ძე გათავისუფლდა სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის -1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 18 მაისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ადვოკატმა ქ. გ-შვილმა, ასევე -და-ზარალბულის უფლებამონაცვლე ნ. ა-ძემ და მისმა ადვოკატმა ი. ფ-ვამ.

სააპელაციო საჩივრით მსჯავრდებულის ადვოკატმა ითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და ნ. შ-ძის გამართლება, ხოლო დაზარალბულის უფლებამონაცვლე ნ. ა-ძემ და მისმა ადვოკატმა -მსჯავრდებულისათვის სსკ-ის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზომის შეფარდება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები -მსჯავრდებულ ნ. შ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატები -ნ. ფ-რი და დ. ჭ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი აბსურდული, უსაფუძვლო და სრულიად დაუსაბუთებელია; ის აგებულია მხოლოდ ვარაუდზე და არ ეყრდნობა საქმეში არსებულ არც ერთ მტკიცებულებას; საქმის განხილვისას დადასტურდა ნ. შ-ძის უდანაშაულობა, თუმცა პალატას საერთოდ არ უმსჯელია მისი უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე, არანაირი შეფასება არ მიუცია მათთვის და არ გაუბათილებია ისინი, რითიც დაირღვა საქართველოს სსკ-ის 496-ე, 503-ე და 508-ე მუხლების მოთხოვნები.

კასატორთა განმარტებით, წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს ლ. ღ-ძეს არ უთქვამს, რომ ავარიის დროს ავტომანქანის საჭესთან იჯდა ნ. შ-ძე მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალებით ნათლად ჩანს, რომ მასზე ხორციელდებოდა ზეწოლა, კერძოდ, დაკითხვისას მ. ა-ძის დამ-ლ. ა-ძემ მას პირდაპირ მოსთხოვა, ეთქვა, რომ საჭესთან იჯდა ნ. შ-ძე; ა-ძეები მოკვლით დაემუქრნენ გამომძიებელ ჯ. წ-ძეს; აჭარის ა\რ-ის პროკურატურის პროკურორ რ. ა-ძის 2007 წლის 26 იანვრის დადგენილებით დასტურდება, რომ ლ. ღ-ძე არაადეკვატურია, იძლევა სხვადასხვა ჩვენებას და მის ჩვენებებზე დაყრდნობა არ შეიძლება; მიუხედავად ამისა, სწორედ მისი ჩვენებები გამოიყენა ორივე ინსტანციის სასამართლომ ნ. შ-ძის ბრალდების დასადასტურებლად.

დაზარალბულის უფლებამონაცვლე ნ. ა-ძის ჩვენებით დადგენილია, რომ ნ. შ-ძის საჭესთან ჯდომის შესახებ მას უთხრა ქალიშვილმა ლ. ა-ძემ, რომელსაც, თავის მხრივ, ეს უთხრა ლ. ღ-ძემ; ქობულეთის რაიონულ საავადმყოფოში შედგენილი ჩანაწერით კი ირკვევა, რომ სტაციონარში მოთავსებისას ლ. ღ-ძეს არ ახსოვდა, რა მოხდა. სააპელაციო პალატამ ივარაუდა, რომ, რადგან გ. ჩ-უას მამა -ი. ჩ-უა ცდილობდა დაზარალბულების დახმარებას, ე.ი. საჭესთან უნდა მჯდარიყო მისი სიძე ნ. შ-ძე; სასამართლოებმა ყურადღება არ მიაქციეს ი. ჩ-უას ჩვენებას, რომ იგი დარწმუნებული იყო, რომ თავისი შვილი -გ. ჩ-უა მანქანის საჭესთან სხვას არ დასვამდა, რადგან მას ეს არ უყვარდა.

რაც შეეხება მოწმე ლ. ა-ძეს, მან ქობულეთის რაიონულ სასამართლოში განაცხადა, რომ ძმამ თბილისის საავადმყოფოში უთხრა, რომ საჭესთან იჯდა ნ. შ-ძე; სასამართლომ შეგნებულად აუარა მის მიერ წინასწარი გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებას, სადაც ლ. ა-ძე კატეგორიულად ამბობს, რომ „მ. გონზე არ მოსულა და არ დაულაპარაკია“. სასამართლომ ასევე შეგნებულად აუარა გვერდი სასამართლო-სამედიცინო, კომპლექსური და ავტოტექნიკური ექსპერტიზების დასკვნებს; მ. ა-ძის მკურნალი ექიმების განცხადებით, 47 დღის განმავლობაში ის იყო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, უკეთდებოდა ფსიქოტროპული და ნარკოტიკული პრეპარატები და მისი დაკითხვა შეუძლებელი იყო; მას არ შეეძლო საუბარი და იყო არაკონტაქტური.

საეჭვოა მ. ა-ძის მამიდების -ზ. და ლ. ა-ების 2007 წლის თებერვალში ქობულეთის სასამართლოში მიცემული ჩვენებები, რომ, თითქოს, მათ მ. ა-ძემ უთხრა, რომ საჭესთან იჯდა ნ. შ-ძე; რატომ არ განაცხადეს მათ ეს მანამდე და თქვეს მხოლოდ 1 წლისა და 6 თვის შემდეგ? მოწმედ დაკითხული გამომძიებელი მ. ჟ-ტი თავის ჩვენებაში ამბობს, რომ ნ. შ-ძის ფეხსაცმელები იყო მძლოლის სავარძელსა და იატაკზე და რომ საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა აცნობა მძლოლის გარდაცვალების შესახებ, რასაც სასამართლომ ასევე არ მიაქცია ყურადღება. მან არ გააბათილა ექსპერტ ჰ. ნ-შვილის ჩვენება იმის თაობაზე, რომ ავტომანქანის დაჯახებისა და გადაბრუნების გამო მანქანაში მსხდომთა ფეხსაცმელები ნებისმიერ ადგილზე შეიძლება მოხდეს, აღმოჩენილიყო. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ფეხსაცმელები დაილუქა ორი დამსწრის მონაწილეობით. შემდეგში ეს ლუქები გაიხსნა და ისევ დაილუქა კანონდარღვევით, სხვადასხვა დამსწრის მონაწილეობით, რითიც დაირღვა სსკ-ის 121-ე მუხლის მოთხოვნა, რადგან საქმეში არ დევს გამომძიების მიერ შედგენილი არც ერთი ოქმი თავდაპირველი დამსწრეების გამოძახებისა და მათი გამოუცხადებლობის შესახებ; ადვილი შესაძლებელი იყო ფეხსაცმელების შეცვლა, მით უმეტეს, რომ გამომძიებას ოქმში არ მიუთითებია ამოღებული ფეხსაცმელების ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში მითითებულია, რომ ფეხსაცმელი ნახეს სამუხრუჭე სატერ-

ფულში გაჭედული, ხოლო ოქმზე დართულ ფოტოსურათზე ჩანს, რომ ფეხსაცმელი სამუხრუჭე სატერფულზე დევს.

კასატორების აზრით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთა დასკვნებში საყურადღებოა ერთი გარემოება, კერძოდ, სიტყვები „მკერდის ძვლის მოტეხილობა“ არ წერია განაჩენში, რადგან აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ასეთი დაზიანება შეიძლება, განვითარდეს მხოლოდ საჭის მოქმედებით, რაც დაადასტურა სააპელაციო სასამართლოში დაკითხულმა ექსპერტმა გ. ც-ძემ; სასამართლო-სამედიცინო და ავტოტექნიკური ექსპერტიზის #31კ დასკვნის თანახმად, ავტომანქანას დაზიანებული აქვს წინა, მარჯვენა მხარე; მანქანაში მჯდომი ოთხი პირიდან ყველაზე ძლიერი და მძიმე დაზიანებები მიიღეს მ. ა-ძემ და გ. ჩ-უამ; რაც შეეხება ნ. შ-ძესა და ლ. ღ-ძეს, მიღებული დაზიანებებიდან გამომდინარე, ისინი უნდა მსხდარიყვნენ უკანა სავარძელზე; ნ. შ-ძის უდანაშაულობა დასტურდება კომპლექსურ-კომისიური სასამართლო-სამედიცინო და სატრანსპორტო-ტრასოლოგიური ექსპერტიზის #კ-204-1987 ა\144 დასკვნითაც, რომლის თანახმად, წინ უნდა მსხდარიყვნენ გ. ჩ-უა და მ. ა-ძე; მათ შორის „მეტად შესაძლებელია, რომ საჭესთან ყოფილიყო გ. ჩ-უა“.

სააპელაციო პალატა ვერ აბათილებს ნ. შ-ძის ჩვენებას, რომელიც ზუსტად აღწერს, თუ ვინ სად იჯდა ავტომანქანაში და ეს აღწერილობა ემთხვევა ექსპერტიზების დასკვნებში არსებულ, ავტომანქანისა და მასში მსხდომი პირების დაზიანებების სიმძიმის გათვალისწინებით შედგენილი ოთხივე პირის მანქანაში ჯდომის სრულ სურათს. გარდა ამისა, მოწმეების -მ. მ-ძისა და კ. კ-ძის ჩვენებებით დადგენილია, რომ ნ. შ-ძე არ იჯდა საჭესთან და რომ მ. ა-ძეს არ შეეძლო საუბარი.

ნ. შ-ძის უდანაშაულობას ასევე ადასტურებენ შემდეგი მტკიცებულებები: მოწმე ნ. ა-იას ჩვენება, რომელმაც განაცხადა, რომ საჭესთან მჯდომი პირი იყო გ. ჩ-უა და ის ფოტოსურათით ამოიცნო; მოწმე რ. კ-იას ჩვენებით, საჭესთან მჯდარი პირი ძალიან მძიმედ იყო და სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა; მოწმე ჯ. ნ-ძის ჩვენებით, საჭესთან მჯდარი პირი ფაქტობრივად უკვე მკვდარი იყო; მოწმე ს. ბ-ძის ჩვენებით, საჭესთან გ. იჯდა და დიდი სიჩქარით მიდიოდა; ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, წინა სალონში აღმოჩენილია მ. ა-ძისა და გ. ჩ-უას ტანსაცმლის ბოჭკოები; ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, ფეხსაცმლის სუნი იდენტურია გ. ჩ-უას ტანსაცმლიდან აღებული სუნისა; ავტომანქანის ტექნიკური დათვალიერების ოქმში აღნიშნულია, რომ ავტოავარიის შედეგად საჭე და ტორპედოს ნაწილი პრაქტიკულად მისულია მძღოლის სავარძლამდე; აქედან შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ გ. ჩ-უამ მკერდის ძვლისა და ნეკნების მოტეხილობები მიიღო საჭის მოქმედებით, ხოლო ნ. შ-ძე საერთოდ არ დაზიანებულა; ასეთსავე დასკვნას იძლევა კომპლექსურ-კომისიური სასამართლო-სამედიცინო და სატრანსპორტო-ტრასოლოგიური ექსპერტიზა; ექსპერტ დ. გ-იანის ჩვენებით, „საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის დროს საჭესთან იჯდა გ. ჩ-უა“; მანვე სააპელაციო სასამართლოში განმარტა, რომ საჭესთან მჯდომი პირის ავტომანქანიდან არათუ დაზიანების გარეშე გადმოსვლა, არამედ გადარჩენაც კი პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

ადვოკატების -ნ. ფ-ისა და დ. ჭ-ძის აზრით, საეჭვოა საქმეზე კომპლექსურ-კომისიური სასამართლო-სამედიცინო და სატრანსპორტო-ტრასოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნა, რომელიც, სავარაუდოდ, მოხდა არა კანონის მოთხოვნის, არამედ -ვიღაც დაინტერესებული პირის სატელეფონი ზარის საფუძველზე; კანონის უხეში დარღვევის შედეგად ექსპერტიზა ჩაატარეს არაუფლებამოსილმა პირებმა და იმავე ექსპერტებმა, რომლებმაც გასცეს პირველი დასკვნა, რაც სსსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევაა; ამიტომ განმეორებითი ექსპერტიზის დასკვნა დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იყოს ცნობილი, თანახმად სსსკ-ის 111-ე მუხლისა; მეორე ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამია, რომ ავტოავარიის დროს საჭესთან შეიძლება, მჯდარიყო მანქანაში მყოფი ოთხი პირიდან ნებისმიერი; ასეთი დასკვნის არსებობის შემთხვევაშიც კი არ შეიძლება ერთ-ერთი მათგანის საჭესთან ჯდომის ფაქტის კატეგორიულად მტკიცება, თუ ის არ არის გამაგრებული საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით; ექსპერტებს ყველა დასკვნის გაცემისას ხელთ ჰქონდათ გ. ჩ-უას, ლ. ღ-ძის, მ. ა-ძისა და ნ. შ-ძის ერთი და იგივე სამედიცინო მონაცემები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორებს მიაჩნიათ, რომ მოხდა უბედური შემთხვევა და ნ. შ-ძე არის უდანაშაულო, რის გამოც ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 20 ივნისის განაჩენის გაუქმებას, ნ. შ-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასა და უკანონო პატიმრობიდან მის განთავისუფლებას; ასევე -საქმის მასალების გამოყოფას უდანაშაულო პირის განზრახ უკანონო დაკავებისა და დაპატიმრების, დაზარალებულზე ზემოქმედების განხორციელების, ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტებზე და მათ გადაგზავნას პროკურატურაში სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე ნ. ა-ძე და მისი ადვოკატი ვ. ხ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი სასჯელის ნაწილში აშკარად ლმობიერია, რადგან ნ. შ-ძე თავს

არ ცნობს დამნაშავედ, პირიქით, ცდილობს ჩადენილი დანაშაულის სხვისთვის გადაბრალებას, ნაცვლად იმისა, რომ დაზარალებულების ოჯახს შეუმზებუქოს ტრავმა; ნ. შ-მე და მისი ოჯახის წევრები წლების განმავლობაში სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ მათ, ავრცელებენ ჭორებს და ცილს სწამებენ; იგი ცდილობდა ყალბი მტკიცებულებების შექმნას, წინასწარი და სასამართლო გამოძიების შეცდომაში შეყვანას; მართალია, სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ჩადენილს, მაგრამ სასჯელის ზომის განსაზღვრისას არ გაითვალისწინა ყოველივე და მსჯავრდებულს განუსაზღვრა ლმობიერი სასჯელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზარალებულის უფლებამონაცვლე და მისი ადვოკატი ითხოვენ ნ. შ-მისათვის საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ზომის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულის დამცველები მიუთითებენ, რომ ნ. შ-მის უდანაშაულობას ადასტურებენ მოწმეები -ნ. ა-ია და რ. კ-ია, რომელთა ჩვენებებით, საჭესთან მყოფი პირი, ფაქტობრივად, უკვე მკვდარი იყო.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მომხდარი ფაქტის დღიდანვე, მიუხედავად ავტომანქანის მესაკუთრის ვინაობის დადგენისა, რომელიც მაშინვე გარდაიცვალა, გაურკვეველი იყო მძღოლის ვინაობა და ტარდებოდა მთელი რიგი საგამომიებო მოქმედებებისა.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე ი. ჩ-უა განმარტავს, რომ ავტოავარიის დღესვე, საავადმყოფოში ლ. დ-მემ უთხრა -ნ. შ-მე იჯდა საჭესთან, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს, მეძინაო. ი. ჩ-უა მიუთითებს, რომ თავისმა ქვისლმა მისცა 500 აშშ დოლარი, რაც ლ. ა-მეს გადასცა. ქვისლისგან შეიტყო, რომ ნ. შ-მე მკდარა საჭესთან და დაზარალებულისათვის გადასაცემად ფული ამიტომ გაატანა. როგორც ითქვა, "ზედმეტი პრობლემები არ იქნებოდა", თუ გადარჩენილი სამი დაზარალებული იტყოდა, რომ საჭესთან გ. ჩ-უა იჯდა. ამის გამო, ი. ჩ-უამ ლ. დ-მეს შეუთვალა, რომ "ეთქვა, თითქოს საჭესთან გ. იჯდა". შემდეგ დამნაშავე პირის მისამართით ისმოდა მუქარა -მოვკლავთ, არ გავახარებთო და ი. ჩ-უამ გადაწყვიტა, "კიდევ ერთხელ გაერკვია", ვინ იჯდა საჭესთან და ნახა რ. კ-ია.

ი. ჩ-უას აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე საგულისხმოა, რომ მსჯავრდებულის დამცველების მიერ დასახელებული პირები დაიკითხნენ მომხდარი ფაქტიდან დაახლოებით ერთ თვეში და მათი ჩვენებებით ირკვევა შემდეგი:

რ. კ-იამ ივარაუდა, რომ საჭესთან იჯდა პირველად ამოყვანილი გ. ჩ-უა, რადგან ავტომანქანა იყო ამობრუნებული და "მარჯვენა მხრიდან, ანუ მძღოლის მხრიდან" ვისაც ხელი მოჰკიდა, გ. ჩ-უა იყო. სასამართლოში მიცემულ ამავე ჩვენებაში რ. კ-ია აღნიშნავს -მგონი, ავტომანქანის უკანა მხრიდან ამოვიყვანეთ პირველი დაზარალებული, რომელიც გ. ჩ-უა აღმოჩნდაო. მომხდარის შემდეგ, "რამდენიმე დღეში" შეხვდა ი. ჩ-უას და შეიტყო, რომ მანქანაში მყოფი მეორე პირიც გარდაიცვალა.

მოწმე ნ. ა-ია განმარტავს, რომ ავტომანქანაში მყოფ ერთ-ერთი დაზარალებული იჯდა მძღოლის სავარძელზე, საჭე ჰქონდა მიდებული ყელზე და პირიდან სისხლი სდიოდა, იგი ცოცხალი აღარ იყო და პირველ რიგში გადმოიყვანეს მანქანიდან.

არსებითად სხვაგვარად აღწერენ მომხდარს შემთხვევის ადგილზე მყოფი და რამდენიმე დღეში დაკითხული სხვა პირები, კერძოდ:

საპატრულო პოლიციის თანამშრომელი გ. რ-მე მიუთითებს, რომ შემთხვევის ადგილზე, მიწაზე იწვა სამი დაზარალებული, რომლებიც საავადმყოფოში წაიყვანეს, ხოლო თვითონ და მისი ორი თანამშრომელი, ავტომანქანის მძღოლის საპირისპირო, მარჯვენა მხრიდან ცდილობდნენ მარჯვენა სავარძელსა და სიჩქარის გადაცემათა ბერკეტს შორის გაჭედილი მეოთხე პირის ამოყვანას, რაც ძალზედ გაუჭირდათ, მაგრამ მოახერხეს და "ვაზ-2107" მარკის ავტომანქანით გაამგზავრეს ქობულეთის საავადმყოფოში. ამ დაზარალებულის საავადმყოფოში მიყვანიდან 10-15 წუთში ელსმენით აცნობეს, რომ ბოლოს მიყვანილი პირი გარდაიცვალა.

ანალოგიური ჩვენებები მისცა მოწმე ბ. ჯ-მემაც. მან მიუთითა, რომ მეოთხე დაზარალებული გაჭედილი იყო მძღოლის გვერდით -დალუნულ თუნუქებს შორის. მაშინვე შეიტყო, რომ სწორედ ეს პირი გარდაიცვალა.

მოწმე რ. გ-მე, რომელსაც ავტობუსით მგზავრები გადაჰყავდა, აღნიშნავს, რომ ამობრუნებულ ავტომანქანაში შეუძლებელი იყო იმის გარჩევა, ვინ სად იჯდა. სამი დაზარალებულის ამოყვანის

შემდეგ შენიშნა, რომ დაზიანებული მანქანის წინა მარჯვენა სავარძლის მხარეს, რომელიც მთლიანად შეგლეჯილი იყო, სიჩქარის გადაცემათა კოლოფთან გაჭედილიყო მეოთხე დაზარალებული, რომელიც დიდი ძალისხმევით შედეგად გამოიყვანეს.

მოწმე ტ. მ-მაც ადასტურებს, რომ ბოლოს ამოყვანილი დაზარალებული გაჭედილი იყო დაზიანებული ავტომანქანის წინა, მარჯვენა მხარეს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო ძალიან მძიმე.

მსჯავრდებული ნ. შ-მე განმარტავს, რომ ავტომანქანაში იჯდა მძღოლის უკან, თუმცა დაზარალებული ლ. ღ-მე აღნიშნავს, რომ როდესაც ავტომანქანით მგზავრობისას გაიღვიძა, საჭესთან იჯდა ნ. შ-მე, მის გვერდით -გ. ჩ-უა, თვითონ იჯდა მძღოლის უკან და მის გვერდით -მ. ა-მე.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სასამართლო არც დაინტერესდა, ზეწოლის გამო ხომ არ იძლეოდა ჩვენებებს ლ. ღ-მე. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა დაზარალებულის უფლებამონაცვლე ი. ჩ-უას ზემოაღნიშნული ჩვენება და ისიც, რომ თავად ნ. შ-მეც არ უარყოფს შემთხვევის დღეს ავტომანქანის მართვას.

არასწორია მსჯავრდებულის დამცველების მითითება, თითქოს გამომძიებელი მ. ჟ-ტი თავისივე ჩვენებაში აღარ უთითებს ფეხსაცმელის მუხრუჭის სატერფულთან გაჭედვის შესახებ.

თავის ყველა ჩვენებაში გამომძიებელი მ. ჟ-ტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფეხსაცმელი გაჭედილი იყო იატაკსა და მუხრუჭის სატერფულს შორის.

დამსწრეთა მონაწილეობით ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში გარკვევითაა აღნიშნული, რომ ფეხსაცმელი გაჭედილია მუხრუჭის სატერფულში.

პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის მოტივს, რომ ფეხსაცმელები ამოიღეს და დალუქეს, შემდეგ კი განმეორებით შეამოწმეს სხვადასხვა დამსწრის მონაწილეობით და ამის გამო ეს ნივთიერი მტკიცებულება დაუშვებელია.

სსსკ-ის 121-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ნივთიერი მტკიცებულება დაუშვებლად ითვლება, თუ უარყოფილი არ არის ვარაუდი მისი შესაძლო გამოცვლის, ნიშნებისა და თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის გაქრობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში ამგვარი ვარაუდის საფუძველი არ არსებობს იმის გამოც, რომ სასამართლოში მსჯავრდებულს წარედგინა შემთხვევის ადგილის ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილი იყო ავტომანქანის სატერფულთან და მძღოლის სავარძელზე აღმოჩენილი ფეხსაცმელები. ნ. შ-მემ დაადასტურა, რომ ფეხსაცმელები მას ეკუთვნოდა. მსჯავრდებულს სასამართლოშიც წარედგინა დალუქული ფეხსაცმელები და მან კვლავ დაადასტურა, რომ ისინი ეცვა შემთხვევის დღეს.

მსჯავრდებულის დამცველები აღნიშნავენ, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას ჩატარებული იყო კომპლექსური, კომისიური სასამართლო-სამედიცინო და ავტოტექნიკური ექსპერტიზა და ამგვარი ექსპერტიზა მეორედ უსაფუძვლოდ დაინიშნა. ამასთან გაურკვეველია, მეორე ექსპერტიზა განმეორებით ჩატარდა თუ დამატებით.

ექსპერტიზის ჩატარების შესახებ 2007 წლის 8 ივნისის დადგენილებაში გარკვევითაა მითითებული, რომ წინა ექსპერტიზა ჩატარდა მხოლოდ გ. ჩ-უას სხეულის დაზიანებების გათვალისწინებით, რის გამოც საჭირო იყო ექსპერტიზის ჩატარება ამჯერად ყველა დაზარალებულის სხეულზე არსებული დაზიანებების მხედველობაში მიღებით. ცხადია, რომ მომდევნო ექსპერტიზა ემსახურებოდა წინა დასკვნის შევსებას და მისი განმეორებითად მიჩნევა უსაფუძვლოა. ასევე უსაფუძვლოა კასატორთა მითითება, რომ ვინაიდან ექსპერტიზის ჩატარება დაევალა ეროვნული ბიუროს აჭარის ა/რ რეგიონალურ სამსახურს და დასკვნა გასცა ეროვნული ბიუროს ექსპერტებმა, უხეშად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები. სსსკ-ის 363-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, კომპლექსური გამოკვლევის ორგანიზაცია ეკისრება საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს.

საბოლოოდ, ექსპერტიზის 2007 წლის 3 აგვისტოს დასკვნით ირკვევა, რომ არ არის გამორიცხული, საჭესთან მჯდარიყო ავტომობილში მყოფთაგან რომელიმე.

სააპელაციო სასამართლოში დაიკითხა აღნიშნული დასკვნის ავტორები. მათგან დ. გ-იანი აღნიშნავს, რომ პრაქტიკიდან გამომდინარე, ავტოავარიისას უფრო მეტად ზიანდებიან ავტომანქანა „BM3-ს“ წინა სავარძლებზე მსხდომნი, მაგრამ გვერდიდან შეჯახების შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს დაჯახების მიმართულებას.

ავტომანქანის დათვალიერების ოქმით ირკვევა, რომ ავტომანქანის წინა მარჯვენა საყრდენი მოგლეჯილია და მარჯვენა ნაწილი შეტანილია უკანა სავარძელამდე, მოგლეჯილია წინა მარჯვენა კარი, საბურავი და სავარძლის საზურგე. ამრიგად, ყველაზე მეტად დაზიანდა ავტომანქანის მარჯვენა, მძღოლის საპირისპირო მხარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მასალების ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ ავტომანქანას მართავდა ნ. შ-მე, რა დროსაც ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება.

სსკ-ის 566-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პალატა ვერ გაიზიარებს დაზარალებულის უფლებამონაცვლისა და მისი ადვოკატის მოთხოვნას მსჯავრდებულისათვის სასჯელის გამკაცრების შესახებ. ამასთან, გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის სიმსუბუქის მოტივით გაუქმების საფუძველიც არ არსებობს, რადგან ნ. შ-მის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით, მისთვის დანიშნული სასჯელი ვერ ჩაითვლება მეტისმეტად მკაცრად და, შესაბამისად, აშკარად უსამართლოდ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნ. შ-მეს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილებით არასწორად დაეკისრა დამატებით სასჯელად ჯარიმა, რადგან დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სსკ-ის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება და-ნიშნულიყო მხოლოდ მაშინ, თუ იგი გათვალისწინებული იყო შესაბამისი მუხლით. სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილების სანქცია დანაშაულის ჩადენის დროს და ამჟამადაც სასჯელად ჯარიმას არ ითვალისწინებს.

აღნიშნულის გამო, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება ნ. შ-მისათვის დამატებით სასჯელად ჯარიმის -3 000 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ.

გარდა ამისა, სააპელაციო პალატის განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილი, ვინაიდან ამ მუხლის მე-8 ნაწილი მოიცავს წინას.

სხვა ნაწილში განაჩენი ნ. შ-მის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი, დასა-ბუთებული და სამართლიანია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნ-ქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ნ. შ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატების -ნ. ფ-რისა და დ. ჭ-მის, ასევე -დაზარალებულის უფლებამონაცვლე ნ. ა-მისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ივ-ნისის განაჩენიდან ნ. შ-მის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილი და მითი-თება მსჯავრდებულისათვის დამატებით სასჯელად ჯარიმის -3 000 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.